ПРЕЗИДЕНТИС ВИЗИТИ БОРჯომში

A2

გაერო ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებით კმაყოფილია

A5

თოჯინები ტირიან

B1

24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 19 აპრილი, 2005 წელი. №88 (948)

ფასი 50 თეთრი

ზურაბ ნოღაიდელი კარიმოვს ამშვიდებს

მიხეილ ლანჩავა
ტაკენტიდან

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ტაშკენტში უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ კარიმოვს შეხვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერის ვიზიტი სწორედ პრეზიდენტ კარიმოვის ინიციატივით შედგა და ნიშანდობლივ მოვლენადაც იქცა იმ ფონზე, რაც მთლიანობაში იქმნება საქართველოს გარშემო. თავად განსაჯეთ: უზბეკეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა, მართალია გასულ წელს რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ მთლიანობაში ჯერ კიდევ საკმაოდ მცირეა. ეკონომიკური თანამშრომლობა მხოლოდ ამჟამად იწყება. ვიზიტისას რაიმე ხელშეკრულების გაფორმება განსაზღვრული არ ყოფილა. უზბეკური მხარე კი მაინც "დაჟინებით ეპატიჟებოდა" ქართველ პრემიერს, აუცილებლად ჩასულიყო ტაშკენტში. თანაც, სუუამის მომავალ, უმაღლეს დონეზე სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე.

სულ ახლახან, პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა განაცხადა, რომ იგი "შიშით ადევნებს თვალს სუუამის წევრ ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებს". ბუნებრივია, მხედველობაში ჰქონდა უკრაინასა და საქართველოში განხორციელებული რევოლუციები. ამიტომ, მომავალ სამიტში კარიმოვის მონაწილეობა ძალზე საეჭვოა.

მაგრამ უზბეკეთის ავტორიტარ მმართველს, რომელიც ურთულეს გეოპოლიტიკურ თამაშს აწარმოებს ერთდროულად რუსეთთან და ამერიკასთან, თვალწინ აქვს აგრეთვე მოლდოვას მაგალითი. ამ ქვეყნის პრეზიდენტი კი თავად აღიარებს, რომ ლეგიტიმურობის შენარჩუნება და რევოლუციის თავიდან აცილება შეძლო საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით. ანუ იმით, რომ მოახერხა იმგვარი პოზიციის დაკავება, როდესაც აღარ აღიქმებოდა პოსტსაბჭოურ სივრცეზე განვითარებული "ანტინომენკლატურული რევოლუციების" მოწინააღმდეგედ.

რა თქმა უნდა, სასაცილოც კი იქნებოდა მოლდოვას შედარება კარიმოვის უზბეკეთთან, რომლის ფონზე ყირგიზეთიც კი დემოკრატიის "ოაზისი" იყო, მაგრამ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ისლამ კარიმოვი აღიარებს საქართველოს "მაგალითის" გავლენას და ისიც კი ცდილობს, რაიმე ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რაც ამ მაგალითის მოწინააღმდეგეთა ბანაკისაგან გამიჯვნის საშუალებას მისცემს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ნაციონალების კონფერენცია რუსთავში

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქალაქო ორგანიზაციის I კონფერენცია გაიმართა. როცა მეტალურგთა კულტურის სასახლის დარბაზი დელეგატებითა და სტუმრებით შეივსო, შესრულდა ჰიმნი და სპეციალურ ეკრანზე მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა გაუშვეს. პრეზიდენტი თავის თანაპარტიელებს სთხოვდა - ეს კონფერენციები საქმიან დებატებში ჩავატაროთო (წინასწარ გეტყვით, რომ პრეზიდენტის სწორედ ეს თხოვნა ვერ შეასრულეს რუსთაველებმა). ამის შემდეგ დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი სცა ზურაბ ჟვანიას ხსოვნას და კენჭისყრის პროცედურისათვის მოემზადა.

სულ ორიოდე წუთი დასჭირდა რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის, საორგანიზაციო მდივნისა და ორგანიზაციის ექვსკაციანი საბჭოს არჩევას. უნდა ითქვას, რომ ხმის დამთვლელ კომისიას ხმების დათვლის პროცედურა არ ჩაუტარებია, არც დელეგატებს აუწევიათ სპეციალური მოსაწვევები, არც წარდგენილი კანდიდატების მოწინააღმდეგე გამოჩენილა და დასკვნაც ასეთი გაკეთდა - დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარდგენილ კანდიდატურებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

პარლამენტის თავმჯდომარე პასუხს სალომე ზურაბიშვილს სთხოვს

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარის მტკიცებით, სალომე ზურაბიშვილთან პიროვნულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, რეალობა სულ სხვაა: ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძე კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ელჩების გამოწვევის საკითხს და საგარეო საქმეთა მინისტრისგან ახსნა-განმარტებების მიღება მოითხოვა.

"ბრიუსელში გამგზავრების წინ ქალბატონ სალომეს ვთხოვე, რომ ჩემი ვიზიტის დროს ელჩების გამოწვევა არ მომხდარიყო. არ მესმის, რატომ უჭირს ზურაბიშვილს იმის აღიარება, რომ მისი უწყების მხრიდან, როგორც მინიმუმ, დასანანი გაუგებრობა მოხდა. ნაცვლად იმისა, რომ მინისტრი თავად დაინტერესებულიყო, თუ რომელ რგოლში მოხდა გაუგებრობა, მან ჩემთვის გაუგებარი განცხადებები გააკეთა," - აცხადებს ნინო ბურჯანაძე და კოტე გაბაშვილს სთხოვს, სალომე ზურაბიშვილთან პირად საუბარში გაარკვიოს, რეალურად რა მოხდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ირაკლი ლეონიძისა ფოტო

პარლამენტის თავმჯდომარე ბიუროს სხდომაზე კვლავ დაუბრუნდა ელჩების გათავსუფლების საკითხს.

"კვირის პალიტრას" ათი წელი შეუსრულდა

გუშინ გაზეთმა "კვირის პალიტრამ" იუბილე აღნიშნა. ზუსტად ათი წლის წინ, 18 აპრილს, "კვირის პალიტრის" პირველი ნომერი დაიბეჭდა.

თავდაპირველად გაზეთის ფურცლებზე რუსული, უცხოური და ქართული პრესის დაიჯესტები ქვეყნდებოდა. შემდგომ, ქართული დაიჯესტის ნაცვლად, "კვირის პალიტრის" ჟურნალისტების მიერ მომზადებული ორიგინალური მასალები გაჩნდა.

1995 წელს ამ გამოცემის ტირაჟი 800 ცალი იყო. დღეს კი, საიუბილეო 529-ე ნომერი 80-ათასიანი ტირაჟით გამოიცა.

როგორც გაზეთის მთავარი რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი ამბობს, გაზეთის წარმატების მიზეზი **"პროფესიონალიზმი, მკაცრი საკადრო პოლიტიკა და საკუთარი მკითხველის კარგად ცოდნაა".** დღეს "კვირის პალიტრა" თორმეტამდე დამოუკიდებელ გამოცემას აერთიანებს, მათ შორისაა ჟურნალი "გზა", "ჩვენი მკურნალი", "კარუსელი" და სხვა.

საიუბილეო თარიღი რედაქციამ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" აღნიშნა, სადაც გაზეთის ცნობილ მკითხველებს - მწერლებს, ჟურნალისტებს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს, ასევე, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. საიუბილეო საღამოზე გაჟღერებულ მილოცვებს უერთდება გაზეთი "24 საათიც" და "კვირის პალიტრას" შემდგომშიც წარმატებებს უსურვებს.

24 საათი

ირაკლი ლეონიძისა ფოტო

საიუბილეო მიღებაზე გაზეთის ცნობილმა მკითხველებმა - მწერლებმა, ჟურნალისტებმა, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებმა, ასევე, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.

აჭარის მთავრობამ "სუსტი რგოლი" გამოავლინა

საკადრო ცვლილებები აჭარაში

შორენა გოგიჩაიშვილი
ჯაბა ანანიძე
ბათუმიდან

მალე მოვა მაისი და აჭარის რევოლუციის წლისთავს იზეიმებენ. აღნიშნულმა ერთმა წელმა, სხვა თუ ვერაფერი, ბოლოდროინდელი გაუთავებელი საკადრო ცვლილებებით რეგიონის მოსახლეობას თავი ნამდვილად დაამახსოვრა. აჭარის მთავრობის მიერ ადრე მრავალგზის უარყოფილი საკადრო ცვლილებები გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით იმდენად აქტიურად და საზოგადოებისათვის მოულოდნელად მიმდინარეობს, რომ ჩინოვნიკების კაბინეტებთან მისულ ხალხს, ნაცნობი პერსონის სანაცვლოდ, სრულიად უცნობი მინისტრი ესალმება თბილად მორგებული სავარძლიდან. "იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა" - ეს აფორიზმი იმდენად მოერგო აჭარის ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომ წამსვლელ-მომსვლელთა ჩამოთვლა, ცოტა არ იყოს, რთულია. ახლოვდება რევოლუციის წლისთავი და საკადრო ცვლილებებიც ნელ-ნელა მატულობს. მოკლედ, ვის აწინაურებენ კარგი მუშაობისათვის? ვის ხსნიან ცუდი საკადრო პოლიტიკისათვის და ბიუჯეტის შეუსრულებლობისთვის? ვის აქებს და ვის აძაგებს მთავრობის თავმჯდომარე დახურულ კარს მიღმა? ვინ არიან ახალი მინისტრები და რაიონების ახლად დანიშნული გამგებლები?

"რეგიონული პოლიტიკის ხელმძღვანელობა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ჩემი დიდ პოლიტიკაში დაბრუნებაა," - ყველას კარგად ახსოვს კობა ხაბაზის ეს გამოსამშვიდობებელი სიტყვები, რომლითაც მან ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრობის პოსტი დატოვა. საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ პროფესიით ინჟინერი ხაბაზი,

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

მშენებლები კანონმდებლობას ითხოვენ

თბილისის ტერიტორიაზე, 2003 წელთან შედარებით, მშენებლობები ორჯერ შემცირდა, რაც საქართველოში არსებულ მაღალ გადასახადებსა და შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობას უკავშირდება. სპეციალისტების თქმით, სამშენებლო სფერო საქართველოში თითქმის აღარ არსებობს.

A2

უცხოეთი

თეთრი კვამლის მოლოდინში

გუშინ საღამოს გამართული პირველი კენჭისყრის შემდეგ სიქსტის კაპელის საკვამურიდან შავი კვამლი ამოვიდა.

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A8

ამინდი

	19/4	20/4	21/4
თბილისი	22	26	29
ქუთაისი	21	25	29
ბათუმი	19	24	28
სოხუმი	18	21	26
ფოთი	19	24	28
თელავი	21	26	28
ზუგდიდი	20	24	29
გორი	17	24	25
ახმეტა	21	26	29
ჭიათურა	18	24	27
გაგრა	18	19	24
სამტრედია	20	25	29

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8275
ევრო	2.3695
გირვანქა სტერლ.	3.4666
რუბლი	0.0657

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
საზოგადოება	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
ეკონომიკა	A6	სტილი	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
თვალსაზრისი	A8	სხვადასხვა	B8

აფხაზები ოფიციალური თბილისის მშვიდობიან გეგმებში დარწმუნდნენ

გაეროს ინიციატივით, 7-12 აპრილს ჟენევაში გამართულმა ქართულ-აფხაზურმა მოლაპარაკებებმა სოხუმის ლიდერები ოფიციალური თბილისის მშვიდობიან გეგმებში დაარწმუნა.

ჟენევის მოლაპარაკებებზე სოხუმის ხელისუფლების დელეგაციის ხელმძღვანელის, დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას შეფასებით, ჟენევის შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციამ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა თანდასწრებით დაადასტურა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება სურს. მისივე თქმით, ჟენევის შეხვედრაზე მხარეებს კონფლიქტის მოგვარების გზებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობა მიეცათ. შამბას შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ჟენევაში მხარეებს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ, კონსულტაციებმა ნდობის გაღრმავებას შეუწყო ხელი.

რაც შეეხება გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებას, შამბას თქმით, ამის შესახებ მხარეები ქართულ-რუსულ-აფხაზურ შეხვედრაზე იმსჯელებენ, რომელიც, სავარაუდოდ, მაისში მოსკოვში გაიმართება.

ინტერ-პრესი

აფხაზები სოხუმის დაცვის სქემას ამუშავებენ

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება სოხუმის დაცვის სქემას ამუშავებს იმ შემთხვევისთვის, თუ ქართულმა მხარემ სამხედრო ოპერაციის განხორციელება გადაწყვიტა.

გუშინ სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებისა და რეზერვისტთა ფართომასშტაბიანი საშტაბო-სამეთაურო სწავლება არტილერიის, ფლოტის, სატანკო ქვედანაყოფების, ავიაციისა და 3500 სამხედრო მოსამსახურისა და რეზერვისტის მონაწილეობით დაიწყო.

სოხუმის ხელისუფლების ოფიციალური ვერსიით, 18-21 აპრილს დაგეგმილი სამხედრო სწავლებები მიზნად აფხაზეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას ისახავს. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სამხედრო უწყებასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, სოხუმის სახელისუფლებო წრეებში სერიოზულად განიხილავენ საქართველოს მხრიდან აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობას. მისივე თქმით, აღნიშნული ვერსიით, გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ აფხაზეთის დედაქალაქშია მოსალოდნელი.

ინტერ-პრესი

სერგეი ჩაბანი - სამშვიდობო ძალების ახალი სარდალი

დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს მდივანმა, გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრ სინაისკიმ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას, გუშინ, აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ახალი სარდალი, გენერალ-მაიორი სერგეი ჩაბანი წარუდგინა.

ხაინდრავას გარდა, სერგეი ჩაბანი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს ლევან ნიკოლეიშვილს და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს ირაკლი ალასანიას შეხვდა.

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების სარდლად დანიშვნამდე გენერალ-მაიორი სერგეი ჩაბანი მოსკოვის სამხედრო ოლქის გვარდიის არმიის ხელმძღვანლის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

როგორც ხაინდრავასთან შეხვედრის შემდეგ, გენერალ-მაიორმა სერგეი ჩაბანმა აღნიშნა, იგი განაგრძობს კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების ტრადიციებს და მათთვის განსაზღვრული მანდატის ფარგლებში იმოქმედებს.

ხაინდრავას განცხადებით, სამშვიდობო ძალების ახალ სარდალთან დაკავშირებით მსჯელობა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. მისივე თქმით, სერგეი ჩაბანის კანდიდატურასთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ თანხმობა იმის გამო განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი არა მედესანტე, არამედ სამხედრო მართვის სფეროს წარმომადგენელია.

როგორც საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ ახალ სარდალთან შეხვედრისას აღნიშნა, ქართული მხარე არ შეეგუება სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების თვითნებობას და მანდატის დარღვევის შემთხვევებს, რომლებსაც ალექსანდრ ეფტეევის დროს ჰქონდა ადგილი.

ინტერ-პრესი

რუსული მხარე ბაზების გასაყვანად 3-4 წელს მოითხოვს

რუსეთი საქართველოდან ბაზებს მანამდე არ გაიყვანს, ვიდრე მოლაპარაკებაზე ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმება არ იქნება მიღწეული.

ამის შესახებ სააგენტო "რია ნოვოსტის" რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანმა განუცხადა, რომელმაც კომენტარი გაუკეთა 14-15 აპრილს თბილისში გამართულ ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებს.

"ამ საკითხში რუსეთის ოფიციალური პოზიცია არ შეცვლილა და არ შეიცვლება - ბაზების გასაყვანად, მინიმუმ, 3-4 წელი გვჭირდება. ორჯერ ნაკლები ვადა, რომელსაც ქართული მხარე ულტიმატუმის ფორმით გვთავაზობს, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია," - აღნიშნა რუსეთის თავდაცვის უწყების წარმომადგენელმა.

თბილისში გამართული მოლაპარაკებების შედეგებს მან "მარცხი" უწოდა.

ინტერ-პრესი

United Nations Development Programme
UNDP Georgia
15 April 2005

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, "სამხრეთ კავკასიის გენდერისა და პოლიტიკის პროგრამის" ფარგლებში

აცხადებს ტენდერს

გენდერული თანასწორობისა და საზოგადოებრივი ინფორმირების კომპონენტის განხორციელებაზე

დეტალური ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია გაერო-ს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: http://www.undp.org.ge, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ინტერნეტიდან ან მიიღოთ გაერო-ს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში.

ტექნიკური და ფინანსური განაცხადისგან შემდგარი წინადადება უნდა წარმოდგენილ იქნას დალუქულ კონვერტში, და მოთავსდეს გაერო-ს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში არსებულ სპეციალურ ყუთში. გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები 2005 წლის 16 მაისს, 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი
ტელ 995 32 25 11 26/28/29/31. ფაქსი: 995 32 25 02 71.
საკონტაქტო პირი: პროგრამის ოფიცერი ნათია ჩერქეზიშვილი.

პრეზიდენტის ვიზიტი ბორჯომში

ზაფხულის დასაწყისისთვის ბორჯომის პარკი სრულიად განახლდება. ამის შესახებ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბორჯომში განაცხადა, სადაც განახლება-მშენებლობის სამუშაოების დაწყების ოფიციალურ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

პრეზიდენტის თქმით, ხელისუფლება სერიოზულად იზრუნებს ბორჯომის, როგორც კურორტის, პოპულარიზაციაზე.

ამასთან, როგორც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში ბორჯომში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, დაახლოებით, 50 ათასამდე მოსწავლე უფასოდ დაისვენებს.

პრეზიდენტმა ბორჯომში ბოლო ერთი წლის მანძილზე დაქორწინებულ წყვილებს საჩუქრად 100-100 ლარი გადასცა. 50-50 ლარით დასაჩუქრდნენ დამსახურებული მასწავლებლები.

პრეზიდენტის თქმით, პარკის რეკონსტრუქცია-მშენებლობის პარალელურად, პარკის შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობა უახლოეს მომავალში წყლით და გაზით უზრუნველყოფილი იქნება.

მიხეილ სააკაშვილი იმედოვნებს, რომ ქვეყანაში ბორჯომის წარმოება საბჭოთა პერიოდის მასშტაბებს მიაღწევს. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, კიევში მისი ვიზიტის შემდეგ უკრაინაში ბორჯომის იმპორტი ორჯერ გაიზარდა.

ინტერ-პრესი

ინტერ-პრესი

პრეზიდენტი ბორჯომელ ყმაწვილებს შორის.

მშენებლები კანონმდებლობას ითხოვენ

თამარ დვალი

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრები გუშინ სამშენებლო კომპანიებისა და არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრა სამშენებლო სფეროში არსებული პრობლემების გაცნობას ისახავდა მიზნად. როგორც მშენებელთა ფედერაციის პრეზიდენტმა თეიმურაზ ჯანაშიამ განაცხადა, თბილისის ტერიტორიაზე, 2003 წელთან შედარებით, მშენებლობები ორჯერ შემცირდა, რაც საქართველოში არსებულ მაღალ გადასახადებსა და შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობას უკავშირდება. სპეციალისტების თქმით, სამშენებლო სფერო საქართველოში თითქმის აღარ არსებობს.

გრიგოლი ბაბაიანის ფოტო

"სამშენებლო დარგის მართვაში დღეს კრიზისია შექმნილი. ეს კრიზისი წლების განმავლობაში კანონების არმიღებით არის გამოწვეული. სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ გაიაზრა მნიშვნელობა ისეთი სფეროსი, როგორიც არქიტექტურული სამშენებლო დარგია. მეხუთე წელიწადია, პარლამენტმა ვერ განიხილა ქალაქმშენებლობის შესახებ კანონი, რომელიც იმ ძირითად პარამეტრებს აწესრიგებს, რაც ამ დარგის მართვისთვის არის საჭირო," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ დავით აბულაძემ.

მშენებლების აზრით, ქალაქის ძველ ნაწილში, სადაც მჭიდრო განაშენიანება და მწვავე ავარიული სახლებია, ქალაქის მთავრობამ ინვესტორს ნაკლები გადასახადი უნდა დაუწესოს. ამით შესაძლებელი გახდება, მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდეს.

მშენებელთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარემ გურამ ხომერიკმა სამშენებლო საქმიანობაზე დღგ-ს ხუთ პროცენტამდე შემცირება მოითხოვა. მისი განცხადებით, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ქვეყანაში მშენებლობის დარგის განვითარება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადი 20 პროცენტს შეადგენს. პირველი ივნისიდან კი ეს ციფრი 18 პროცენტამდე შემცირდება.

"პირველ რიგში, ძირეული საკანონმდებლო ბაზაა შესაქმნელი, ანუ სამშენებლო კოდექსი, რომელიც დღეს არ გვაქვს. არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც მშენებლობის საკითხებზე პასუხისმგებლობას იკისრებს. ახლახან გაუქმდა საქსტანდარტი, რაც ჩემთვის მიუღებელი და გაურკვეველია. ნებისმიერი გამზომი ხელსაწყო ყოველ წელიწადს სტანდარტიზებული უნდა იყოს. სად მოვახდინოთ ჩვენი გამზომი აპარატურის გეოდეზიური, გეოტექნიკური შემოწმება? ამის გარეშე ტენდერში არავინ დაგიშვებს. ეს ქაოტური მდგომარეობა უნდა დალაგდეს," - აღნიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-გეოლოგიური კათედრის გამგემ ომარ ქუცნაშვილმა.

როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ვაჟა კილაძემ განაცხადა, მოსმენის შემდეგ, კომიტეტში შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც დღევანდელ შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნების სისტემატიზაციას მოახდენს და აღნიშნულ საკითხს კომიტეტში დაგეგმილი მოსმენისთვის მოამზადებს.

"ჩვენ გვაინტერესებს, როგორ ვითარდება სამშენებლო დარგი თბილისში. დღეს მოვუსმინეთ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს, თუ რა პრობლემები აწუხებთ. ორ კვირაში მერიის თანამშრომლებს შევხვდებით და გავარკვევთ, თუ რა კეთდება ამ მიმართულებით. ჩემი აზრით, ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არ არსებობს ქალაქის გენგეგმა, არ არსებობს სწორი კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს თამაშის წესებს. როგორც ჩანს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს ინდივიდუალური მიდგომა ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით," - განაცხადა ვაჟა კილაძემ.

"ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია მომავალ წლამდე გადაიდო

"ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია მომავალი წლისთვის გადაიდო.

მთავრობის ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, ჰიდროელექტროსადგური 11 მაისს ერთი თვით მაინც გაჩერდება. ამ პერიოდში დაგეგმილია პირველი აგრეგატის საკეტის გაკეთება, რათა გერმანულ კომპანია "ფიოტ-სიმენსს" მესამე აგრეგატის აღდგენის შემდეგ პირველი აგრეგატის აღდგენის შესაძლებლობა მიეცეს.

როგორც "ინტერ-პრესს" ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა განუცხადა, გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით "ენგურჰესის" გაჩერება წელს საინსაკო იყო, რადგან დაზიანებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" და საქართველო რუსეთის ენერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში არ მუშაობს.

"გვირაბის რეაბილიტაცია მომავალი წლისთვის გადავდეთ. მომავალ წელს საქართველოს ენერგოსისტემა ამისათვის უფრო მომზადებული იქნება, რადგან დაგეგმილია "თბილსრესის" სამივე ბლოკის რეაბილიტაცია. წელს გვირაბს სპეციალისტები დაათვალიერებენ და დაზიანებული ადგილების ფოტომასალის სკანირებას განახორციელებენ," - განაცხადა ხეთაგურმა. "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია წელს, 1 მარტს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რამდენჯერმე გადაიდო. რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "კავკასიონის" დაზიანების გამო, მთავრობამ წელს ჰესის 90 დღით გაჩერება ვერ გაბედა. "ენგურჰესის" რეაბილიტაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

24 საათი

ოპეკ-ი მაისიდან ნავთობის მოპოვების კვოტებს გაზრდის

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი) მაისიდან ნავთობის მოპოვებას დღეში 500 ათასი ბარელით გაზრდის. ამის შესახებ ოპეკ-ის პრეზიდენტმა შეიხ აჰმედ ას-საბაჰმა განაცხადა.

შედეგად, ოპეკ-ის ქვეყნების მიერ მოპოვებული ნავთობის მოცულობა დღე-ღამეში 28 მილიონ ბარელს მიაღწევს. ორგანიზაციის პრეზიდენტის თქმით, ნედლეულის მოპოვების მოცულობის გაზრდა მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში მოთხოვნილებების ზრდის პერსპექტივებითაა გამოწვეული.

ას-საბაჰის განცხადებამ მსოფლიოს ძირითად სასაქონლო ბირჟებზე "შავი ოქროს" ფასების დაცემის ტემპები დააჩქარა. მაგალითად, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე დღეს ერთი ბარელი უკვე 89 ცენტით გაიაფდა და 50 დოლარი და 72 ცენტი შეადგინა.

ინტერ-პრესი

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ქალაქისა და რაიონის გამგეობები ორ მილიონს ვერ იყოფენ

თეა თედლიაშვილი
გორიდან

ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონის განვითარებისათვის გამოყოფილი ორი მილიონი ლარი გორის ქალაქისა და რაიონის გამგეობებისთვის პრობლემად იქცა. ორივე მხარე მიიჩნევს, რომ თანხა მათ ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს. რეგიონების განვითარებისთვის ორ-ორი მილიონი ქალაქ რუსთავს, ქუთაისს, გორს, ზუგდიდსა და ოზურგეთს უნდა გადასცემოდა. გორის გარდა, ყველა ქალაქმა ეს თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში უკვე ასახა.

"მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მიიღო კანონი და გორის განვითარებისათვის ორი მილიონი გამოიყო, ჩვენ შევადგინეთ პროექტი და ფინანსთა სამინისტროში ჩავიტანეთ. პროექტის ასლი გადავუგზავნეთ გორის რაიონის გამგეობას. რამდენიმე დღის შემდეგ ფინანსთა სამინისტროდან მოვიდა წერილი, რომ ჩვენ და გორის რაიონის გამგეობას პროექტები უნდა შეგვეჯერებინა, რადგან შესაბამისობაში არ მოდიოდა. არ ვიცი, საერთოდ რად წარადგინა პროექტი რაიონის გამგეობამ, თანხა გორის განვითარებისთვის იყო გამოყოფილი. მაგრამ ფინანსთა სამინისტროში საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა დვითი ხოსროშვილმა მითხრა, რომ კანონში შეცდომაა დაშვებული. მე ვთხოვე რაიონის გამგებელს, შეგვეჯერებინა პროექტები, რაც დღემდე არ მომხდარა," - განმარტავს ქალაქ გორის გამგებელი კოტე თავზარაშვილი.

გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი რაიმე საუბარს თავზარაშვილთან და განვითარების ორი პროექტის შეჯერების მცდელობას უარყოფს. მთავრობის სხდომაზე სწორედ გორის რაიონის გამგეობის პროექტი განიხილეს და მიიღეს კიდეც.

"კანონში შეცდომაა გაპარული, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს - რუსთავსა და ქუთაისს მექანიკურად მიჰყავა რაიონული დაქვემდებარების ქალაქები, სინამდვილეში თანხა რაიონის განვითარებისთვის გამოიყო. ეს ტექსტი გასწორდება და პარლამენტში ბიუჯეტის ცვლილებებთან ერთად შევა," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში გორის რაიონის გამგებლის მოადგილემ თამარ ედიშერაშვილმა.

"ქალაქ გორის გამგეობას პროექტი ჩვენთან რომ შეეთანხმებინა, ასეთი გაუგებრობა არ მოხდებოდა. ორი მილიონიდან 919 ათას ლარს მიიღებს ქალაქი გორი, ხოლო დანარჩენი თანხა რაიონში შემავალ სოფლებზე გადანაწილდება. მთავრობის სხდომაზე ჩვენი პროექტი იმიტომ გაიტანეს, რომ უფრო მეტ პრობლემებს მოიცავდა. ჩვენ ორი მილიონი ლარი უფრო რაციონალურად გავწერეთ. ჩვენი ვალია, სხვა თვითმმართველობებზეც ვიზრუნოთ," - ამბობს ედიშერაშვილი.

ქალაქის გამგებლის აზრით, რაიონის გამგეობის შედგენილი პროექტი სრულყოფილი არ არის. **"ქალაქში გზებისა და სახურავების შეკეთება ჩვენი ექსკლუზიური უფლებაა. რაიონის გამგეობამ ყოველგვარი კომისიის გარეშე შეარჩია ის ბინები, რომლის სახურავებიც შეკეთდება. სხვა ქალაქებმა თუ ასახეს ეს თანხა საკუთარ ბიუჯეტში, მე რატომ მიქმნიან პრობლემებს? ვფიქრობ, ეს განგებ ხდება, რადგან არ სურთ მნიშვნელოვანი საქმეები გავაკეთოთ. კანონში არსად წერია, რომ ორი მილიონიდან ნაწილი რაიონის გამგეობას უნდა გადაეცეს,"** - ასეთია კოტე თავზარაშვილის პოზიცია. ქალაქის გამგებელი შიშობს, რომ ადგილობრივ არჩევნებში რაიონის გამგეობა მისთვის ხელის შეშლას სხვადასხვა გზით ეცდება. ერთი-ერთი ამგვარი ხერხი კი ქალაქისთვის გამოყოფილი თანხების გადამისამართებაა.

"დღეის მდგომარეობით, კანონში ბიუჯეტის შესახებ ცვლილებები შეტანილი არ არის. იმის მიუხედავად, რომ ფინანსთა სამინისტრომ გამგეობებს პროექტების შეჯერება დაავალა, ეს არ მომხდარა, და მთავრობამ პირდაპირ გორის რაიონის გამგეობის პროექტი განიხილა. ორი მილიონის გადამისამართებას ესაჭიროება სამართლებრივი საფუძვლები, რაც ამ შემთხვევაში არ არსებობს. კანონის არსებული რედაქციის თანახმად, ორი მილიონი ქალაქ გორის გამგეობას ეკუთვნის. აქ უკვე საუბარია თვითმმართველობის იგნორირებაზე," - ასეთ კომენტარს აკეთებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელი ქეთი ბებიაშვილი.

ზურაბ ნოღაიდელი კარიმოვს ამშვიდებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ყველაზე "შეუვალნი" პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის პუტინის რუსეთი და ლუკაშენკოს ბელორუსია. თუმცა, ამ უკანასკნელს რევოლუციას სულ მალე უწინასწარმეტყველებენ.

რუსეთშიც კი დაიწყეს საუბარი "ნარინჯისფერ-ვარდისფერ საფრთხეზე", ხოლო პუტინის რეჟიმი სპეციალურ "ზონდერკამანდებს" ქმნის (ე.წ. მოძრაობა "ნაში"), რათა 2008 წლისთვის წინ აღუდგეს დემოკრატიულ ძალებს.

ამ ფონზე ისლამ კარიმოვის აქტიურობა სავსებით ლოგიკური ჩანს - იმ ტექნოლოგიის გამოყენებით, რასაც ჯერ კიდევ (ვიმეორებ) მოლდოვას პრეზიდენტმა ვორონინმა მიაგნო, როდესაც ანტინომენკლატურული რევოლუციის "ბრენდის" შემქმნელ საქართველოსთან ურთიერთობა გააქტიურა.

ზურაბ ნოღაიდელისა და ისლამ კარიმოვის მოლაპარაკებათა ძირითადი თემა სწორედ პოლიტიკური პრობლემატიკა იყო. მათ შორის, უზბეკეთის მონაწილეობა "სუუამის" გაერთიანებაში.

სარწმუნო წყაროს ცნობით, ზურაბ ნოღაიდელმა, პრეზიდენტ სააკაშვილთან შეთანხმებით, უზბეკეთის ლიდერს შესთავაზა "მრავალდონიანი მონაწილეობა" სუუამში. ეს მოდელი გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას სამუშაო ჯგუფებში და ყველა სხვა დონეზე, - თუკი კარიმოვს, ჯერ-ჯერობით, არ შეუძლია უმაღლესი დონის შეხვედრებზე დასწრება.

რაც შეეხება "უზბეკურ რევოლუციას", ზურაბ ნოღაიდელისა და მთლიანად, საქართველოს ხელისუფლების მთავარი "მესიჯი", როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობდა, რომ ეს უზბეკეთის საშინაო საქმეა. თუმცა, "სწორი მიმართულებით" ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, თბილისი მზად არის, ისეთივე კეთილგანწყობილი პოზიცია დაიკავოს, როგორიც ჰქონდა (თავდაპირველად) ყირგიზეთის მიმართ - სანამ ასკარ აკაევმა საქართველოს შუამავლობაზე უარი არ თქვა, კონფრონტაციული პოზიცია არ აირჩია და პრეზიდენტ სააკაშვილის წინადადებებს უხეშად არ უპასუხა.

როგორც ჩანს, კარიმოვი ცდილობს, ეს შეცდომა არ გაიმეოროს.

გაერო ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებით კმაყოფილია

ნინო გომართელი

ᲤᲝᲢᲝ ᲮᲔᲠᲫᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ჰაიდი ტალიავინი კვლავ ნდობის ფაქტორზე საუბრობს.

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი 7-8 აპრილს, ჟენევაში გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებით კმაყოფილია.

შეხვედრაზე განხილული იყო სამი პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი: ეკონომიკური თანამშრომლობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებული დაბრუნება და უსაფრთხოების პოლიტიკური გარანტიები.

"შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ არის ორივე მხარის ინტერესი, ამ პრაქტიკულ საკითხებზე დიალოგი განახლდეს," - განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა.

ჰაიდი ტალიავინი მოლაპარაკებათა შედეგს დადებითად იმის გამო აფასებს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დონეზე მხარეები სამხედრო მოქმედებების გამორიცხვასა და კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებაზე, ჟენევის ფორმატით შემდგომ შეხვედრაში მონაწილეობაზე, შემოდგომისთვის გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნაზე და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაწილეობით გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა რეგისტრაციის დაწყებაზე შეთანხმდნენ.

მისივე თქმით, ჟენევის შეხვედრას, კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბოლო შეხვედრამდე მხარეებს პირდაპირი კონტაქტი 10 თვის განმავლობაში არ ჰქონიათ.

ტალიავინის ინფორმაციით, ჟენევაში როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა მხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს, რომ ახლო მომავალში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართოს, რათა განხილული იქნეს უსაფრთხოების საკითხები. რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროს, **"ორივე მხრიდან გაცხადდა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა ძალზე კარგი ინსტრუმენტია არა მხოლოდ ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების, არამედ ნდობის ფაქტორის აღდგენის კუთხით, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია სამშვიდობო პროცესისთვის."**

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ცნობით, შეხვედრაზე გაჟღერდა სხვადასხვა წინადადებები და გამოიკვეთა პერსპექტივა ერთობლივი მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნა-განვითარებაზე. **"გერმანული მხრიდან არის შემოთავაზება, ქართული და აფხაზური მხარეების მონაწილეობით, გაიმართოს კონფერენცია ეკონომიკურ საკითხებზე, რისი მიზანიც დონორთა მოზიდვა იქნება,"** - აცხადებს ტალიავინი და იქვე აღნიშნავს, რომ კონფერენციის წარმატების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, ორივე მხარე წინასწარ მოემზადოს და გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში მზად არის, ამას ხელი შეუწყოს.

ამასთან, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გუშინ დაწყებული ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებების შესახებ კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ გენერალური მდივნის წარმომადგენლობა ამის შესახებ ინფორმირებული იყო. ტალიავინის თქმით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 18-21 აპრილისთვის დაგეგმილი სამხედრო სწავლებების შესახებ გაეროს სოხუმის ოფისს წინასწარ, დიდი ხნით ადრე შეატყობინა.

მისი მტკიცებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული, გაეროს დამკვირებელთა მისია ამჟამად აფხაზეთში მიმდინარე წვრთნებზე დაკვირვებას აწარმოებს და იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო სწავლებებმა უსაფრთხოების ზონაში გადაინაცვლა, რაც მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების დარღვევა იქნება, გაეროს დამკვირვებელთა მისია აფხაზეთის ხელისუფლებას დარღვევების შესახებ წერილობით მიმართავს და თავის პროტესტს გამოთქვამს.

პარლამენტის თავმჯდომარე პასუხს სალომე ზურაბიშვილს სთხოვს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თავის მხრივ, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სპიკერის დავალების შესასრულებლად ერთკვირიან ვადას ითხოვს, რადგან დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი ამ დღეებში საზღვარგარეთ მიემგზავრება. ამასთან, კოტე გაბაშვილი "მეომარ მხარეებს" "დაზავებისკენ" მოუწოდებს.

"დაპირისპირების ძებნა საჭირო არ არის," - მიიჩნევს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

ასე რომ, მიმდინარე კვირაში ბურჯანაძე-ზურაბიშვილის კონფლიქტი დროებით მეორე პლანზე გადაინაცვლებს. "ვაკუუმს", ალბათ, საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებით გამოწვეული ვნებათღელვა შეავსებს. ამ საკითხის საკომიტეტო მოსმენა დღეს გაიმართება და იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება მოხდება, საარჩევნო კანონში ცვლილებებსა და დამატებებს (მეორე მოსმენით) პარლამენტი ამ კვირაშივე შეიტანს.

19-22 აპრილის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შეტანილია რამდენიმე საკითხი, რომლებზეც პარლამენტარებსა და მთავრობის წევრებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. ერთ-ერთი "სადავო" კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მივლინების საფუძველზე წარგზავნილ ჟურნალისტებს ომის ვეტერანის სტატუსი უნდა მიენიჭოთ, რასაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

"იმ ადგილობრივმა მოსახლეობამ რაღა დააშავა, ვინც ევაკუირება ვერ მოასწრო ან არ ისურვა და ომის მთელი საშინელება თავის თავზე იწვნია? ამ ადამიანებზე რატომ არ უნდა გავრცელდეს შეღავათები?" - ასეთია მთავრობის წარმომადგენელთა კონტრარგუმენტები, რომლებზეც ისინი მხოლოდ არაოფიციალურად საუბრობენ.

აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობა უკან დახევას არ აპირებს და "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის პირობას დებს.

საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობას შორის დავის საგანია კანონპროექტიც, რომელიც შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებისთვის საიდუმლო ბრძანების გამოცემის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს. პარლამენტარები ამის აუცილებლობას ვერ ხედავენ და კანონპროექტის ჩაგდებით იმუქრებიან.

სამაგიეროდ, მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა ერთსულოვანია იმაში, რომ შეცდომა იყო საგადასახადო კოდექსში იმ მუხლის შეტანა, რომელიც საგადასახადო დავების გადაწყვეტას არბიტრაჟს აკისრებს. არბიტრაჟის გაუქმებას მხოლოდ "შემარჯვენე ოპოზიცია" ეწინააღმდეგება.

"პლენარულ სხდომაზეც ვიმსჯელოთ. ეს არ არის ისეთი საკითხი, ერთი ხელის დაკვრით რომ უნდა გადაწყდეს," - დისკუსიის გაგრძელებისკენ მოუწოდებს დეპუტატებს პარლამენტის თავმჯდომარე.

"კონსერვატორების" მოთხოვნით, მიმდინარე კვირის დღის წესრიგში კიდევ ერთი ხმაურიანი საკითხი შევიდა. ეს არის დადგენილების პროექტი "მოქალაქეთა კუთვნილი ანაბრების გაუფასურებისა და ბლოკირების მიზეზების, აგრეთვე, სახელმწიფო შემნახველი ბანკის პრივატიზების კანონიერების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ."

ამ დადგენილების პროექტის განხილვის მოთხოვნას 61 პარლამენტარი აწერს ხელს. თუმცა, საეჭვოა, "კონსერვატორების" საკანონმდებლო ინიციატივამ რაიმე ხელშესახები კონკრეტული შედეგი გამოიღოს - ანაბრების გაუფასურების საკითხთან ჭიდილი სიზიფეს შრომის ტოლფასია.

ნაციონალების კონფერენცია რუსთავში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ძალას და მონდომებას არ დავიშურებ, რომ თქვენი იმედები გავამართლო. კარგად მაქვს გააზრებული ის პრობლემები, რომელიც ჩვენს წინაშეა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ყველა ჩვენი ნაბიჯი რუსთაველების კეთილდღეობას მოემსახურება. ყველა ერთად უნდა ჩავებათ აღმშენებლობის პროცესში, ყველა, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც რუსთავის დანგრევასა და განადგურებაში იღებდნენ მონაწილეობას," - განაცხადა საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულმა რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჩიქოვანმა. ის "დამანგრევლების" დასახელებას მოერიდა იმ მოტივით, რომ **"ყველამ ისედაც იცის, ვისზეა საუბარი..."**

პარლამენტარმა ბესო ჯუღელმა, მისთვის დამახასიათებელი უშუალო მანერით, შეაგულიანა რუსთაველი თანაპარტიელები და აუწყა - მომავალი ორი თვის მანძილზე ენერგოკრიზისი უფრო გამწვავდება, გაუძელით და მერე სულ ნათელში იქნებითო...

"მინდა განსაკუთრებით გამოვყო ამ ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის, გოგი სალაყაიას როლი რუსთავის ცხოვრებაში. ის თავდაუზოგავად იღწვის რუსთაველების პრობლემების მოსაგვარებლად," - ჯუღელის ეს რეპლიკა ბევრმა რუსთაველმა დაცინვად მიიღო, რადგან სალაყაიას 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად, კავშირი აღარ ჰქონია რუსთაველებთან და დღემდე მან მაჟორიტარი დეპუტატისათვის აუცილებელი ოფისის გახსნაც კი ვერ მოახერხა.

დღეისთვის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია მარნეულშია დაგეგმილი. წინასწარი ინფორმაციით, იქ შესაძლოა, ვითარება დაიძაბოს კიდეც, რადგან რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელსა და ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს შორის დაპირისპირება არსებობს.

საკმაოდ საინტერესო და დამაინტრიგებელი მდგომარეობაა ბოლნისში. არაოფიციალური ინფორმაციით, იქ შესაძლოა, მსგავსი კონფერენცია არც გაიმართოს. ბოლნისელ ნაციონალებს შორის განხეთქილებამ ჯერ კიდევ გასულ წელს იჩინა თავი. შიდა დაძაბულობა იქ კვლავ აქტუალურია, ალბათ, ამიტომ ბოლნისში, ჯერ-ჯერობით, არავინ იცის, როდის ჩატარდება დამფუძნებელი კონფერენცია, ან ჩატარდება თუ არა საერთოდ...

აჭარის მთავრობამ "სუსტი რგოლი" გამოავლინა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აღნიშნულ თანამდებობაზე დიდხანს ვერ გასტანდა, მაგრამ არა იმ მიზეზით, რომ მას ფიცი ჰიპოკრატესათვის არ მიუცია, არამედ იმიტომ, რომ კულუარებში მთავრობის თავმჯდომარის, ლევან ვარშალომიძისა და ხაბაზის გუნდის წევრებს შორის არსებულ უთანხმოებაზე საუბრობდნენ. რისთვის დააწინაურეს ჯანმრთელობის დაცვის უკვე ყოფილი მინისტრი - კარგი მუშაობისათვის თუ იმისთვის, რათა ვარშალომიძის გუნდისთვის ჩამოეშორებინათ გარკვეულ მოვლენებზე მთავრობისთვის არაადეკვატურად მორეაგირე ხაბაზი - ამის ნამდვილი მიზეზი დღესაც აქტიური სასაუბრო თემაა არა მხოლოდ მოსახლეობაში, არამედ ოპოზიციის წარმომადგენლებშიც. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ კობა ხაბაზი ახალი თანამდებობის შემოთავაზებამ იმდენად აღაფრთოვანა, წასვლამდე არსებულ თანამდებობაზე რეალური კანდიდატის დასახელებაც ვერ მოასწრო. თუმცა, მისივე თქმით, ბევრი ღირსეული პერსონა დაასახელა. იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობაზე შესარჩევად ხაბაზის მიერ დასახელდა (ზურაბ ჩომახაშვილი - მოადგილე სოციალურ საკითხში, სალომე ღლონტი - ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარე, კახა ქაშიბაძე - ექიმი), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უკვე ახალი მინისტრის მამუკა ნაკაშიძის პერსონა არ გაჟღერებულა (ალბათ, ჯანდაცვის მინისტრობისთვის ის არც ჭიპაშვილის კარებთან მდგარა). ეს უკანასკნელი მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნულ თანამდებობაზე უკვე წარადგინა. მამუკა ნაკაშიძე, ქალაქის ჯანდაცვის სამმართველოს ყოფილი უფროსი, 37 წლისაა და იგი ბათუმის N1 საავადმყოფოშიც მუშაობდა. ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში დაგროვილი პრობლემების მოგვარებას თავდაუზოგავი შრომა სჭირდება, ახალი მინისტრის მუშაობის შედეგს საზოგადოება მალე მოითხოვს, ამიტომ მამუკა ნაკაშიძე აქტიურ მუშაობას შეუდგა...

აჭარის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს უკვე ყოფილ უფროსს სოფიკო ახობაძეს, ხაბაზზე ცოტა ადრე დაუფასეს ნაყოფიერი მუშაობის შედეგები და გარემოს დაცვის მინისტრის - გიორგი პაპუაშვილის თანაშემწედ დააწინაურეს. თავისუფალი სავარძლისა და ვაკანტური თანამდებობის მსურველი აქაც ბევრია, მაგრამ ვინ იქნება ახალი უფროსი, ჯერ არც აღნიშნულ სამმართველოში იციან დაზუსტებით. აჭარაში კი ტყეები ახობაძის დროსაც და მის შემდეგაც ისევ იჩეხება, ბინძურ წყალს ყოფილი უფროსის დროსაც სვამდა მოსახლეობა და მის შემდეგაც არავის უზრუნია აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. მოკლედ, საზოგადოება არც ახალი უფროსისაგან ელოდება დიდ პროგრესს, რადგან არსებული ხელისუფლების ზოგიერთი ჩინოვნიკის უნიათობის შედეგად სავსებით დარწმუნდნენ მათემატიკური ფორმულის სიზუსტეში, რომ "ადგილების შეცვლით, ჯამი არ იცვლება".

მთავრობის თავმჯდომარესთან დახურულ კარს მიღმა გამართულ თათბირზე მისული რაიონის გამგებლები, უკვე ღია კარიდან არა რაიონის ხელმძღვანელ პირებად, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებად გამოვიდნენ. ხუთივე რაიონის გამგებელმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება ერთდროულად დაწერა. მათივე განცხადებით, რაიონებში დაგროვილი პრობლემები უფრო ახალგაზრდა კადრს მოითხოვს. ისინი თავიანთი გაწეული სამსახურით კმაყოფილნი არიან, მიაჩნიათ, რომ არაფერი დაუშავებიათ და არც გულისტკივილს გამოთქვამენ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით. თანამდებობიდან წასვლას ზოგი ასაკს, ზოგი საქმის სათანადოდ ვერშესრულებას და სხვადასხვა მიზეზს უკავშირებს; თუმცა, როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებამდე ხუთივე ერთსაათიანმა თათბირმა მიიყვანა. **"როცა კაცი თანამდებობაზე ინიშნება, მან უნდა იცოდეს, რომ მოვა დრო და ის იმ თანამდებობაზე აღარ იქნება. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ერთადერთი, რაშიც ბედნიერი ვარ, თანამდებობამ ვერ შემცვალა, კაცობაში და ადამიანობაში არაფერი შემშლია,"** - განაცხადა ქობულეთის რაიონის ყოფილმა გამგებელმა გია რომანაძემ, რომლის თანამდებობაც გიორგი სუქნიშვილმა დაიკავა. მან ჯერ კიდევ ზამთარში იცოდა მისი აღნიშნულ თანამდებობაზე მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ.

ოპოზიციის განცხადებით, პირველად რაიონების გამგებლობა უმაღლესი საბჭოს იმ წევრებს შესთავაზეს, რომლებიც კობა ხაბაზის გუნდში მოიაზრებიან, რითიც (ოპოზიციის აზრით) კობა ხაბაზის ინტერეს-ჯგუფის დასუსტება უნდოდათ უმაღლეს საბჭოში, თუმცა სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

ხულო - ტარიელ აბულაძე, შუახევი - ლევან ქამადაძე, ქედა - ზურაბ ავალიანი, ხელვაჩაური - როინ ბერიძე, ქობულეთი - მირზა სუქნიშვილი, - ჩამოთვლილი რაიონების ახლად დანიშნული გამგებლები ნაციონალური მოძრაობის აქტიური წევრები არიან. ისინი ოფიციალურად დაინიშნენ აღნიშნულ თანამდებობებზე, მაგრამ არ იციან, როდის მოუწევთ თანამდებობის დატოვება, რადგან "იგი წავა და სხვა მოვა..." იმდენად მოერგო აჭარის ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომ წამსვლელ-მომსვლელთა ჩამოთვლა, ცოტა არ იყოს, რთულია.

ვნახოთ, ვინ იქნება შემდეგი. ვითამაშოთ სუსტი რგოლი.

ვაკანსია

ამერიკული კომპანია Peocter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებოდაზე.

აუცილებელი მოთხოვნები

ა) ასაკი - 24 წლამდე.
ბ) განათლება - უმაღლესი.
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებისმქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.
დაინტერესებულპირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.

ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების საშუალო სკოლის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "ზარიძეებთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ზარიძეები" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი,
სოფელი ზარიძეები, ზარიძეების საშუალო სკოლის შენობა.
საკონტაქტო პირი გოჩა ჯანგირაშვილი სათემო კავშირი "ზარიძეების" თავჯდომარე.

2005 წლის 19 აპრილიდან 20 მაისამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1500 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი
სოფელი ზარიძეები, ზარიძეების საშუალო სკოლის შენობა.
საკონტაქტო პირი გოჩა ჯანგირაშვილი. სათემო კავშირი "ზარიძეების" თავჯდომარე

2005 წლის 20 მაისამდე 11 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **11:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის გზის რემონტი,

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება
სოფელ ხელედის სათემო კავშირთან "ხელედი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ხელედი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ლენტეხის რაიონი,
სოფელი ხელედი, საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი რობერტ ჩანქსელიანი, სათემო კავშირი "ხელედის"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 25 აპრილიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ლენტეხის რაიონი,
სოფელი ხელედი, საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი რობერტ ჩანქსელიანი, სათემო კავშირი "ხელედი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 25 მაისი 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

"ელიავას ბაზრობას" კვლავ გადატანით ემუქრებიან

"ელიავას ბაზრობის" აგლაძის ქუჩიდან გადატანის საკითხი, შესაძლოა, კვლავ დღის წესრიგში დადგეს. მართალია, ბაზრობის ადმინისტრაციამ მერის დავალება, ასე თუ ისე, შეასრულა და ამ ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობა, გარკვეულწილად, გაიოლდა, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომლის მოუგვარებლობის შემთხვევაში, ბაზრობას ადგილის შეცვლა მალევე მოუწევს.

ნანა ქადაგიშვილი

რამდენიმე კვირის წინ, მოვაჭრეთა ხმაურიანი საპროტესტო აქციების შემდეგ, თბილისის მთავრობამ "ელიავას ბაზრობის" ლილოში გადატანის პროცესი იმ პირობით შეაჩერა, რომ ერთ კვირაში ადმინისტრაციას დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობისთვის უნდა წარედგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც ბაზრობაზე პარკირების სისტემა მოწესრიგდებოდა. ავტოსადგომებისთვის ისეთი ადგილი უნდა მოეძებნათ, რომ ტრანსპორტის გადატვირთული მოძრაობა გარკვეულწილად მაინც შემსუბუქებულიყო. მაშინ ქალაქის მერს არ დაუკონკრეტებია, ამ პირობების შესრულება ბაზრობას სიცოცხლეს რამდენი ხნით გაუხანგრძლივებდა, მაგრამ მოვაჭრეები და ადმინისტრაცია დროებით მაინც დამშვიდდნენ.

ბაზრობის ადმინისტრაციამ გამგეობას დათქმულ დროს აღნიშნული გეგმა მართლაც წარუდგინა და როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი რამაზ სულამანიძე აცხადებს, დღეს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობა უკვე საგრძნობლად შემსუბუქდა. **"ავტოსადგომების ნაწილი ბაზრობის შიდა ტერიტორიაზე განათავსეს, მანქანების ნაწილს კი ტროტუარებზე აჩერებენ. ამისი უფლება მივეცით და ტრანსპორტის მოძრაობაც, გარკვეულწილად, განიტვირთა,"** - აცხადებს სულამანიძე. თუმცა, ბაზრობის აგლაძის ქუჩიდან გადატანის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ეს არ კმარა. აღმოჩნდა, რომ ელიავას ბაზრობა პრობლემას მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობას როდი უქმნიდა. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში გვითხრეს, მოვაჭრეები დღის ბოლოს დაგროვილ ნაგავს (პროდუქტის, სამშენებლო მასალების ნარჩენებს, საღებავების ყუთებს) მტკვარში ყრიან. მტკვრის დანაგვიანებას რომ თავი დავანებოთ, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის განმარტებით, მდინარეში გადაყრილი სამშენებლო მასალების ნარჩენები და საღებავის ყუთები ტოქსიკური ნარჩენებია და მოსახლეობის ჯანმრთელობასაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

გუშინდელ თათბირზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობამ, აღნიშნული ფაქტების აღსაკვეთად, სადამსჯელო ღონისძიებების გატარება გადაწყვიტა. **"ჯერ სანიტარიულ სამსახურს მივმართავთ და ბაზრობის ადმინისტრაციისა და მოვაჭრეთა დაჯარიმებას მოვთხოვთ. ხოლო, თუკი მდგომარეობა მაინც არ გამოსწორდა, ბაზრის ამ ტერიტორიიდან გადატანასაც დავაჩქარებთ,"** - აცხადებს სულამანიძე.

სანიტარიული ინსპექციის განმარტებით, სანიტარიული ნორმების დამრღვევი იურიდიული პირი პირველად 100 ლარით ჯარიმდება, განმეორებითი დაჯარიმებისას კი - 1 500 ლარით. ეს თანხა ელიავას ბაზრობის ადმინისტრაციას ნამდვილად ვერ შეაშინებს, მაგრამ ბაზრობის გადატანა მათთვის უკვე სერიოზული მუქარა იქნება.

ელიავას ბაზრობაზე უფრო ცუდად აქვს საქმე სანაპიროზე, "ყაზბეგის" ქარხნის გვერდით მდებარე რესტორანს. როგორც გამგეობაში ამბობენ, ეს რესტორანი მტკვარს არანაკლებად ანაგვიანებს, რის გამოც მისი დახურვა უკვე გადაწყვეტილია.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ქარელის რაიონის სოფელ საღოლაშენის საშუალო სკოლის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "ბრეთთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ბრეთი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი,
ბრეთის საკრებულო, სოფელი საღოლაშენი, საღოლაშენის საშუალო სკოლის შენობა.
საკონტაქტო პირი ვეფხია შუბითიძე სათემო კავშირი "ბრეთის" თავჯდომარე.

2005 წლის 19 აპრილიდან 19 მაისი 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2300 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი
ბრეთის საკრებულო,სოფელი საღოლაშენი, საღოლაშენის საშუალო სკოლის შენობა.
საკონტაქტო პირი ვეფხია შუბითიძე. სათემო კავშირი "ბრეთის" თავჯდომარე

2005 წლის 19 მაისი 11 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **11:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით თიანეთის რაიონის დაბა სიონის საშუალო სკოლის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "სიონის", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "სიონი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი,
დაბა სიონი, სიონის საშუალო სკოლის შენობა.
საკონტაქტო პირი ირმა ბიძინაშვილი სათემო კავშირი "სიონის" თავჯდომარე.

2005 წლის 19 აპრილიდან 20 მაისამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თიანეთის რაიონი
სოფელი სიონი, სიონის საშუალო სკოლის შენობა.
საკონტაქტო პირი ირმა ბიძინაშვილი. სათემო კავშირი "სიონის" თავჯდომარე

2005 წლის 20 მაისამდე 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

ორი სიტყვით

თბილისი. "სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე მაჰმადიანი მესხების საქართველოში რეპატრიაციის პერსპექტივას აპრიორესტებს. ნათაძის განცხადებით, 300-400 ათასი მაჰმადიანი მესხის საქართველოში დაბრუნება "საქართველოსთვის სიკვდილს ნიშნავს". მისივე შეფასებით, თავის დროზე, ევროსაბჭოს წინაშე ამ ვალდებულების აღებით, ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ სააკაშვილმა "სახელმწიფოს წინაშე ღალატი ჩაიდინეს".

"სახალხო ფრონტის" თავმჯდომარის განმარტებით, თურქ-მესხთა გასახლების გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ისე მიიღო, საქართველოს "მარიონეტი ხელმძღვანელებისთვის" არ შეუთანხმებია. ამიტომ, ნათაძის მოსაზრებით, მაჰმადიან მესხთა წინაშე პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ - რუსეთმა უნდა იკისროს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თერჯოლა. გუშინ თერჯოლაში, "საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" ლიდერებმა დავით ბერძენიშვილმა და დავით უსუფაშვილმა რაიონული ორგანიზაცია დააფუძნეს.

დამფუძნებელმა კონფერენციამ "რესპუბლიკური პარტიის" თერჯოლის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ზაურ გურგენიძე აირჩია, რომელიც მანამდე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი და ლიდერი იყო თერჯოლაში.

ზაურ გურგენიძემ მმართველი პარტია ერთი კვირის წინ საჯაროდ დატოვა და პარტიული მანდატი ჟურნალისტების თანდასწრებით გადააგდო.

ზაურ გურგენიძის ინფორმაციით, "რესპუბლიკური პარტიის" რაიონულ ორგანიზაციაში, დაახლოებით, 200 ადამიანი გაწევრიანდა, რომლებიც ასევე ყოფილი "ნაციონალები" არიან. **ინტერ-პრესი**

პოზიტიური ტენდენციები რძის სექტორის განვითარებაში

"სკანაგრი" საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმაა, რომელიც მოღვაწეობს სოფლის მეურნეობის დარგში. "სკანაგრი" საქართველოში ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს რძის მრეწველობის განვითარებასა და მოსახლეობისთვის ადგილობრივი, ნატურალური, მაღალი ხარისხის პროდუქტის მიწოდებას.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, "სკანაგრი" კონსულტაციებს უწევს ადგილობრივ ფერმერებს, რათა მათ შეძლონ მაღალი ხარისხის რძის წარმოება, გაყიდვა, ბიზნესის ეფექტური მართვა. ამასთან ერთად, პროექტმა 2004 წელს რძის პოპულარიზაციის კამპანია, სახელწოდებით "ერთი ჭიქა რძე" დაიწყო. კამპანიის მიზანია, მოსახლეობამ მიიღოს სწორი ინფორმაცია, რძის კვებითი ღირებულების, მისი მოხმარების აუცილებლობის შესახებ.



რძის პოპულარიზაციის მსგავსი კამპანიები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს. მაგალითად "got milk?" (მიიღე რძე?) აშშ-ში, "three per day" (სამი ულუფა დღეში) დიდ ბრიტანეთში. "captan mike" (კაპიტანი მაიკი) ლიბანში. **რატომ არის საჭირო რძის პოპულარიზაციის კამპანია საქართველოში?**

ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ რძის პროდუქტების საკმარის რაოდენობას მოსახლეობის დიდი ნაწილი არ, ან ვერ იღებს. მათი ორგანიზმი აუცილებელი ვიტამინების და მინერალების დღიურ ნორმას მოკლებულია, რაც ნებისმიერი ასაკის ადამიანის ორგანიზმის ნორმალურად განვითარებასა და ფუნქციონირებას უშლის ხელს.

რძე, შვედეთში ჩატარებული უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით, ორგანიზმისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ 18 დან 14 ვიტამინს და მინერალს შეიცავს. ბევრი ადამიანი, მინერალებისა და ვიტამინების დეფიციტის შევსებას სინთეთიკური მედიკამენტებით არჩევს, მაშინ როდესაც არსებობს ბუნებრივი წყარო რძის სახით.

უკანასკნელ პერიოდში, თბილისში ჩატარებულმა კვლევებმა პოზიტიური დინამიკა გამოაჩინა: თუ 1999 წლის მონაცემებით თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 10% მოიხმარდა ქარხნულ რძეს, 2004 წლისთვის ეს მაჩვენებელი 25% მდე გაიზარდა. თუმცა, სამწუხაროდ მოსახლეობის 75 % კვლავ "ქუჩის რძის" მომხმარებელია. ლაბორატორიულმა ანალიზებმა გამოავლინეს, რომ "ქუჩის რძე" ხშირად ორგანიზმისთვის მავნე ბაქტერიებს შეიცავს, რაც განპირობებულია დამზადების დროს ჰიგიენის და შენახვის წესების უხეში დარღვევით. რამდენიმე შემთხვევაში გამოვლინდა ანტიბიოტიკების დამტების ფაქტები, რძის ამჟავების თავიდან ასაცილებლად. რძის თითქმის 80%-ი გაზავებულია წყლით, რაც ამცირებს მასში არსებული მინერალების და ვიტამინების ეფექტურობას.

მიუხედავად "ქუჩის რძის" სიიაფისა, ნაკლები თანხით ჩვენ ვყიდულობთ დაბალი ხარისხის პროდუქტს და რაც ყველაზე მთავარია, გაზრდილ რისკს ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობისათვის.

.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2004 წლისთვის ქარხნული რძის წილი 25% მდე გაიზარდა. რაც ადგილობრივი რძის მწარმოებლების გაჩენით, მოთხოვნის გაზრდით, მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებით არის გამოწვეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნული რძე ძირითადად ბავშვებისთვის ან ბავშვების საკვების მოსამზადებლად გამოიყენებოდა. დღეს მისი გამოყენება ხდება არა მარტო ბავშვებისთვის. ზოგადად გაიზარდა მათი რიცხვიც, ვინც რძეს დასალევად მოიხმარს.

იზრდება ქარხნული წამოების რძის პროდუქტების ბაზარი. ეს ტენდენცია, ადგილობრივ რძის მწარმოებელებს ახალ შესაძლებლობებს უქმნის. მაგალითის სახით კახეთის მეცხოველე ფერმერთა ასოციაციის, "სკანაგრის" და რძის მწარმოებელი კომპანიის "სოფლის ნობათის" ურთიერთობას მოვიყვანთ. 2004 წელს დედოფლის წყაროში და ხორნაბუჯში რძის შემაგროვებელი ცენტრები გაიხსნა. "სკანაგრის" კონსულტაციების შედეგად შექმნილ ცენტრებში ხდება უმაღლესი ხარისხის რძის შეგროვება. შემდეგ "სოფლის ნობათის" ქარხანაში ტრანსპორტირება, სადაც იწარმოება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რძის პროდუქტები. ანალოგიური რძის შემგროვებელი ცენტრების გახსნა კახეთის სხვა რეგიონებშიც არის დაგეგმილი. აღნიშნული სახის ურთიერთობა სტიმულს აძლევს ფერმერებს, ინვესტირება გააკეთონ ფერმებში, გაზარდონ რძის წარმოება და ხარისხი. ეს ყველაფერი მთლიანად დარგის განვითარების საშულებას იძლევა. იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, მცირდება რძის ფხვნილის იმპორტი.

აუცილებელია ამ პოტენციალის გამოყენება, რისთვისაც საჭიროა თანამედროვე სტანდარტების სისტემების დანერგვა, საკანონმბდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ხარისხის კონტროლის საკითხებს მოაგვარებს. ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის ხელის შეწყობა. მისასალმებელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აქტიურად ჩაერთო რძის სექტორის განვითარების საქმიანობაში.

სკანაგრი-პროექტი საქართველოში
ბარნოვის ქ.56
ტელ/ფაქსი :232926
www.scanagri.ge

თეთრი კვამლის მოლოდინში

ვატიკანი; 18 აპრილი; კონკლავი - კარდინალთა კოლეგიის შეკრება, რომელმაც ახალი პაპი უნდა აირჩიოს, წმინდა პეტრეს ტაძარში საზეიმო მესით დაიწყო. ვატიკანში ამბობენ, რომ ახალი, რიგით 265-ე პაპის ვინაობა უკვე ცნობილია, თუმცა - ჯერ მხოლოდ უფლისათვის; კონკლავს ისღა დარჩენია, სულიწმინდას ხმას მოუსმინოს. თუმცა, ჯერჯერობით, გუშინ საღამოს გამართული პირველი კენჭისყრის შემდეგ სიქსტის კაპელის საკვამურიდან შავი კვამლი ამოვიდა.

ექვსი კონტინენტის 52 ქვეყნიდან ახალი ათასწლეულის პირველ კონკლავზე სპეციალურად ჩამოსულმა 115-მა კარდინალმა ისტორიული არჩევნებისთვის მზადება, ტრადიციისამებრ, ლოცვით დაიწყო. სიქსტის კაპელაში შეკრებილმა წმინდა საყდრის "წითელმა პრინცებმა" უნდა გადაწყვიტონ, თუ ვინ შეცვლის იოანე-პავლე მეორეს და გაუძღვება მილიარდზე მეტ კათოლიკეს.

პაპის არჩევის წესები საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა. დღეს რომის ახალ პაპს ჯერ კიდევ 1274 წელს გრიგოლ X-ის მიერ დამტკიცებული რეგლამენტით ირჩევენ (რასაკვირველია, მასში უამრავი შესწორება და დამატებაა შეტანილი, უკანასკნელი - 1996 წელს თავად განსვენებული იოანე-პავლე მეორის მიერ). თუმცა, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის საპირისპიროდ, ამჟამინდელი კონკლავის მონაწილენი (სახელწოდება მომდინარეობს ლათინური cum claves - გასაღებით დაკეტილი) კონკლავის მთელი მსვლელობისას ერთ ოთახში ჩაკეტილები არ იქნებიან. ვატიკანის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კარდინალები სიქსტის კაპელის მახლობად მდებარე სასტუმროში - "წმინდა მართას სახლში" ისადილებენ და გაათევენ ღამეს.

ბუნებრივია, გარესამყაროსთან რაიმე დამაკავშირებელ საშუალებებზე, მათ შორის - ტელეფონებზე, გაზეთებზე, ტელევიზიაზე ან რადიოზე ლაპარაკიც ზედმეტია. დარბაზში შეკრებილ კარდინალებს ხომ ერთმანეთთან საუბარიც აკრძალული აქვთ (თუმცა, როგორც ამბობენ, დღეს უკვე ამ წესს ასე მტკიცედ აღარ იცავენ). მათ აკრძალული აქვთ კონკლავის სხდომაზე მომხდარის გახმაურებაც. ამისთვის თითოეული დარბაზში მყოფი (მათ შორის, მომსახურე პერსონალი) ფიცს დებს. კონკლავის მიმდინარეობის შესახებ დარბაზს გარეთ მხოლოდ თუჯის ღუმლის საკვამურიდან ამოსული კვამლი გვამცნობს. მუქი კვამლი ნიშნავს - პაპის არჩევა ჯერ ვერ მოხერხდა, ხოლო თეთრი კვამლი იმაზე მეტყველებს, რომ ახალი პაპის ვინაობა ცნობილია და მალე გამოცხადდება.

თავად არჩევნები ფარული კენჭისყრით მიმდინარეობს და გრძელდება მანამ, ვიდრე რომელიმე კანდიდატი ხმათა ორ მესამედს - დღევანდელ პირობებში 77 ხმას, არ დააგროვებს. დღეში შეიძლება მხოლოდ ოთხი კენჭისყრა გაიმართოს. მაგალითად, კაროლ ვოიტილა 1978 წელს, კონკლავის შეკრების მესამე დღეს, მერვე კენჭისყრის დროს აირჩიეს. პირველი კენჭისყრისას, გუშინ პაპის არჩევა ვერ მოხერხდა. თუ 27 წლის წინანდელი სიტუაცია განმეორდა, სავარაუდოდ, ახალი პაპის ვინაობა 22 აპრილამდე გაირკვევა.

თუ როგორ მიმდინარეობდა კონკლავის სხდომა, მხოლოდ 100 წლის შემდეგ გახდება ცნობილი. მანამდე ყველას აკრძალული აქვს ამ საიდუმლოს გათქმა. მას, ვინც ფიცს დაარღვევს, ეკლესიიდან განკვეთა ემუქრება.

24 საათი

"დიპლომატიური სუსხი" ჩინეთსა და იაპონიას შორის

იაპონიისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების უშედეგო შეხვედრის შემდეგ ოფიციალურმა პეკინმა ამომავალ მზის ქვეყანასთან ურთიერთობას "დიპლომატიური სუსხი" უწოდა. "ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში სერიოზული სირთულეები გაჩნდა, რომელიც 1972 წლის შემდეგ ყველაზე კრიტიკულად შეიძლება შეფასდეს", - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

მოლაპარაკებების შედეგებით უკმაყოფილება არც იაპონიის საგარეო უწყების ხელმძღვანელს ნობუტაკა მატიმურას დაუმალავს. მისი თქმით, ჩინელ კოლეგასთან შეხვედრა სრული იმედგაცრუებით დასრულდა. ჩინეთის ხელისუფლებამ მას არ მისცა იმ ობიექტების დაცვის გარანტიები, სადაც იაპონიის ინტერესები ძევს. მატიმურას განცხადებით, ისტორიის განახლებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით შეთავაზებული თანამშრომლობის სანაცვლოდ, პეკინმა ტოკიოს კონფლიქტის განზრახ პროვოცირების ბრალდება წაუყენა.

თუ აქამდე იაპონური ტექნოლოგიების ჩინეთის საწარმოო პოტენციალთან შერწყმა ეფექტურ კომბინაციას წარმოადგენდა, დღეს უკვე იაპონელი მეწარმეები სტრატეგიის გადახედვაზე ფიქრობენ. იაპონიის კუთვნილ უძრავ ქონებაზე თავდასხმის ფაქტებმა ჩინეთის სხვადასხვა რაიონში განთავსებულ იაპონურ კომპანიებზე სერიოზული ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა. იაპონური კომპანიის მესვეურთა განცხადებით, ისინი შეაჩერებენ მრავალ პროექტს და, სანაცვლოდ, ინვესტიციებს სხვა, მათთვის გაცილებით უსაფრთხო ქვეყნებში განათავსებენ.

ბი-ბი-სი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს გროზნოს და თეთნულდის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია 221 გრ. Mმეტრი დ-1000მმ სანიაღვრე ქსელი, 74 გრ. მეტრი დ-300მმ აზბოცემენტის პერფორირებული მილი, დასაყენებელია 6 ცალი თუჯის გვერდმიღები და წვიმმიმღები ცხაური, დასამუშავებელია 1300 მ3 III ჯგუფის გრუნტი, მოსაწყობია 1 კმ სიგრძის დროებითი გზა, ასფალტის ბეტონის საფარი სისქით - 7სმ (4+3) 370მ2.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 მაისის 12 საათიდან 4 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი,კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

■ ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

■ ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

■ ცნობები შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

■ ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

■ ინფორმაციას უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 5 მაისის 12 საათიდან 6 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე-სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

პრაგმატული პრეზიდენტი თურქული კვიპროსის სათავეში

კვიპროსის თურქულ ნაწილში, იგივე ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში, რომელიც კუნძულის საერთო ტერიტორიის მესამედს იკავებს, კვირას საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. როგორც ბევრი მოელოდა, ამ არჩევნების ფავორიტმა, პრემიერ-მინისტრმა მეჰმათ ალი თალათმა ხმების 55,6 პროცენტი დააგროვა და ბევრად აჯობა მის მთავარ კონკურენტს დერვიშ ეროღლუს, რომელმაც ხმების 23 პროცენტი მოიპოვა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავდნენ, "ლიბერალი" პოლიტიკოსის ქვეყნის სათავეში მოსვლა, სავარაუდოდ, თვითაღიარებული რესპუბლიკისთვის ახალი ერის დასაწყისი უნდა გახდეს.

თურქული კვიპროსი "ლიბერალ" ლიდერს ირჩევს.

ეკატერინა ბასარგინა. ფოტო

კოტე ელიზბარაშვილი

მეჰმეთ ალი თალათი კვიპროსის გაერთიანების აქტიური მხარდამჭერია. ამ არჩევნების შედეგი რადიკალურად ცვლის კვიპროსის პოლიტიკურ ვითარებას. მისი წინამორბედი, 82 წლის რაუფ დენქთაში, თითქმის, ნახევარი საუკუნის განმავლობაში გახლდათ გაყოფილი კუნძულის თურქული ნაწილის მთავარი ფიგურა. კვიპროსელი ბერძნები, ისევე, როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობა, სწორედ მას თვლიან მთავარ დამნაშავედ კუნძულის გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებების ჩაშლაში. თალათის სახით, კვიპროსელმა თურქებმა პრაგმატული ლიდერი აირჩიეს, რომელიც კვიპროსის პრობლემის კარდინალური გადაწყვეტილებისათვის უფრო მეტად კომპრომისული პოზიციებია. დენქთაშისაგან განსხვავებით, თალათი პროევროპული პოზიციის აქტიური მიმდევარია და ერთიანი კვიპროსისთვის ბევრს ზრუნავდა. თუმცა, პრემიერ-მინისტრის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში მაინც არ ნიშნავს კვიპროსის პრობლემის ავტომატურ გადაწყვეტას. კვიპროსელი ბერძნები კუნძულის გაერთიანებაზე გაერო-ს მიერ შეთავაზებულ გეგმას კვლავ ეწინააღმდეგებიან. ისინი იმედოვნებენ, რომ თურქეთი იძულებული გახდება, დამატებით დათმობაზე წავიდეს ოქტომბრის მოლაპარაკებების დაწყებამდე, რომელიც ევროკავშირში მის გაწევრიანებას უკავშირდება და სწორედ მაშინ იქნება შეთანხმების პირობა ბერძნებისთვის უფრო ხელსაყრელი.

თურქული კვიპროსის მოქმედ ხელმძღვანელს რაუფ დენქთაშს ამ არჩევნებზე თავისი კანდიდატურა არც კი წაუყენებია. მან განაცხადა, რომ პოლიტიკიდან სამუდამოდ წავიდა. დენქთაში კვიპროსის თურქული ელიტის სათავეში 1974 წლიდან იმყოფება (1973 წელს ის კვიპროსის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტად იყო არჩეული, ხოლო 1974 წელს, თურქული ჯარების მიერ კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაციის შემდეგ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა). 1983 წელს სწორედ მან გამოაცხადა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და 2005 წლის 17 აპრილამდე მისი უცვლელი ლიდერი იყო. მის ნაცვლად მოვიდა 53 წლის ენერგიული და თანამედროვე თალათი. დენქთაში კვიპროსზე ორი გაყოფილი ეთნიკური სახელმწიფოს მხურვალე მომხრე და მხარდამჭერი იყო; მას ადანაშაულებდნენ კვიპროსის პრობლემის მოგვარების ყველა მცდელობის სისტემატურ ჩაშლაში.

თალათმა კი პოლიტიკური კარიერა კუნძულის გაერთიანების თანმიმდევრული მხარდაჭერით შეიქმნა. ორი წლის წინ სწორედ ამ ლოზუნგით გაიმარჯვა მისმა ოპოზიციურმა თურქულმა რესპუბლიკურმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში, რამაც მას პრემიერ-მინისტრის სავარძლის დაკავების საშუალება მისცა. მას შემდეგ თალათის ლიბერალიზმი შეიცვალა და ის ნაციონალისტების მხარეს გადაიხარა; ერთხელ მან ისიც განაცხადა, რომ არ სურს, მისი ვაჟიშვილი და ქალიშვილი კვიპროსელი ბერძნების მეუღლეები გახდნენ. ჩრდილოეთ კვიპროსის საერთაშორისო იზოლაციასთან ბრძოლისას მეჰმეთ ალი თალათი აქტიურად იყენებდა იმ ფაქტს, რომ 2004 წელს კვიპროსელმა ბერძნებმა უარი განაცხადეს, რეფერენდუმზე მხარი დაეჭირათ გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ შეთავაზებულ ჩრდილოეთისა და სამხრეთ ნაწილების გაერთიანების გეგმისათვის.

თალათმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, თუმცა საერთაშორისო დიპლომატიური აღიარება არ მომხდარა. კვიპროსის ბერძნული რესპუბლიკა ევროკავშირში შევიდა, ხოლო ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა კვლავინდებურად განდგომილად ითვლება, რომელსაც, თავისი მფარველი თურქეთის გარდა, ოფიციალური ურთიერთობა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანასთან არ აქვს. პრეზიდენტ თალათს მუდმივად მოუწევს ანგარიში გაუწიოს ანკარას, რომელსაც ჩრდილოეთ კვიპროსში, დაახლოებით, 30-ათასიანი სამხედრო კონტიგენტი ჰყავს. გარდა ამისა, თალათს, წინამორბედისგან განსხვავებით, თურქულ ელიტაში, განსაკუთრებით სამხედრო ხელმძღვანელობაში, ისეთი მყარი და მტკიცე კავშირები არ აქვს.

თუმცა, თავად თურქეთიც სულ უფრო აქტიურად ეძებს პრობლემის დარეგულირების გზებს, რადგან მისი ევროკავშირში შესვლის პერსპექტივას კვიპროსის გადაუჭრელი პრობლემა ამუხრუჭებს. ანკარაში ამ პოლიტიკურმა მეტამორფოზამ უშუალო გავლენა იქონია "ხისტი" დენქთაშის წასვლასა და "ლიბერალი" თალათის მოსვლაზე. ჩრდილოეთ კვიპროსში ცნობილი ოპოზიციონერი შეფიქ დურდურანი თვლის, რომ მეჰმეთ ალი თალათს კვიპროსელი ბერძნების მისამართით მუდმივ კრიტიკაზე უარის თქმა მოუწევს, რომლებმაც ანანის გეგმას უარი განუცხადეს. კვიპროსელი თურქების ახალი ლიდერი მეორე მხარის მოთხოვნებს უფრო გახსნილად და გაგებით უნდა მოეკიდოს. ამ აზრს იზიარებს კვიპროსელი ბერძნების ანალიტიკოსი ქრისტოფოროს ქრისტოფორუ. ის ჩრდილოეთ კვიპროსის პრეზიდენტს ურჩევს, დაივიწყოს უნაყოფო რიტორიკა და ხელშეკრულების შეთანხმების უზრუნველყოფისათვის საჭირო კომპრომისის ძიებას შეუდგეს.

შეგახსენებთ, გაერო-ს ეგიდით, დღემდე კუნძულის ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების უკვე რამდენიმე რაუნდი გაიმართა, მაგრამ გარკვეული პროგრესი მხოლოდ უკანასკნელ ხანს იქნა მიღწეული. კვიპროსის გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებებისას მხარეები ისეთი სირთულის წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ, როგორიცაა კუნძულის ჩრდილოეთით, მმობლიურ ადგილებში ბერძნების დაბრუნების უფლება და კვიპროსიდან თურქეთის ჯარების გაყვანა.

გაერო-ს გეგმა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მქონე ფედერაციის შექმნას ითვალისწინებდა, რეფერენდუმზე 2004 წლის 24 აპრილს გაიტანეს. გაერო-ს ჩანაფიქრით, გაერთიანებული კვიპროსი სახელმწიფო მოწყობით შვეიცარიას უნდა დამსგავსებოდა, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტი რიგ-რიგობით გახდებოდა ბერძნული და თურქული სათვისტომოების წარმომადგენელი. კვიპროსელმა ბერძნებმა რეფერენდუმზე მტკიცე უარი განუცხადეს გაერო-ს გეგმას მაშინ, როდესაც კვიპროსელმა თურქებმა ამ გეგმას მხარი დაუჭირეს, მიუხედავად იმისა, რომ რაუფ დენქთაში სასტიკი წინააღმდეგი იყო. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აღიარა, რომ გეგმა ორივე ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, თუმცა თქვა, რომ ეს სამშვიდობო გეგმა აღნიშნული პრობლემის მოგვარების ისტორიული შანსი იყო. ეს გეგმა კუნძულის ჩრდილოეთ რაიონებში ნაკლები ბერძენი დევნილის დაბრუნებას ითვალისწინებს, ხოლო თურქეთს კუნძულზე სამხედრო ნაწილების შენარჩუნების უფლებას ანიჭებს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში არსებული ქუჩების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 20 პოზიციად (ლოტად):

1. ჭავჭავაძის გამზირი (უნივერსიტეტიდან ვაკის პარკამდე) 2.კოსტავას ქუჩა (26 მაისის მოედნიდან სააკაძის მოედნამდე) 3. ჟ. შარტავას ქუჩა 4. გულუას ქუჩა 5. გულიას ქუჩა და მოედანი 6. გორგასლის ქუჩა (ბაგრატიონის ძეგლიდან სამშობიარო სახლამდე) 7. კოსტავას ქუჩა (მეტრო რუსთაველიდან გმირთა მოედნამდე) 8. მელიქიშვილის გამზირი 9. პუშკინის ქუჩა 10. ვაჟა-ფშაველას გამზირის მონაკვეთები 11. რუსთაველის გამზირი 12. ხომლელის ქუჩა 13. ხომლელისა და თავდადებულთა ქუჩების შემაერთებელი 14. უზნაძის ქუჩა 15. ბარათაშვილის სახელობის ქუჩა და ხიდი 16.გოძიაშვილის ქუჩა 17. ფასანაურის ქუჩა 18. გლდანის I და III მ/რ-ბის გამყოფი გზა 19. გლდანის V-VII მ/რ-ბის გამყოფი გზა 20. გობრონიძის ქუჩა (ზედა მონაკვეთი)

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარი (455.000 მ2), ტროტუარის საფარი (115.000მ2), ბორდიურები და სანიაღვრე სისტემა.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 1 ოქტომბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 მაისის 12 საათიდან 4 მაისის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირისათვის:**

■ სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

■ ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

■ ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

5.2 **ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

■ ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილ უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან);

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ლიცენზიას /სერტიფიკატს საქმიანობის განხორციელების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 5 მაისის 12 საათიდან 6 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

7. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებულ იქნება პრეფერენციული შეღავათი 15% -ის ფარგლებში.

8. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია პოზიციების მიხედვით გამოვლენილ იქნას რამოდენიმე გამარჯვებული, რომელთაც სამუშაოების მიწოდების განხორციელების უფლება შეიძლება მიენიჭოთ შესყიდვის ობიექტის პოზიციების მიხედვით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე-სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.***

სატენდერო კომისია

ინდოეთი 2005

ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა

20-24 აპრილი 2005 წელი.
11:00 -19:00 საათი

სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. 20, თბილისი, 0103, საქართველო
ტელ: 77 20 20

ორგანიზატორები:

ინდოეთის სამრეწველო კონფერენცია
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ინდოეთის საელჩო

სექტორები: ფარმაცევტიკა, ველოსიპედები, ჩაი, ყავა, სათამაშოები, სამკაულები და მოდური აქსესუარები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო სამეურნეო მოწყობილობები, სამომხმარებლო ელექტროსაქონელი, ელექტრო მოწყობილობები

ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობები

შესვლა თავისუფალია

ქართული ავიაცია ევროპულის ნაწილი ხდება

საქართველო ევროპის სამოქალაქო ავიაციის ECAC-ის სრულუფლებიანი წევრი ხდება, რაც ქვეყანას სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, ავიაციის განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას მოუტანს. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა 13 აპრილს ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის ECAC-ში გაწევრიანების შესახებ. ამ საკითხთან და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ კახა სეხნიაშვილმა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი მჟავანაძემ პრესკონფერენცია მოაწყვეს.

მარიამ ჯაჭვაძე

პირველი ნაბიჯი, რის გადადგმასაც ავიაციის ადმინისტრაცია ECAC-ში გაწევრიანების შემდეგ აპირებს, საკუთარი თანამშრომლების ევროპის ქვეყნებში გაგზავნა და შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლება იქნება.

მონაწილეობის მიღება სამოქალაქო ავიაციის საკითხების განხილვის პროცესში, სხვა წევრი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარება, ახალ ინფორმაციულ წყაროებზე იოლად ხელმისაწვდომობა - ამ უპირატესობას საქართველოს ECAC-ის წევრობა აძლევს. გარდა ამისა, ევროპის სამოქალაქო ავიაციის წევრობა ქვეყანას უფრო დიდ შანსს აძლევს, იმ პრესტიჟული და მნიშვნელოვანი ორგანიზაციების წევრი გახდეს, სადაც მხოლოდ ECAC-ის წევრებს იღებენ.

ECAC-ში საქართველოს წევრობა ქვეყნის ბიუჯეტს წელიწადში დაახლოებით 3000 ევრო დაუჯდება. გიორგი მჟავანაძე იმედოვნებს, რომ ქვეყანა ამ თანხის გადახდას ახალი ხელისუფლების პირობებში მარტივად მოახერხებს და წარსულის მაგალითები, როდესაც ამა თუ იმ ორგანიცაზიის საწევროს გადაუხდელობის გამო ქვეყანა ხმის უფლებას კარგავდა ან მისი ამ ორგანიზაციიდან გამორიცხვის საკითხი აქტიურად იდგა დღის წესრიგში, აღარ განმეორდება.

საქართველო, გაწევრიანების მიზნით, 1996 წლიდან მიმოწერას ახორციელებდა ECAC-თან, თუმცა აქტიური მოლაპარაკება უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, როგორც გუშინ ითქვა, საქართველო მზად არის, ეტაპობრივად შეუერთდეს ყველა იმ კონვენციასა და ხელშეკრულებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის საავიაციო დარგის განვითარებას, მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოებას, უსაფრთხოების გაზრდასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

ამის პარალელურად, როგორც გიორგი მჟავანაძემ აღნიშნა, უახლოესი ორი წლის განმავლობაში დაიწყება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის, აეროვაგზლისა და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია, რომლის პროექტიც ამჟამად განხილვის სტადიაშია; **"მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბათუმის აეროპორტის ე.წ. "ჟენევის მოდელის" მიხედვით მუშაობის მოწყობასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებიდან მგზავრების გადაყვანას, როგორც თურქეთის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ,"** - აღნიშნა მჟავანაძემ. მისივე თქმით, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი, რაც ამ დროისთვის არის მიჩნეული, ეს სენაკის აეროპორტის განვითარებაა. ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ სენაკის აეროპორტის საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სატვირთო-სატრანზიტო აეროპორტად განვითარების გეგმის შემუშავება და განხორციელება ქვეყნისა და მთელი რეგიონისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც გიორგი მჟავანაძემ გუშინ ჟურნალისტებს გაანდო, საქართველოში ახალი ავიაკომპანიის შემოსვლას უკავშირდება. მისი თქმით, ივნისიდან ქართულ ავიაბაზარზე მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გერმანული ავიაკომპანია "დოიჩე ლუფტჰანზა" შესაძლოა შემოვიდეს. მჟავანაძის განცხადებით, გერმანიის ავიაკომპანიასთან, რომელიც თბილისი-მიუნხენის მიმართულებით რეისების განხორციელებას 2 ივნისიდან გეგმავს, მოლაპარაკებები ამჟამადაც მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში, თუკი გერმანული ავიაკომპანიის წინადადება საქართველოს მხარემ დადებითად გადაწყვიტა, ამ მიმართულებით რეისები კვირაში სამჯერ შესრულდება. სხვათა შორის, ეს იქნება პირველი ავიაკომპანია, რომელიც თბილისი-მიუნხენის მიმართულებით იფრენს.

"ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია მომავალ წლამდე გადაიდო

"ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია მომავალი წლისთვის გადაიდო.

მთავრობის ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, ჰიდროელექტროსადგური 11 მაისს ერთი თვით მაინც გაჩერდება. ამ პერიოდში დაგეგმილია პირველი აგრეგატის საკეტის გაკეთება, რათა გერმანულ კომპანია "ფიოტ-სიმენსს" მესამე აგრეგატის აღდგენის შემდეგ პირველი აგრეგატის აღდგენის შესაძლებლობა მიეცეს.

როგორც "ინტერ-პრესს" ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა განუცხადა, გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით "ენგურჰესის" გაჩერება წელს სარისკო იყო, რადგან დაზიანებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" და საქართველო რუსეთის ენერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში არ მუშაობს.

"გვირაბის რეაბილიტაცია მომავალი წლისთვის გადავდეთ. მომავალ წელს საქართველოს ენერგოსისტემა ამისათვის უფრო მომზადებული იქნება, რადგან დაგეგმილია "თბილსრესის" სამივე ბლოკის რეაბილიტაცია. წელს გვირაბს სპეციალისტები დაათვალიერებენ და დაზიანებული ადგილების ფოტო-მასალის სკანირებას განახორციელებენ," - განაცხადა ხეთაგურმა. "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია წელს, 1 მარტს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რამდენჯერმე გადაიდო. რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "კავკასიონის" დაზიანების გამო, მთავრობამ წელს ჰესის 90 დღით გაჩერება ვერ გაბედა. "ენგურჰესის" რეაბილიტაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

24 საათი

დავალიანება რუსეთისადმი 1 მილიონი დოლარით შემცირდა

დავით ინგოროყვა მიღწეულზე საუბრობს და კორპორაციაში დიდ საკადრო წმენდას გეგმავს

გასულ კვირას "24 საათის", კონრად ადენაუერის ფონდისა და "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაზე მაგისტრალურ გაზსადენებთან მიმართებაში საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი მესიჯი გაჟღერდა: როგორც "24 საათი" ხუთშაბათს უკვე წერდა, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა ირწმუნებიან, რომ მაგისტრალური გაზსადენები უახლოეს პერიოდში არ გაიყიდება და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ დონორების თანხების მოზიდვა შეძლო, არამედ სისტემის მართვაც გააუმჯობესა. ახალი მმართველობის პირობებში რა შეიცვალა კორპორაციაში და რა მიმართულებით? დონორების თანხების გარდა, რა კვებავს ქართული ხელისუფლების ოპტიმიზმს მაგისტრალურ გაზსადენებთან მიმართებაში? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად "24 საათმა" კორპორაციის პრეზიდენტს დავით ინგოროყვას მიმართა:

დიანა ჩაჩუა

"ჩვენ კორპორაციაში დაგვხვდა ძალიან მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ძალიან დიდი დავალიანება - 6 მილიონ 500 ათასი დოლარის დავალიანება გაზექსპორტის მიმართ, საბიუჯეტო დავალიანება - დაახლოებით, 14 მილიონი ლარი. იმისათვის, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ, მაქსიმალურად ვცდილობთ, შევამციროთ შიდა ხარჯები, ამოღება კი გავზარდოთ.

ძირითადი პრობლემა კვლავ რჩება "თბილგაზი", რომელიც არაფერს იხდის და გადახდას არც აპირებს, და "ყაზბეგგაზი", სადაც მთავრობა ცდილობს, რომ გადაიხადოს მისი დავალიანება, მაგრამ მაინც პრობლემატურ საკითხად რჩება. "თბილგაზის" შემთხვევაში მუშავდება გარკვეული ნორმატიული დოკუმენტი, რომლის თანახმად, "თბილგაზის" გაზის ტრანსპორტირების საფასური ამოღებული უნდა იქნეს არა გაზის, არამედ ნატურის სახით. აქ იგულისხმება ის, რომ რადგან მას თანხით ამოღების საშუალება არ გააჩნია, გაზის ტრანსპორტირების კომპანია მომსახურების სახით დაიტოვებს გაზს და არა თანხას. ამით ჩვენ უზრუნველყოფილები ვიქნებით, რომ ჩვენ მიერ მიწოდებული გაზის საფასური მივიღოთ.

ამ რვა თვეში მოხერხდა ის, რომ დანაკარგები 7-8 პროცენტიდან 3 პროცენტამდე შეგვემცირებინა. ეს არის ძალიან დიდი წინსვლა ამ ორგანიზაციისთვის, იმიტომ, რომ ამ ათ თვეში დავზოგეთ 8 მილიონი ლარი, რაც უნდა დაგროვილიყო რუსეთი მიმართ ვალის სახით. ანუ, ჩვენ რომ ეს გაზის დანაკარგები არ შეგვემცირებინა, რუსეთის მიმართ ვალი კიდევ დაგვიგროვდებოდა 4 მილიონი დოლარის ოდენობით. ორგანიზაციაში ჩვენი მოსვლისას რუსეთის მიმართ დავალიანება 6 მილიონ 500 ათასი დოლარი იყო, ახლა 5 მილიონ 500 ათასი დოლარია. ჩვენივე რესურსებით ჩვენ ვალის 1 მილიონი დოლარით შემცირება შევძელით," - ამბობს კორპორაციის პრეზიდენტი.

ინგოროყვას ინფორმაციით, მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები: კორპორაციას რეგიონებში აქვს ფილიალები, რომელთა რიცხვი შემცირდება. მოხდა სამი ძირითადი ფილიალის გამსხვილება. დარჩება საგურამოს, თერჯოლის და ქვეშეთის ფილიალები. გაუქმდება გურჯაანის და ყაზბეგის ფილიალები.

"გეგმაში გვაქვს გამრიცხველიანების ახალი პროგრამა. პირველ რიგში, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დადგება გაზის მრიცხველი, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ საქართველომ, ერთხელ და სამუდამოდ, აღრიცხოს რაოდენობა და ხარისხი იმ გაზისა, რომელიც რუსეთიდან შემოდის. ამის საშუალება ჩვენ არასდროს გვქონია. ეს პროცესი დაახლოებით შემოდგომაზე დასრულდება," - ამბობს დავით ინგოროყვა.

ამას გარდა, კორპორაცია ბუნებრივი აირის დატაცებების წინააღმდეგ ბრძოლას არა მხოლოდ გამრიცხველიანებით, არამედ - სპეცნაზების გამოყენებითაც კი გეგმავს. სვანებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში სპეცნაზმა ეს მისია უკვე შეასრულა კიდეც:

"ყაზბეგიდან საგურამომდე, მთელი აღმოსავლეთ საქართველო, ძირითადად - კახეთში, იქნება გამრიცხველიანებული თანამედროვე მრიცხველებით, რომლით მანიპულირებაც შეუძლებელი იქნება. პირველი ეტაპი უკვე ჩავლილია და ვიწყებთ მეორე ეტაპს, რომელიც მსოფლიო ბანკის თანხებით განხორციელდება.

რაც შეეხება გაზის დატაცებებს. ამის ყველაზე დიდი წყაროები იყო ლემშვენი და ლელაშხი, სვანების მიერ დასახლებული სოფლები გარდაბნის რაიონში. თუ ამ სოფლებს წელიწადში 4 მილიონი ლარის გაზი მიჰქონდა, უშიშროების სამინისტროს სპეცნაზის მეშვეობით მოხდა არალეგალური ხაზის ჩაჭრა, ამისათვის დაახლოებით ოთხჯერ-ხუთჯერ იქ ჩასვლა მოგვიწია. ამას გარდა, ბევრი არალეგალური შეერთებებია აღმოჩენილი. მაგალითად, ახმეტაში ძალიან ბევრი საწარმოებია, რომლებიც კუსტარულად იყო შეერთებული მაგისტრალზე და გაზს იქიდან იღებდნენ. ესენი ყველა ჩაჭრილია," - განუცხადა "24 საათს" დავით ინგოროყვამ.

საბოლოო მიზანი დანაკარგების შემცირება, გაზის საფასურის ამოღების 80 პროცენტამდე გაზრდა და დონორებისათვის მიმზიდველად გახდომა გახლავთ.

თუმცა, ამ გზაზე კორპორაციის პრეზიდენტი კორპორაციის ძველი კადრებისგან ბოლომდე გაწმენდას გეგმავს. რეფორმების ციკლი ორგანიზაციაში ისედაც კადრების ოპტიმიზაციით დაიწყო. ამის შედეგად, ორგანიზაციის თანამშრომლების რიცხვი დაახლოებით 170 კაცით შემცირდა. **"ამ შემცირებული შტატების საფუძველზე კი, იმ ძვირადღირებულ და ახალ კადრებს, რომლებიც შტატში ავიყვანეთ, ხელფასი გაეზარდათ,"** - აღნიშნავს კორპორაციის პრეზიდენტი.

თუმცა, საკადრო შემცირებები გაზის საერთაშორისო ორგანიზაციაში არა მარტო რიგით თანამშრომლებს შეეხებათ. როგორც დავით ინგოროყვამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რეფორმების მეორე ეტაპზე იმისათვის, რათა კორპორაციაში ახალი ხედვა შემოვიდეს, გათავისუფლებულნი იქნებიან გარკვეული ხელმძღვანელი პირები - დირექტორის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და ა.შ.

"მათ ამ დროის განმავლობაში ვუფრთხილდებოდით, რათა გადაბარების პროცესი ნორმალურად მომხდარიყო და შეცდომები არ დაგვეშვა. ახლა უკვე თავისუფალ ვაკანსიებზე კონკურსს გამოვაცხადებთ," - განაცხადა კორპორაციის პრეზიდენტმა.

ცვლილებები შეეხო რიგ ორგანიზაციებსაც, რომელთაც წლების განმავლობაში გაზის საერთაშორისო კორპორაცია მფარველობდა და ბოლო პერიოდში, კორპორაციისთვის ღირებული შემოსავლის წყაროს აღარ წარმოადგენდა. ამ სახის ორგანიზაციებს შორის არიან რაგბის კლუბი "უნივერსიტეტი", (რომელიც, ინგოროყვას თქმით, მათთვის შემოსავლიანი აღარ არის), "GIP Distribution" და სხვა.

ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი: ქალაქ ზუგდიდის გზების ასფალტო-ბეტონის საფარის რეაბილიტაცია.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

■ მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა. (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან)
■ მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან)
■ მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან).
■ სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ფიზიკური პირთათვის:

■ უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან).
■ მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)
■ უკანასკნელი 5 წლის განმალობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამართლებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
■ სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს

დამატებითი მოთხოვნები:

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა)
■ ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)
■ ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმალობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.
■ შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზია.
■ თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის **მიერ 2005 წლის 19 აპრილიდან 2005 წლის 4 მაისის 12:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

2100 საქართველო, ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზირი N45. ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობა

დაგვიანებით შემოსულ განცხადებებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 5 მაისს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტედენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 10 მაისის 10:00 საათიდან 2005 წლის 13 მაისის 17 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **2100, საქართველო, ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზირი N45, ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობა მე-5 სართული,** სატენდერო კომისიის აპარატი. პრეტენდენტების სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 25 მაისის 12 საათი.** სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 25 მაისს დღის 14 საათზე.**

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოს მიწოდება ქ. **ზუგდიდში 2005 წლის ივნისიდან 2005 წლის ნოემბრის ჩათვლით.**

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრებს აკაკი სარალიძეს და მაკა ფიფიას. ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 5 04 16, 5 01 04.

სატენდერო კომისია

მოკლედ

შს სამინისტროს თანამშრომლებმა საბაჟო უწყების 5 თანამშრომელი დააკავეს

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და კანონიერების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა რეგიონული საბაჟო "წითელი ხიდის" 5 თანამშრომელი დააკავეს. დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის იოსებ თოფურიძის განცხადებით, კონკრეტული კანონდარღვევის ფაქტებზე, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო, დაკავებულები არიან ცვლის უფროსი მამუკა გალდავა და ამავე საბაჟოს 4 თანამშრომელი - გრიგოლ ტოლჩინავა, გიგა გუჯეჯიანი, მალხაზ გვენეტაძე, ნოდარ ქვარცხავა.

თოფურიძე, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს, თუ რა კანონდარღვევის ფაქტზე არიან დაკავებულები საბაჟოს თანამშრომლები. ეჭვმიტანილების აყვანა ტელეკამერების თანხლებით მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ბრალი ედებათ წითელ ხიდზე კონტრაბანდული ტვირთების გატარებასა და ბიუჯეტისთვის სერიოზული ზიანის მიყენებაში.როგორც თავად დაკავებულები განმარტავდნენ, ისინი დღეს დილით დეპარტამენტის თავმჯდომარესთან თათბირზე იყვნენ დაბარებულები და მათთვის აბსოლუტურად უცნობია დაკავების მიზეზი.

ინტერ-პრესი

დავით ონოფრიშვილი გენერალურ პროკურატურას თავისი ქვეშევრდომების საქმიანობის შესწავლას სთხოვს

"საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელი დავით ონოფრიშვილი მის დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე თანამდებობის პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრის თაობაზე გენერალურ პროკურატურას მიმართავს. ონოფრიშვილმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დარღვევები რკინა-ბეტონის შპალების ქარხნის, ბათუმის რკინიგზის სადგურისა და "საქართველოს რკინიგზის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხაშურის ფილიალის ხელმძღვანელთა საქმიანობის შესწავლისას დაფიქსირდა. ონოფრიშვილმა თავის უწყებაში არსებულ ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით რკინიგზის გენერალური ინსპექციის მიერ აღმოჩენილ მასალებზე დაყრდნობით ისაუბრა. ამ მონაცემების მიხედვით, რკინა-ბეტონის შპალების ქარხნის მესვეურებს 2002-2004 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად 3,5 მილიონი ლარის გაფლანგვა ედებათ ბრალად. ონოფრიშვილის თქმით, აღნიშნული თანხიდან 900 ათასი ლარი ე.წ. "მკვდარ სულებზე" გაიწერა. რკინიგზის გენერალური ინსპექციის მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით, ონოფრიშვილი ბათუმის რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელებს - 604 ათასი ლარის ოდენობის საფინანსო დარღვევაში, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხაშურის საწყობის გამგეს 57 ათას 800 ლარის ოდენობის ზარალის მიყენებაში ადანაულებს. გარდა ფინანსური დარღვევების; კერძოდ - დედოფლისწყაროს რკინიგზის სადგურის უფროსი და სალოკომოტივო დეპოს უფროსის ყოფილი მოადგილე ყალბი დიპლომებით ცდილობდნენ კარიერის გაკეთებას.

"რკინიგზაში კვლავაც აქტიურად გაგრძელდება მუშაობა იმისათვის, რომ ქურდობას, ყალთაბანდობას, თაღლითობას მოეღოს ბოლო და რკინიგზა საბოლოოდ დადგეს ფეხზე", - აცხადებს ონოფრიშვილი, რომლის თქმით, ბოლო რვა თვის განმავლობაში მის უწყებაში 30-მდე მაღალი თანამდებობის პირი და 100-მდე რიგითი თანამშრომელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ინტერ-პრესი

რჯულზე უმტკივნეული ჩვეულება

თამარ მაისურაძე

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კორუმპირებულ მოსამართლეებს მკაცრად აფრთხილებს.

ლევან სარიანიძის ფოტო

იმ მრავალ პრიორიტეტთან ერთად, რაც ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე დაისახა, ერთ-ერთი გახლდათ ქვეყანაში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, სახელმწიფოს მიერ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა. ყოველივე ამის მისაღწევად კი ხელისუფლება მოსამართლეებს სოციალურ კეთილდღეობას დაჰპირდა; სამაგიეროდ, ამ უკანასკნელთ კორუფციულ გარიგებებზე უნდა ეთქვათ უარი. სახელმწიფომ დაპირება შეასრულა და მოსამართლეების ხელფასი საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ, ნათქვამია, - ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, - და ვარდების რევოლუციიდან დღემდე, ქრთამის აღების გამო, 16 მოსამართლე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

კორუმპირებული მოსამართლის გამოვლენის ბოლო შემთხვევა ყაზბეგის რაიონში დაფიქსირდა. ყაზბეგის რაიონის სასამართლოს მოსამართლე გიორგი გუგუნაშვილი სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს. მისი დაკავების მიზეზი 16 აპრილს, ქრთამის სახით, 1000 დოლარის აღება გახდა, რის სანაცვლოდაც, მოსამართლეს ერთ-ერთი დამნაშავესთვის სასჯელის ზომა უნდა შეემსუბუქებინა.

"ნებისმიერი მოსამართლე, რომელიც ქრთამის აღების ფაქტზე იქნება დაკავებული, უმკაცრესად დაისჯება," - განაცხადა გუშინ უზენაეს სასამართლოში გამართულ ბრიფინგზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა. თუმცა, ბრიფინგი მხოლოდ კანონდამრღვევი მოსამართლეების დასაშინებლად არ გამართულა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ იმ სიახლის შესახებაც ისაუბრა, რომლის განხორციელება 5 მაისიდან დაიწყება.

"მოხდება დედაქალაქის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაცია და შეიქმნება თბილისის ერთიანი სასამართლო," - განაცხადა მან. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელი ხელისუფლებისგან მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის 100 პროცენტით გაზრდას მოითხოვს: **"ეს უზრუნველყოფს მოსამართლეების თავისუფლად, ზეწოლის გარეშე მუშაობას."**

თბილისის ერთიან სასამართლოში სამი - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიები ამოქმედდება, სადაც დღეს მოქმედი მოსამართლეების გვერდით ახალი კადრებიც იმუშავებენ. ახალი სასამართლოსთვის ახალ მოსამართლეებს კონკურსის წესით შეარჩევენ, ძველებს კი, სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, იმ შემთხვევაში "დაიცავს იმუნიტეტი", თუ ჭკვიანად მოიქცევიან და "ფეხქვეშ არ გათელავენ ხალხის ნდობასა და სასამართლოს ღირსებას".

განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკების შესყიდვაზე. ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი N30.

შესყიდვის ობიექტია:

N	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა ცალობით	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკი.	190000	იუსტიციის სამინისტროს სანყობი ქ. თბილისი რუსთაველის გამზ N30	27 იანვიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. (კონტრაქტის მოლანი რაოდენობის 30%-ი ოდენი)

პასპორტი უნდა შეესაბამებოდეს: **ICAO**-ს რეკომენდაციებს, დოკმენტი N 9303, მესამე გამოცემა;

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 16 აპრილის N652 ბრძანებით დამტკიცებულ ნიმუშს.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების "დაცული" ფორმებისა და დოკუმენტების პოლიგრაფიულ შესრულებაზე უფლებამოსილ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2005 წლის 27 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 03 მაისიდან 04 მაისის 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: **თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი N30, ოთახი N62ა ტელ 758335**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)
- ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობას ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ.
- ცნობას, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N62ა 2005 წლის 05 მაისიდან 06 მაისის 1800 საათამდე.**

სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა N507121303, ს/კ 200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133. აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს -ზაზა ჭაბუკიანს, **ტელეფონის ნომერი - 758291 რუსთაველის გამზირი 30, ოთახი N96**

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";
- დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";
-საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერთიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

"თავისუფლების ინსტიტუტმა" მოსამართლეებს სემინარი ჩაუტარა

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" სასამართლო სისტემას "სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებს. ორგანიზაცია მასმედიასთან მიმართებაში სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილოა. ამასთან დაკავშირებით "თავისუფლების ინსტიტუტის" ინიციატივით, მოქმედი მოსამართლეებისთვის დღეს სამოსამართლო სწავლების ცენტრში "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის თაობაზე სემინარი მოეწყო.

"ქართული სასამართლო დღეს იმდენად იქნება დამოუკიდებელი, რამდენადაც თავად სასამართლოს მიერ იქნება დაცული გამოხატვის თავისუფლება", - განაცხადა სემინარზე ორგანიზაციის წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა.

კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ მომზადდა, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით 1999 წელს მიიღო. მისი საბოლოოდ მიღება მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, 2004 წლის 24 ივნისს გახდა შესაძლებელი.

24 საათი

კონტრაბანდა თბილისი-ერევნის მატარებელში

ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველომ, წინასწარი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისიდან ერევანში მიმავალ მატარებელში დიდი ოდენობით კონტრაბანდული საქონელი აღმოაჩინა. ფინანსური პოლიციის მიერ სადახლოში გაჩერებულ სამგზავრო მატარებელს საფოსტო ვაგონი ჰქონდა მიბმული, სადაც ყველანაირი სახის სამრეწველო საქონელი თუ სურსათი იყო ჩატვირთული.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, საფოსტო ვაგონში დატვირთულ საქონელს არც ექსპორტის დეკლარაცია ჰქონდა და არც სხვა რამ საბუთი. თუმცა, სადახლოს მებაჟეებმა იგი უპრობლემოდ გაატარეს. სავარაუდოდ, მებაჟეებზე სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით აღიძრება.

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, კონტრაბანდული პროდუქცია ერგნეთშია ნაყიდი. კონტრაბანდა სადახლოს სადგურზე გადმოიცალა, სამგზავრო მატარებელმა კი გზა ერევნისკენ განაგრძო. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, კონტრაბანდული პროდუქცია სომხეთის სამ მოქალაქეს ეკუთვნოდა.

ფინანსურმა პოლიციამ ცხინვალიდან შემოტანილი კონტრაბანდა გორშიც დააკავა.

ტვირთის მეპატრონეებმა გაქცევა სცადეს, თუმცა ერთი ავტომანქანა - გზაზე მიმავალ სატვირთო ავტომობილს, მეორე კი მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე შენობის კედელს შეეჯახა. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთმა მძღოლმა მიმალვა შეძლო. ავარიის შედეგად არავინ დაშავებულა. დაკავებულ ავტომანქანებში ცხინვალიდან გადმოტანილი ხუთი ათასამდე კოლოფი სიგარეტი აღმოჩნდა. ტვირთის მეპატრონეების ვინაობა უცნობია და მათ დადგენაზე სამართალდამცველები მუშაობენ.

24 საათი

კრიმინალური სტატისტიკა

ორი დღის მანძილზე, 9-10 აპრილს თბილისის შს ორგანოების მიერ გახსნილი და გამოვლენილია 73 დანაშაული; ორი მკვლელობის, რვა ჯანმრთელობის დაზიანების, თითო მკვლელობის მცდელობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის, ხულიგნობის; 11 - ძარცვის, 12 - ყაჩაღობის, 24 ქურდობის და სხვა სამართალდარღვევის ფაქტები.

გახსნილია წინა პერიოდებში ჩადენილი 10 დანაშაული, მათგან ხუთი - ყაჩაღობის, ორი - ძარცვის, სამი - ქურდობის ფაქტი.

დაკავებულია ბოროტმოქმედთა 14 ჯგუფი 33 პირის შემადგენლობით, რომლებიც მხილებულნი არიან 15 დანაშაულის ჩადენაში.

გამოვლენილია ნარკომანიის 22 ფაქტი, 9-ზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე; მათგან 13 დაჯარიმდა. ამოღებულია 0,43 გრამი და 0,4 მილიგრამი ჰეროინი, 0,0237 გრამი სუბოტექსი.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა-ტარებაზე აღძრულია სისხლის სამართლის ერთი საქმე, ამოღებულია 4 პისტოლეტი, 22 ვაზნა; დაკავებულია 14 ძებნილი-დამნაშავე; ოთხი მათგანი იძებნებოდა ქურდობისთვის, 2-2 - მკვლელობისთვის, ძარცვისთვის, ყაჩაღობისთვის; თითო - თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ნარკომანიის, გადასახადისაგან თავის არიდების, უაქციზო საქონლის შემოტანისათვის.

მედიანიუსი

ნაღმის აფეთქებას ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

უბედური შემთხვევა მოხდა თერჯოლის რაიონში სოფელ ნახშირღელეში - 26 წლის ჯონი ფორჩხიძე ნაღმზე აფეთქდა. შემთხვევა სოფლის ტერიტორიაზე, ყოფილ სამხედრო ბაზაზე მოხდა, სადაც წლების წინ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ნაწილი იყო დისლოცირებული. აფეთქების შედეგად ფორჩხიძე ადგილზე გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, იგი აღნიშნულ ტერიტორიაზე ჯართს აგროვებდა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის გიორგი კაჭარავას განცხადებით, სოფელ ნახშირღელეში განაღმვითი სამუშაოები მიმდინარეობს, რადგან, სავარაუდოდ, იქ კიდევ არსებობს ფეთქებადი მასალები.

ინტერ-პრესი

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაცია 2005 წლის 6 აპრილის გაზეთ "24 საათში" იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებებში შეტანილი ცვლილებების შესახებ

2005 წლის 06 აპრილს, საწვავის სახელმწიფო შესყიდვისათვის, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული სატენდერო განცხადებაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

1. გამოქვეყნებული ცხრილის ბოლო სვეტში, სათაურის - **"მიწოდების გრაფიკული ვადები"** - ქვეშ, ყველა ლოტში, ნაცვლად ყოველთვიურად განსაზღვრული ოდენობისა, განისაზღვროს შემდეგნაირად: "---- ყოველთვიურად, მოთხოვნის შესაბამისად".
2. მეორე ლოტში მითითებული საწვავის რაოდენობა - 272000 ლიტრი, შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 274000 ლიტრი.

"ქვის ხანაში" დაბრუნების მცდელობა

რატომ არ შეიძლება "მეწარმეთა შესახებ კანონში" შემოთავაზებული ცვლილებების მიღება

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა ინიციატივით მომზადდა და საზოგადოებას წარედგინა "მეწარმეთა შესახებ კანონში" შესატანი ცვლილებებისა და დამატებების ახალი პროექტი. ინტერესით გავეცანი მოცემულ პროექტს და საჭიროდ მივიჩნიე, მკითხველისათვის ზოგიერთ ცვლილებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება მომეხსენებინა:

გიორგი ჯულელი
ბრემენის უნივერსიტეტის დოქტორანტი

- პროექტით კანონს ემატება 1.1. 1 მუხლი, რომლის მიხედვითაც:

"საწარმოთა მართვის ორგანოებს შორის ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები."

მოცემულ მუხლთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ მოქმედებათა სფეროს აღნიშნული კანონები თავად განსაზღვრავენ და შესაბამისად მიჯნავენ მას "მეწარმეთა შესახებ კანონში" მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობებისაგან.

მეწარმეთა შესახებ კანონში (ისევე, როგორც სხვა სპეციალურ კანონებში) სხვა სამართლებრივი სფეროს მომწესრიგებელი კანონებიდან გამონაკლისების დაშვება, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, გაუმართლებელია. ასეთმა პრაქტიკამ ადვილად შეიძლება გამოიწვიოს ნორმათა შორის წინააღმდეგობა. კანონის გამოყენების თვალსაზრისით, სასურველია მისი მოქმედების სფერო თავად კანონშივე ამომწურავად იყოს მოწესრიგებული და არა გაბნეული სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის მოქმედების სფეროს ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სხვა ნორმატიულ აქტებში გაფანტულ გამონაკლისთა კატალოგის ცოდნას ითვალისწინებს, რამაც კანონის ნორმათა სწორი გამოყენება, შესაძლოა, საკმაოდ გაართულოს.

ამასთან, შემოთავაზებული ფორმულირება მიანიშნებს იმაზე, რომ ჩამოთვლილი კანონების გარდა, ყველა სხვა კანონი საწარმოთა მართვის ორგანოებს შორის ურთიერთობებზე ვრცელდება, რაც ძნელი წარმოსადგენია. თუკი ინიციატორების მიერ მუხლში გატარებულ აზრს ლოგიკურად განვაგრძობთ და ყველა იმ კანონს, რომლებიც აღნიშნულ ურთიერთობაზე არ ვრცელდება, მეწარმეთა შესახებ კანონის 1-ელ მუხლში მივუჩენთ ადგილს, მოცემული ნორმა კანონის ყველაზე ვრცელ და, ამასთან, ყველაზე უსარგებლო დებულებად იქცევა.

- პროექტით შემოთავაზებული 3.2.1 მუხლის მიხედვით:

კომანდიტურ საზოგადოებაში კომანდიტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის, სააქციო საზოგადოებაში აქციონერისა და კოოპერატივში წევრთა პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ საწესდებო კაპიტალში შესატანის სახით. აღნიშნული პასუხისმგებლობის ფორმა შეიძლება შეიცვალოს სოლიდარული პასუხისმგებლობის ფორმით, თუ სასამართლოს მიერ დადგინდა მათ მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება, ან საზოგადოების ინტერესების საზიანოდ საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ზემოქმედება, ან/და პარტნიორთა კრების საშუალებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ამ პარტნიორთა მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის ფორმის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება საზოგადოების მიერ ვეღარ ხერხდება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის, აქციონერისა და კოოპერატივის წევრის პასუხისმგებლობის განსაზღვრა შესატანით ეწინააღმდეგება აღნიშნული საზოგადოებებისათვის დადგენილ ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისათვის, როგორც წესი, გამორიცხულია (იხ. მეწარმეთა კანონის 44-ე მუხლის 1 წინადადება, 51.1-ე მუხლის მე-3 და მე-4 წინადადება, 60.3-ე მუხლი, რომელთა მიხედვითაც შპს-ის პარტნიორი, აქციონერი და კოოპერატივის წევრი საზოგადოების ვალდებულებისათვის, როგორც წესი, პასუხს არ აგებს). ცვლილებების პროექტით შემოთავაზებულ 3.2.1 მუხლის პირველ წინადადებაში კი შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საწარმოთა პარტნიორებისათვის შესატანის ოდენობით კრედიტორთა წინაშე პირადი პასუხისმგებლობა ზოგადი წესის სახით არის დადგენილი. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ კანონში ორი ურთიერთგამომრიცხავი ნორმა არსებობს.

პასუხისმგებლობის სოლიდარული ფორმის დაშვება შპს-ს, სს-ს და კოოპერატივისათვის ეწინააღმდეგება საწარმოს მოცემულ ფორმათა სამართლებრივ ბუნებას და მნიშვნელოვანწილად შლის განსხვავებებს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის. შეზღუდული პასუხისმგებლობა კარგავს მიმზიდველობას სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმის მსურველთათვის, რადგანაც სოლიდარული პასუხისმგებლობა, თუმცა გამონაკლის შემთხვევაშია დაშვებული, მაგრამ უკავშირდება ისეთ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ბუნდოვან ცნებებს, როგორიცაა "შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება, საზოგადოების ინტერესების საზიანოდ საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ზემოქმედება ან/და პარტნიორთა კრების საშუალებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება."

ბუნდოვანია სოლიდარული პასუხისმგებლობის ფორმის დადგენის ცნებაც. უპირველეს ყოვლისა, უპასუხოდ რჩება კითხვები:

ვის მიმართ დგება სოლიდარული პასუხისმგებლობა, ყველა თუ მხოლოდ ცალკეული პარტნიორების მიმართ, რომელთაც მუხლში აღნიშნული მოქმედება განახორციელეს? ეხება თუ არა სოლიდარული პასუხისმგებლობა მომავალ პარტნიორებს?

რატომ უნდა აგებდნენ კომანდიტები, შპს-ს, სს-ს და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე უშუალოდ პასუხს, თუკი კრედიტორს უშუალო ზიანი (ქონებრივი დანაკლისი) არ დადგომია?

არის თუ არა პასუხისმგებლობის ფორმის ცვლილება დროით შეზღუდული (მაგ. ზიანის ანაზღაურებამდე), თუ ფორმის ცვლილება სამუდამოა?

აღინიშნება თუ არა პასუხისმგებლობის ფორმის ცვლილება საჯარო რეესტრში, მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით?

პარტნიორის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია სუბიექტურ (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა შედეგის მიმართ) ან/და ობიექტურ (ჩადენილი ქმედება ზიანს აყენებს საზოგადოების ინტერესებს) ნიშნებზე. შესაბამისად, რა უნდა დაადგინოს სასამართლომ, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენება და ა.შ., თუ, ამასთან ერთად, დამდგარი ზიანის არსებობაც?

როგორ ნაწილდება მტკიცების ტვირთი? ვის აქვს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება?

გარდა ამისა, სრულიად დაუსაბუთებელია საზოგადოების სამართლებრივი სტატუსის სასამართლოს მიერ შეცვლის დასაშვებობა. საწარმოზე ზემოქმედების ასეთ მექანიზმზე ცივილიზებული ქვეყნების სამართლებრივმა სისტემებმა საუკუნეზე მეტი ხნის წინ თქვეს უარი.

ის გარემოება, რომ ცვლილებების პროექტით შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით სარგებლობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზღუდება, ეკონომიკური თვალსაზრისითაც გაუმართლებლად უნდა მივიჩნიოთ. კანონის მსგავსმა ცვლილებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი ქართულ საწარმოებში (რომელთა უმრავლესობა სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებების სახით არსებობს) ინვესტიციების ზრდას. ეს კი პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის გაფართოების კიდევ ერთი და საკმაოდ საგრძნობი უარყოფითი შედეგი იქნება.

- 3.3-მუხლი უშვებს სამუშაოს შესრულებითა და მომსახურების გაწევით არაფულადი შესატანის შესრულებას. გარდა ამისა, მისი მე-2 და მე-3 მუხლებით: "მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფორმირებისას შესატანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფულადი სახით. საზოგადოების კაპიტალის ფორმირებისას შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნას, აგრეთვე, სხვა ქონებრივი მატერიალური და არამატერიალური ობიექტების სახით."

ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების საფუძველზე საზოგადოების წინაშე პარტნიორების ნაკისრი ვალდებულება ზოგადად აღიარებული თვალსაზრისით არ წარმოადგენს სათანადო შესატანის საგანს, რადგან მისი შესრულება, სხვა ქონებრივ ობიექტებთან შედარებით, ნაკლებად არის უზრუნველყოფილი (მაგ. პარტნიორი ქმედუუნარო გახდა, გარდაიცვალა, ან საწარმო-პარტნიორი გაკოტრდა).

გარდა ამისა, სამუშაოს შესრულების და მომსახურების გაწევის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამისი ვალდებულების აღებით ხდება არა შესატანის შეტანა, არამედ მხოლოდ საზოგადოების ერთი მოთხოვნის მეორეთი ჩანაცვლება. ასე რომ, მათ აკლიათ შესრულებითი მოქმედების ხასიათი და მხოლოდ შესრულების დაპირებას წარმოადგენენ.

სირთულეებთან არის დაკავშირებული ასევე ასეთი შესატანის ღირებულების განსაზღვრა. შესაბამისად, იგი ვერ ჩაითვლება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შევსების მხრივ ფულადი ან სხვა არაფულადი შესატანის ეკვივალენტურ საშუალებად (მაგ. ფულის ან სხვა მოძრავი ნივთის საწარმოსათვის გადაცემას კაპიტალის შევსების მიზნით ვერ შევადარებთ პარტნიორის ვალდებულებას წილის სანაცვლოდ დაასუფთაოს საწარმოს ოფისი)

დაბოლოს, შემოთავაზებული დებულება ეწინააღმდეგება ქვეყნის სამართლებრივ პოლიტიკას, რომელიც ევროპული სამართლის პრინციპებისადმი დაახლოებას ითვალისწინებს. საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის N-828 I დადგენილების თანახმად, *"1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტები უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს და ნორმებს"*. ევროპის კავშირის საბჭოს მე-2 დირექტივის (სს-ს დაფუძნების კაპიტალის შექმნისა და შეცვლის შესახებ) მე-7-ე მუხლით კი სამუშაოს შერულება ან მომსახურების გაწევა როგორც არაფულადი შესატანი, ერთმნიშვნელოვნადაა აკრძალული.

შესაბამისად, უფრო მიზანშეწონელი იქნებოდა, კანონში საპირისპირო დებულება ჩაწერილიყო. კერძოდ, დებულება სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის არაფულად შესატანად დაუშვებლობის შესახებ.

გაუგებრობას იწვევს ასევე მუხლში საზოგადოების კაპიტალის ფორმირებისას შესატანების ცნების გაჩენა. საზოგადოების კაპიტალისა და საწესდებო კაპიტალის ცნებები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ საწესდებო კაპიტალში. პარტნიორთა მიერ სხვა ქონების გადაცემა საწარმოსათვის შესატანს არ წარმოადგენს და მისი აღნიშვნა წესდებაში არ ხდება. შესატანის ობიექტს (ფული ან სხვა ქონება) მხოლოდ საწესდებო კაპიტალის და არა საზოგადოების კაპიტალის ფორმირებისათვის აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა, რადგანაც შესატანის სახე და მისი ღირებულება წესდებაში სათანადოდ აღინიშნება. შესაბამისად, შესატანებთან მიმართებაში საზოგადოების კაპიტალის ცნების გამოყენებამ მხოლოდ დაბნეულობა შეიძლება გამოიწვიოს.

დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს წესდების გარეთ ცალკე ხელშეკრულებით პარტნიორებისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება, ასევე წილის შეტანის წესის ცალკე ხელშეკრულებით განსაზღვრა, რასაც ცვლილებათა პროექტი გვთავაზობს **(3.5, 3.8, 22.3, 46.11, 52.1 მუხლები)**. წესდება საწარმოს სტატუსის მომწესრიგებელი მთავარი დოკუმენტია, რომელიც საჯარო ხელმისაწვდომობას და სანდოობას სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურობისათვის ცენტრალური მნიშვნელობა აქვს. მესამე პირები (მაგ. მომავალი პარტნიორები, კრედიტორები) გადაწყვეტილებას საწარმოში მონაწილეობის ან მასთან საქმიანი კავშირების დამყარების თაობაზე სწორედ წესდებაში განსაზღვრული საწარმოს სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე იღებენ.

- გაუგებარია პროექტში 5.4.1. მუხლის დ) პუნქტის (**"საქმიანობის საგანი"**) გაუქმების საფუძველი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონით, რიგ შემთხვევებში, საქმიანობის საგანს გარკვეული სამართლებრივი სტატუსიც უკავშირდება (მაგ. "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს, რომ აუდიტორული ფირმა არის საწარმო, რომლის ერთადერთ საწესდებო მიზანს აუდიტორული საქმიანობა წარმოადგენს). გარდა ამისა, საწარმოს საქმიანობის საგნის წესდებაში აღნიშვნა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საწარმოს შესახებ ძირითადი ინფორმაციის საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია ასევე ევროპული სამართლის დებულებები: მე-2 დირექტივის მე-2 მუხლის ბ პუნქტი წესდებაში საწარმოს საქმიანობის საგნის აუცილებელ აღნიშვნას ითვალისწინებს.

9.7 მუხლით გათვალისწინებული საწარმოს ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოების უშუალო პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეუსაბამოდ გაზრდილი საფრთხის ქვეშ აყენებს ამ ორგანოთა წარმომადგენლებს, რადგანაც მესამე პირების ნებისმიერი ზიანი შეიძლება მათი პირადი პასუხისმგებლობის გამომწვევ მიზეზად იქცეს. განსაკუთრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მტკიცების ტვირთი აღნიშნულ პირებს ეკისრებათ. ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა თავად საზოგადოების წინაშე მისაღებია და აუცილებელიც, მაგრამ კრედიტორების წინაშე მათი უშუალო პასუხისმგებლობა გადაჭარბებულად მკაცრად მიმაჩნია, რამაც შესაძლოა პრობლემები გამოიწვიოს ქართულ საწარმოებში მაღალკვალიფიციური მენეჯერების მოზიდვის მხრივ. პასუხისმგებლობის შეუზღუდავი ფორმის დასაშვებობაზე შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ვიფიქროთ და მისი აღება ზოგად პრინციპად მიუღებელია. საბოლოო ჯამში, ნორმა, შპს-ს, სს-ს და კოოპერატივის პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის შემოღების მსგავსად, ეჭვქვეშ აყენებს კანონის მიერ დადგენილ ორგანიზაციულ ფორმათა მრავალფეროვნებას. შემოთავაზებული ნორმათა კომპლექსი, კრედიტორთა დაცვის იდეის სანაცვლოდ, ხაზს გადაუსვამს მეწარმეთა მიერ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევის თავისუფლებას, არსებითად წაშლის რა განსხვავებას ამ ფორმათა შორის.

- ცვლილებათა პროექტში 45.1 მუხლით შპს-ის საწესდებო კაპიტალი 200 ლარამდე მცირდება. 2000 ლარი, სიმცირის გამო, ჩემის აზრით, დიდი ხანია ვეღარ ასრულებს საწესდებო კაპიტალის ფუნქციას, რომელიც კრედიტორთა სასარგებლოდ საწარმოს ქონების შენარჩუნებაში მდგომარეობს. ასე რომ, ლოგიკური იქნებოდა საწესდებო კაპიტალი გაზრდილიყო, რითაც, ერთის მხრივ, გაიზრდებოდა პერსონალური საზოგადოებების მიმზიდველობა, მეორეს მხრივ კი, გაზრდილი საწესდებო კაპიტალის სახით შეიქმნებოდა საზოგადოების ქონებრივი საფუძვლის განმტკიცების წინაპირობები. გარდა ამისა, შესაძლებლად მიმაჩნია საზოგადოების ქონების დაგროვების სამართლებრივი წინაპირობის შექმნა, მაგალითად, შპს-ს და სს-სთვის მოგებიდან გარკვეული ნაწილის (5-6%) სპეციალურ სარეზერვო ფონდში გადარიცხვის ვალდებულების სახით, რომელიც არ გაიცემა პარტნიორებზე მოგების განაწილების ფარგლებში.

შემოთავაზებული ცვლილებებით კი საპირისპირო შედეგს მივიღებთ. ეს შედეგი ორგანიზაციულ ფორმათა შორის არჩევანის საშუალების არსებითი გაქრობაა.

- პროექტის ზოგიერთი მუხლი ეხება სახელმწიფოს როგორც პარტნიორს:

55.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება, სულ მცირე, სამი, არა უმეტეს ოცდაერთი წევრისგან. საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20% მფლობელს (მფლობელებს) უფლება აქვთ სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეს, სულ მცირე, ერთი წარმომადგენელი, თუ ასეთი შესაძლებელია.

55.1.1 იმ საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფო წილი შეადგენს საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტზე მეტს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა საერთო კრების მიერ, სულ მცირე, სამი, არა უმეტეს შვიდი წევრის შემადგენლობით.

55.8

ვ1.) იმ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფო ფლობს საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შეთანხმებული უნდა იქნეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერთან. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნის და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

- 55.11 55.8 ვ1 განსაკუთრებულ პირობებს უქმნის სახელმწიფო-პარტნიორს სხვა პარტნიორთა სამართლებრივ მდგომარეობასთან შედარებით, რაც არღვევს კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში სხვა მონაწილეთა მიმართ სახელმწიფოს თანასწორობის (იხ. სამოქ კოდექსი 24-ე მუხლის 4. აბზ.) ფუძემდებლურ პრინციპს.

55.9. მუხლის შემოთავაზებული ახალი რედაქციით, საქმიანობათა ჩამონათვალიდან, რომელიც მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს, ამოღებულია:

ა. საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

ბ. უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა;

ე. ინვესტიციების დაბანდება და ამოღება, რომელთა ოდენობა, ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში, გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს აღემატება.

კ. ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობაში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა.

მუხლს დაემატა:

ნ. ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას

- 55.9 მუხლით სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოცილებული აქვს სს-ს ზოგადი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი ბერკეტები, რისი გამამართლებელი საფუძვლების მოძებნა, ჩემი აზრით, საკმაოდ რთულია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებულ ცვლილებათა არსებითი ნაწილი ანგრევს მეწარმეთა შესახებ კანონის და შესაბამისად ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა მრავალფეროვნებაზე და, შესაბამისად, საწარმოთა პასუხისმგებლობის მექანიზმების განსხვავებაზეა დამყარებული. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის, რომ პარტნიორთა და მმართველ ორგანოთა წარმომადგენლების პირადი პასუხისმგებლობის გაფართოებამ, შესაძლოა, უარყოფითი ეკონომიკური შედეგი გამოიწვიოს ქართულ საწარმოებში ინვესტორებისა და კვალიფიციური მმართველობის მოზიდვის მხრივ. ცვლილებათა პროექტს შემოაქვს პარტნიორთა შორის წესდებისგარეთა "საიდუმლო" შეთანხმებათა მავნე პრაქტიკა. იგი კერძოსამართლებრივ კანონში საფუძველს უყრის ისეთი უცხო სხეულის განვითარებას, როგორიცაა სახელმწიფოს პრივილეგირებული მდგომარეობა სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტებთან შედარებით, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით "ქვის ხანაში" დაბრუნებას უდრის. ცვლილებათა პროექტი უგულებელყოფს ასევე სახელმწიფოს განცხადებულ სამართლებრივ პოლიტიკას ქართული სამართლის ევროპის სამართლებრივ სტანდარტებთან დაახლოების შესახებ.

აქედან გამომდინარე, შემოთავაზებული ცვლილებების მიღება მიზანშეუწონლად უნდა მივიჩნიოთ. ისეთი მნიშვნელოვანი კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტის დახვეწა, როგორიცაა "მეწარმეთა შესახებ კანონი", ჩემი აზრით, უფრო გააზრებულად და, შესაბამისად, ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. ამასთან, ქართული საკორპორაციო სამართლის საკანონმდებლო ბაზის განვითარების პროცესში მთავარ ორიენტირს ევროპის სამართლებრივ სტანდარტებთან დაახლოება უნდა წარმოადგენდეს.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი .....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობა დიპლომატებთან

B2

პროფესიონალიზმი და პატიოსნება

B5

კიდევ ერთხელ თამბაქოს შესახებ

B6

თოჯინები ტირიან

მთავრობა იცვლება, მუზეუმის მდგომარეობა კი უცვლელი რჩება

ირმა კახურაშვილი

თინათინ თუმანიშვილის სახელობის საბავშვო სათამაშოთა მუზეუმის უნიკალურ ნამუშევრებს საფრთხე ემუქრება - 2 ათასზე მეტი ექსპონატი უშედეგოდ ითხოვს სახელმწიფოს ყურადღებას. ბავშვთა ეროვნულ გალერეაში დევნილის სტატუსის მქონე მუზეუმის ორიგინალური თოჯინების ნაწილი - სარდაფში, ნაწილი კი გაბზარულკედლებიან ოთახშია განთავსებული.

თოჯინების ეროვნული მუზეუმი 1937 წელს ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღში გაიხსნა. გახსნამდე, თინათინ თუმანიშვილმა გარშემო შემოიკრიბა იმდროინდელი ელიტარული საზოგადოება - მწერლები, კონსტრუქტორ-გამომგონებლები, მხატვრები და ეთნოგრაფები, რომლებიც ყველა ქართული ნიუანსის გათვალისწინებით არა მხოლოდ ამზადებდნენ თოჯინებს, არამედ შემოწირავდნენ კიდეც მათ. თოჯინების შეგროვებით დაინტერესებულ ადამიანთა შორის იყვნენ ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, ევგენი ხარაძე, ივანე ჯავახიშვილი და სხვები.

1986 წელს მუზეუმმა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ორ ოთახში, შემდგომში კი - ბავშვთა ეროვნული გალერეის ქვედა სართულზე გადაინაცვლა იმ პირობით, რომ მცირე ხანში განათლების სამინისტრო უნიკალური ექსპონატებისთვის შესაფერის ფართს გამონახავდა. თუმცა, დაპირებაც და მსოფლიოში ერთადერთი, თოჯინების ეროვნული მუზეუმის არსებობაც ყველას მიავიწყდა.

დღეს თოჯინები განადგურების პირასაა. სათანადო პირობების არმქონე, ერთ ოთახში "შეყუჟული" 50-მდე უნიკალური ექსპონატი მძიმე სანახავია. ზოგი შუშის კოლოფებსა და კარადებშია გამოფენილი, მაგრამ ეს ოთახი მღრღნელებისა და მტვრისგან დაუცველია. თოჯინების უმეტესობა სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს.

"ვის სახელზე აღარ დავწერეთ წერილები, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა. ფართის გამონახვას ალექსანდრე ლომაიაც დაგვპირდა, თუმცა, როგორც ხედავთ, ისევ აქ ვართ შეფარებული. მას შემდეგ, რაც მუზეუმების გაერთიანებაზე დაიწყეს საუბარი, იმედს არც ჩვენ ვკარგავთ. ერთი თვის წინ კულტურის სამინისტრო ახალი ფართის გამონახვას დაგვპირდა. შესაძლებელია, ეს "ქარვასლაც" იყოს. ყოველ შემთხვევაში, თოჯინები სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებენ. ბევრი მათგანი სინესტემ და ჩრჩილმა შეიწირა," - ამბობს მუზეუმის მხატვარი დალი ჭუბაბრია. 2 ათასამდე უნიკალური ექსპონატი მუყაოს ყუთებში ინახება, თოჯინების შეკეთება კი ხშირად მუზეუმის დირექტორ ვასილ ბაგრატიონს უწევს. სპეციალისტთა განცხადებით, ზოგიერთი ისეა დაშავებული, რომ რესტავრაციასაც ვერ გაუძლებს.

რამდენიმე წლის წინ მუზეუმი გაქურდეს. 28 დაკარგული ექსპონატიდან (ძირითადად, მე-19 საუკუნეში დამზადებული იაპონური, ფრანგული და შვეიცარული თოჯინები) პოლიციამ დღემდე ვერც ერთი იპოვა. რამდენიმე ექსპონატი მუზეუმის თანამშრომლებმა შემთხვევით, ანტიკვარულ მაღაზიებში აღმოაჩინეს და დაიბრუნეს.

მუზეუმს არ ჰყავს დაცვა და ზედამხედველი, არ ემსახურებიან რესტავრატორები. ექსკურსიამძღოლის თამარ ჯანიაშვილის თქმით, თოჯინების მუზეუმისადმი დამთვალიერებელთა ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. **"მათ სანახავად არა მხოლოდ ბავშვები, უფროსებიც სიამოვნებით მოდიოდნენ. ის უცხოელების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ახლა დამთვალიერებელთა მიღებისთვის არანაირი პირობები არ გვაქვს,"** - ამბობს თამარ ჯანიაშვილი.

მუზეუმის ფონდი მას მერე არ განახლებულა, რაც 11 წლის წინ თამარ კვესიტაძემ ექსპონატი - "ქართველ თავადაზნაურთა ოჯახი" უსახსოვრა. სხვათა შორის, ეს ექსპონატიც საკმაოდ დაშავებულია. დარბაისლურად მსხდომ თავადაზნაურთა ოჯახის წევრებს მტვრისგან გადაფარებული გაზეთი იცავს, მუთაქა კი ჩრჩილს უმოწყალოდ შეუჭამია...

წლების განმავლობაში მუზეუმი, სათამაშოების გარდა, ბავშვთა აღზრდის შესახებ საინტერესო ლიტერატურულ მასალასაც აგროვებდა. მუზეუმის თანამშრომლები საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოგზაურობდნენ, რის შემდეგაც მომზადდა ნაშრომი თოჯინების "ქართული დედოფლების" პირველი ნაწილი, მეორე ნაწილი კი, უსახსრობის გამო, დღემდე სტამბას არ გასცილებია.

საკუთარი კედლების გარეშე დარჩენილი უნიკალური თოჯინების ექსპონატებმა მთელი მსოფლიო მოიარეს. მათ შესახებ გადაღებულია ქართული და გერმანული დოკუმენტური ფილმები. სხვადასხვა გამოფენებზე "ქართული დედოფლები" 17 დიპლომითა და სიგელით დააჯილდოვეს. ეს უფაქიზესი მექანიკური და უმოძრაო თოჯინები უამრავი შემოქმედის მუზებიც იყვნენ.

"როგორც ხედავთ, ეს ხელოვნების ნიმუშებია. რატომ ვერ მოახერხა მთავრობამ ჩვენთვის 300 კვადრატული მეტრის ფართის გამონახვა, გაუგებარია..." - უკვირთ მუზეუმის თანამშრომლებს.

შევარდნაძის დროს ამ პრობლემის მოგვარება მერიას დაევალა, მაგრამ მას შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა, მუზეუმის მდგომარეობა კი უცვლელი დარჩა.

ფოტო ალექსიეს ფერდინანდოვის

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 მედიცინა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

კონცერტები

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები
რუსეთის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლების, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატების კონცერტი: ბორის ანდრიანოვი, ნადეჟდა ტოკარევა (ვიოლინო), ანატოლი სპივაკი (ფორტეპიანო), ვადიმ რუდენკო (ფორტეპიანო), ბორის ანდრიანოვი (ჩელო), ნადეჟდა ტოკარევა (ვიოლინო), ვადიმ რუდენკო (ფორტეპიანო).
პროგრამაშია: რახმანინოვი, პაგანინი, ჩაიკოვსკი, შტრაუსი, ვერდი, დონიცეტი და სხვათა ნაწარმოებები.
კონცერტის წამყვანია რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,
აკადემიკოსი სვიატოსლავ ბელზა
და: 19.00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
"აქ, ამ სავანეში..."
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
ფრიდრიხ დიურენმატი
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ფედერიკო გარსია ლორკა
"ბერნარდა ალბას სახლი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
გურამ დოჩანაშვილი
"ფიროსმანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი-უმცროსი
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

რუსთაველი
"რობოტები"
დას: 16:00; 18:00 სთ.

"ხერხი"
დას: 20:00; 22:00 სთ.

ამირანი
"ზარი2"
დას: 18:00; 22:00 სთ.

"ალფი"
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ.

გამოფენები

ქარვასლა
რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები
ლეონიდ ტიშკოვი
"სოლვეიგი. ჩემი მეხსიერების ლანდშაფტი" - ინსტალაცია

რუსეთის სახელმწიფოს ხალხური ხელოვნების სახლი წარმოაჩენს ქ. სანკტ-პეტერბურგის "ქვილთ-კლუბის" გამოფენა "წიგნი დაბადებისა"

სამამულო ომის 60-წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

TMS
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა
საგაზაფხულო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

ჰობი
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

ცენტრ-პოინტის გალერეა
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობა დიპლომატებთან

ქართველი ახალგაზრდები სტიპენდიის მოლოდინში

ვერა ნეფარიძე

გუშინ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთვის დიპლომატიურ-კულტურული კვირეული დაიწყო. რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეების ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, სამინისტროში გიორგი გაბაშვილისა და იტალიის ელჩის ფაბრიციო რომანოს ერთობლივი პრესკონფერენცია კულტურის სფეროში საქართველო-იტალიის თანამშრომლობის მორიგი პროექტის გაცნობას ემსახურებოდა.

ხელოვნების სფეროში იტალიასთან საქართველოს თანამშრომლობა ბოლო თვეებში განსაკუთრებით გამოიკვეთა. სწორედ ამაზე ისაუბრა შეხვედრის დასაწყისში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმაც. განსაკუთრებით ქართულ საოპერო ხელოვნებაში იტალიის საელჩოს წვლილზე გაამახვილა ყურადღება. მართლაც, ცნობილია, რომ იტალიის საელჩოს დახმარებით მაისის ბოლოს (ან ივნისის დასაწყისში) კონსერვატორიის საოპერო სტუდია "სევილიელ დალაქს" შემოგვთავაზებს. საელჩოს მხრიდან ეს არ იქნება ერთჯერადი თანამშრომლობა. ამჯერად იტალიის მხარე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პარტნიორობას კულტურულ-საგანმანათლებლო ჩარჩოებში აგრძელებს.

იტალიის მთავრობამ გაზარდა სტიპენდიების რაოდენობა კულტურისა და ხელოვნების სფეროში, რაც ქართველ ახალგაზრდებს იტალიის პრესტიჟულ სასწავლებლებში განათლების მიღების საშუალებას აძლევს, - გვითხრა გუშინ იტალიის ელჩმა საქართველოში. თავის მხრივ, კულტურულ-დიპლომატიური ურთიერთობების ინტენსიურობა ფაბრიციო რომანომ პრეზიდენტ სააკაშვილის იტალიაში ბოლო ვიზიტს მიაწერა. "იტალიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეწესებინა ეს პრემია; ჩვენი სურვილია, გავზარდოთ ქართველი სტუდენტების იტალიაში სწავლების შესაძლებლობები; პარალელურად, ეს ყველაფერი იტალიური კულტურის პოპულარიზაციას სასიკეთოდ წაადგება", - განაცხადა იტალიელმა დიპლომატმა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

იტალიის მთავრობის სტიპენდია ჩვენი ახალგაზრდებისთვის წელს გაიზარდა 160 თვემდე (შარშან 125 იყო), რაც ხუთ სტუდენტზე გადანაწილდება. შერჩეულია სფეროები: მუსიკა (საოპერო ხელოვნება), სახვითი (სარესტავრაციო), კინო, მოდა, მედია (ტელეჟურნალისტისთვის). კონკურსის პირობები უახლოეს დღეებში პრესაში გამოქვეყნდება; ამიტომაც, დეტალების დაკონკრეტებისგან გუშინ მინისტრმაც და ელჩმაც თავი შეიკავეს. განაცხადები თვის ბოლომდე მიიღება. კონკურსისთვის შეიქმნება სპეციალური ჟიური, ხოლო კონკურსის შეჯამების ბოლო სტადიაში იტალიელებიც მიიღებენ მონაწილეობას. მინისტრის თქმით, საუბარია იტალიის პრესტიჟულ სასწავლებლებზე. "კონკურსში გამარჯვებული მოდელიერ-დიზაინერი განათლებას მიიღებს ფლორენციის მოდის აკადემიაში; ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ იტალიაში, სადაც რესტავრაციის უნიკალური გამოცდილება არსებობს, ჩვენი სტუდენტი სპეციალობას დაეუფლება", - აღნიშნა გიორგი გაბაშვილმა.

იტალიელები სპორტის სფეროშიც აპირებენ სამინისტროსთან თანამშრომლობის გაგრძელებას. კერძოდ, საელჩოს სურს, გაისად ბაკურიანსა და გუდაურში იტალიური სათხილამურო სპორტის დღეები გამართოს.

დამარილებული ინსტალაციის კინემატოგრაფიული პარალელები

რუსი კაპები ანუ საბჭოთა ფოტოგრაფები მეორე მსოფლიო ომის შესახებ

ია ვეკუა

რობერტ კაპას "ესპანელი ჯარისკაცის დაღუპვა" რეპორტაჟული ფოტოგრაფიის შედევრადაა აღიარებული. "ქარვასლაში" გამართულ გამოფენაზე, რომელიც რუსეთის კულტურის დღეების ფარგლებში გაიხსნა, ამ ჟანრის საუკეთესო ომისდროინდელ ფოტონამუშევრებს მოუყარეს თავი. საბჭოთა ფოტოგრაფიის ოსტატებად აღიარებული ხელოვანების ნამუშევრებში ვერ ნახავთ ხსენებული სისტემისთვის დამახასიათებელ შელამაზებულ კადრებს - აქ მხოლოდ რეალურად შეშლილი სახეები, ყუმბარისგან დაფლეთილი სხეულები და ნამდვილი რაიხსტაგია.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გახსნილ გამოფენაზე ომის პერიოდის თითქმის ყველა ფოტოხელოვანის ნამუშევრებია გამოფენილი. ევგენი ხალდეი, ანატოლი შაიხეტი, ალექსანდრე უსტინოვი, ბორის იგნატოვიჩი, მიხაილ ტრახმანი, გიორგი ლიპსკეროვი, რობერტ დიამენტი, მიხეილ სავინი, მარკ მარკოვ-გრინბერგი, ნატალია ბოდე და ანატოლი მოროზოვი ფოტოენით მოგვითხრობენ იმ ოთხი წლის შესახებ, რომელმაც შეძრა მსოფლიო.

ეს ავტორები ომის განმავლობაში მხოლოდ ფოტორეპორტაჟით არ იყვნენ დაკავებულნი, ისინი ჩვეულებრივი ჯარისკაცებივით იბრძოდნენ და მათსავით მუდამ სიკვდილის მოლოდინში იყვნენ. თან მხოლოდ პატარა ზომის, ვიწროფირიანი ფოტოაპარატი "ლეიკა" ჰქონდათ და ფოტომასალით სააგიტაციო პლაკატებისა თუ გაზეთების გამომცემლობებს ამარაგებდნენ.

სააგიტაციო ფოტოები გამოფენაზე მცირე რაოდენობითაა შემოთავაზებული. გიორგი ლიპსკეროვის 1944 წლის აგვისტოში გადაღებული ფოტოს გმირი ჯარისკაცების გასართობად განკუთვნილი თვითმოქმედების ჯგუფის წევრი კომკავშირელი შალიმოვაა. "სკოლის მერხიდან ფრონტზე" - ასე შეიძლება დავარქვათ ფოტოს, რომელზეც გოგონები მოხალისეებად ეწერებიან. აქვე არიან მოღიმარი და ამაყი საბჭოთა მფრინავები, ხოლო სმოლნის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჯარისკაცები გლეხებს მოსავლის აღებაში ეხმარებიან.

ამით მთავრდება აუცილებელი კადრები და იწყება ნამდვილი ომი:

1941 წელი - ფაშისტების მიერ დაბომბილი სოფლის მოსახლეობა გადამწვარი სახლების ნარჩენებს შესცქერის; 1942 წელი - მოხუცი ქალი ყუმბარაზე აფეთქებული ჯარისკაცის დაფლეთილ სხეულს დაჰყურებს; 1942 წლის სექტემბერი - მშვიდობიანი მოსახლეობა ქალაქს ტოვებს, მშობლებს შვილები ზურგზე ჰყავთ მოკიდებული და ტყვიების ზუზუნში სამშვიდობოს გაჰყავთ. განადგურებული სევასტოპოლი, ლენინგრადის ბლოკადა - შიმშილისგან გარდაცვლილს ჯერ კიდევ ცოცხალი ოჯახის წევრები ქუჩაში მიასვენებენ.

გამოფენის ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოა არკადი შაიხეტის ქვეითი ჯარის შეტევა. ჯარისკაცები მეთაურის მოწოდებაზე მტრის მიმართულებით გარბიან, მათგან რამდენიმე მეტრის მოშორებით კი ყუმბარის აფეთქებისგან წარმოშობილი მიწის სვეტია აღმართული. შესაძლოა, ამ აფეთქებამ ფოტოს ყველა პერსონაჟი იმსხვერპლა, მაგრამ ფოტოგრაფის მიერ შეჩერებული წამი ყველაზე ცოცხალი კადრია.

იური ლოგოდინის ფოტო

ასეთივე დინამიკურობით გამორჩევა მარკ მარკოვ-გრინბერგის მიერ 1943 წელს გადაფიქსირებული კადრი: სანგარში საბჭოთა ჯარისკაცები არიან ჩამალულნი, ზემოდან მტრის ტანკის მუხლუხოები გადადის. ჯარისკაცების თვალები ერთდროულად შიშისგანაც თრთიან და ტანკის განადგურების სურვილითაც არიან ანთებული.

ფოტოომი ნელ-ნელა მთავრდება. ევგენი ხალდეიმ 1945 წელს ორი გამორჩეული ფოტო გადაიღო: ბუდაპეშტის გეტოდან გათავისუფლებული ორი ებრაელი მხსნელ საბჭოთა ჯარს ესალმება; ვენაში კი ფაშისტების ოჯახის სამა წევრმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა...

1945 წლის 2 მაისი, მოსკოვი, კრემლი, ამხანაგ სტალინს - რაიხსტაგზე წითელი დროშა ფრიალებს. მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი ისტორიული მოვლენის მთავარი გმირები არიან და ფაშისტური გერმანიის მთავარი შენობის გუმბათზე წითელ დროშას ამაგრებენ. ომი დამთავრდა და გიორგი ჟუკოვი წითელ მოედანზე თეთრ ცხენს მოაჭენებს...

თავად გამოფენა კი ამით არ მთავრდება. რუსული კულტურის დღეების მონაწილეებმა "ქარვასლის" კიდევ ორი დარბაზი აითვისეს. ლეონიდ ტიშკოვი მხატვარია, თუმცა, ხანდახან მწერლობაზეც წაუცდება ხელი. მან თბილისში საინსტალაციო ჟანრში გადაწყვეტილი ხელოვნება წარმოადგინა, მაგრამ დამთვალიერებელთა გული ვერც მარილის ზელვით მოიგო და ვერც ქარის მიერ დახატული აბსტრაქციებით.

"სოლვეიგი, ჩემი მეხსიერების ლანდშაფტი" ჩვეულებრივი სუფრის მარილით შექმნილი ინსტალაციაა. დაუზარელი უცნობი (სავარაუდოდ, თავად მხატვარი) კარგა ხნის განმავლობაში იქექება განათებულ ზედაპირზე დაყრილ მარილში, რასაც ტიშკოვი ასე ხსნის: "ეს ჩემი ბავშვობა და მეხსიერებაა. ბავშვობაში ურალში ვცხოვრობდი, სადაც მხოლოდ ქარხნების საკვამურები, გაყინული გუბეები და თვალისმომჭრელი თოვლი იყო. ამ ინსტალაციაში შეამჩნევთ დათოვლილ ბილიკზე მიმავალ ბიჭს - ეს მე ვარ".

ისღა დაგვრჩენია, ავტორს დავუჯეროთ, რადგან მარილის გროვაში არც ბიჭი ჩანს და არც მსგავსი რამ. სამაგიეროდ, ადვილად შესამჩნევია ქარის მიერ ამოძრავებული ფუნჯებით შექმნილი ნამუშევრები. როგორც ტიშკოვმა აგვიხსნა, 25-სართულიანი სახლის სახურავზე გაჭიმეს თოკები, რომლებზეც 40 ფუნჯი მიამაგრეს - ქარმა კი "დახატა". მეორე ფოტოსერიაზე ქარის მიერ აფრიალებული პოლიეთილენის ნაგვის პარკებია. მათ ავტორი ჰაერის მიერ დახატულ ნამუშევრებს უწოდებს, მე კი "ამერიკული სილამაზის" ერთ-ერთი ულამაზესი კადრი გამახსენა. მორიგ ფოტოებზე კი მეხსიერებაში "ამელი" ამოტივტივდა - მხატვარს საყვარელი თოჯინა ნიკოდიმი თურმე სამოგზაუროდ დაჰყავს და ღირსშესანიშნავ ადგილებში ფოტოებს უღებს. შიშველი ნიკოდიმი ზუსტად ამელის მამის გნომივით უცოდველი თვალებით იცქირება.

გიტარის ჯადოქარი

აგნი ფოფხუა

16 აპრილს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ცნობილი ქართველი მომღერლის ოთარ რამიშვილის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელზეც სრული ანშლაგი იყო და საოცრად თბილი ატმოსფერო სუფევდა.

ოთარ რამიშვილი ხალხის წიაღში შობილი პოეტი და მუსიკოსია. უფრო მეტიც, იგი თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული უბნის და პერიოდის - 60-იანი წლების "თბილისელი ბიჭია".

მისი შემოქმედება დიდი ხანია შეიყვარა ხალხმა და მის სიმღერებზე თაობები აღიზარდნენ.

"ვერ ამიხსნია, მე თვითონ ვინ ვარ", - ერთ-ერთ სიმღერაში კითხულობს ოთარ რამიშვილი. არ ვიცი, რას ფიქრობს ავტორი, მაგრამ ქართველი ხალხისთვის იგი გიტარის ჯადოქარი, ჰანგების მესაიდუმლე, ქართველი ბარდი, მუსიკის კოლორიტი, თბილისის ტრუბადურია.

საღამოს უძღვებოდა ბატონი ოთარის აღზრდილი და ნამოწაფარი მომღერალი მიშიკო ზაქარეიშვილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს საღამო იყო ქართული იუმორისა და ქალაქური სიმღერების საუცხოო ზეიმი. შეუძლებელიც იყო, ოთარ რამიშვილის საღამო მკაცრი და აკადემიური ყოფილიყო. "მეფურ სავარძელში" თავს ერთობ უხერხულად და მოუსვენრად გრძნობდა. მხსნელად ისევ მეგობრები, გიტარა და ხალხი ეგულებოდა. საოცარ განწყობას ქმნიდა სცენის დეკორაცია - ძველი და დღევანდელი თბილისის სხვადასხვა უბნები (ფოტორეპროდუქციებით), ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომლის უსაზღვრო სიყვარულმა არაერთი ლამაზი სიმღერა დააწერინა შემოქმედს.

კონცერტში მონაწილეობდნენ: ნუკრი კაპანაძე, გიო ხუციშვილი, თემურ წიკლაური, ნიაზ დიასამიძე, ზურაბ მანაგაძე... ანსამბლები "ქართული ხმები", "თბილისი", "მთიები", "ორბი", "ახალი სკოლა" და აშ. რომლებიც კიდევ ერთხელ მოეფერნენ საყვარელ მომღერალსა და კომპოზიტორს.

იყო დრო, როცა სატირული ირონია მკაცრად იდევნებოდა; ამას ვერც ოთარ რამიშვილი გაექცა. მისი სიტყვა ხომ ზოგჯერ პირდაპირ და მკაცრად იყო ნათქვამი, მაგრამ ამის გამო პოპულარობა და დაფასება არასოდეს მოჰკლებია. ხელოვანს მაინც მიეგო საკადრისი - ხალხის უსაზღვრო სიყვარული, რაც ნებისმიერ ჯილდოზე და ტიტულზე ძვირფასია.

ქართული მუსიკის თაყვანისმცემლები დღესაც ეთაყვანებიან ოთარ რამიშვილს, როგორც კომპოზიტორს, რომელიც მრავალი ლამაზი ქართული სიმღერის ავტორია. ის გამორჩეულად უყვართ როგორც ორიგინალური მანერის მქონე გიტარისტი. 15 წლის იყო, როცა დამოუკიდებლად დაიწყო მეცადინეობა გიტარაზე და მას შემდეგ გიტარა მისი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. რამიშვილის ოსტატობამ არა მხოლოდ ჟინითა და სურვილით აანთო, "რამიშვილივით" დაეკრათ, არამედ, როგორც პედაგოგმა, თაობები აზიარა გიტარაზე დაკვრის ხელოვნებას.

ბატონი ოთარის ხელში გიტარა ხან ჩუმი და ნაზია, ჩურჩულით რომ გვესაუბრება, ხან, თითქოს ვერ იტევსო და, "ორკესტრის" მძლავრი ჟღერადობით გადმოგვცემს სათქმელს. სათქმელს კი რა გამოულევს "თბილისელ ბიჭს", მარად შეყვარებულს თბილისზე, მეგობრობაზე, სამშობლოზე, სიყვარულზე, ქალზე და, რა თქმა უნდა, სასმელზე.

მცირედითაც დააჯილდოეს საიუბილეო საღამოზე. ჯემალ ბაღაშვილმა აღნიშნა: "ოთარ რამიშვილი ნაღდი შემოქმედია, მის სიმღერებზე თაობები გაიზარდნენ, გიტარაზე მისი დაკვრის სტილი გამორჩეული და ორიგინალურია. ბატონი ოთარი პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელიც დაჯილდოვდა ფულადი პრემიით, როგორც ამაგდარი შემოქმედი". მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მომღერალს გადასცა ღვაწლმოსილი შემოქმედის დიპლომი და მაცხოვრის ხატი.

ბოლოს წამყვანმა სცენაზე იხმო გიტარის ჯადოქარი. დარბაზი ფეხზე წამოუდგა უსაყვარლეს მომღერალს. ჟღერდა ყველასთვის საყვარელი მელოდიები: "მარტის თვეა შენი", "ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა", "გული უმღერის გულს", "ასე თბილი და ასე ტკბილია", "ფუტკარი, როგორც აფთიაქარი"... რასაც მქუხარე ტაში და "ბრავო" მოჰყვა.

წყალყალებული ხავსს ეჭიდებოდა, რომელიც მახრჩობელად იქცა

მაიკლ ჯექსონის სასამართლო

მელორ სტურუა
საკ. კორ. აგზ-ში

მთების, ზღვებისა და ოკეანეების გადავლით, კალიფორნიის პატარა დასახლება სანტა მარიადან გულისშემძვრელი ყვირილი დახმარების თხოვნით ინდოეთის წმინდა ქალაქ ვარანაზიში ისმის. ეჭვმიტანილი პოპის მეფე, მაიკლ ჯექსონი, ან ჯეკო, როგორც მას ტაბლოიდები უწოდებენ, ინდოელ გურუს და ასტროლოგს, "ამერიკელი კინოვარსკვლავების საქვეყნოდ ცნობილ ვარსკვლავთმრიცხველს", დეოკი ნაიდან შასტრის შველას თხოვს. ისინი ჯერ კიდევ 1996 წელს შეხვდნენ ერთმანეთს, როდესაც მეფე გასტროლებზე იყო ბომბეიში. მაშინ გურუმ უწინასწარმეტყველა "სასამართლო დრამა", რომელიც მისი ტრიუმფით დამთავრდებოდა. სასამართლო დრამა ძალიან ინტენსიურად კი მიმდინარეობს, მაგრამ ტრიუმფი რაღაც არ ჩანს.

სანტა მარიადან ვარანაზიში ტელეფონით ტირილნარევი ხმა ისმის: "ისინი ციხეში გამომამწყვდევენ! ამას მე ვერ გადავიტან! ერთ დღესაც ვერ ვიცხოვრებ ციხეში! იქ მე მომკლავენ! რა ვქნა? მითხარი, როგორ მოვიქცე?" კინომსახიობების ვარსკვლავთმრიცხველი ყვება: "ის ისე ტიროდა, როგორც პატარა ბავშვი. ემოციურად დანგრეული იყო. პატიებას მთხოვდა. მაგრამ მე ვუპასუხე, რომ მან თავის თავს თვითონ უნდა აპატიოს და საკუთარ სულში მშვიდობა იპოვოს. ვუთხარი, რომ იგი მის გარშემო მყოფ ბუნებასთან დისბალანსშია და რომ თავისი კარმა უნდა დაარეგულიროს, გახდეს უფრო სულიერი, იპოვოს ძალა, ბედს თვალებში ჩახედოს, ადამიანებისა და ცხოველებისთვის იყოს ქველმოქმედი და რაც ბედმა მოუმზადა, მიიღოს როგორც აუცილებელი. მაიკლმა მიპასუხა: "ბაბა, მე შენ რჩევას დავუჯერებ!"

მეფის საუბარი გურუსთან ერთ საათს გრძელდებოდა. მაგრამ ჯერჯერობით ბაბამ ვერ უშველა ჯეკოს.

პროცესი გრძელდება...

სასამართლოში ჩვენებებს იძლევიან "ყოფილი ბავშვები", რომლებზეც თითქოს სექსუალურ ძალადობას ახდენდა ჯეკო, მათი დედები. მეფის საუბედუროდ, კალიფორნიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იძლევა მოწმეების დაკითხვის უფლებას, მსჯავრდებულის მსგავსი ქცევის, როგორც "ჩვევის" დასამტკიცებლად. თუმცა, როდესაც საქმე ეხება სექსუალურ ძალადობას მცირეწლოვანთა მიმართ, ასეთი მიმართვა სასამართლოში უარყოფილია. ამას ითხოვდა ბრალმდებელი მხარე. ამის თავიდან აცილება უნდოდა დაცვას. მაგრამ მოსამართლემ პროკურორს დაუჭირა მხარი და, როგორც კაშხლიდან, ისე გადმოხეთქა.

ახალგაზრდა ბიჭები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან და ამტკიცებენ, რომ ბავშვობაში მათ ჯექსონი "ეხებოდა". მათ ჩვენებებს "დაზარალებულთა" დედები და მამები და მეფის ზოგიერთი მსახურიც ადასტურებს.

საინტერესო დეტალი - ყველა ახალგაზრდა საოცრად ჰგავს ერთმანეთს. ყველა მათგანს მუქი თმა, ყავისფერი თვალები, ზეთისხილის ფერის სახე აქვთ. ეს გარეგნული მსგავსებაც ჯექსონის წინააღმდეგ მუშაობს, თითქოს ადასტურებს მის პედოფილურ "თანმიმდევრულობას". ჯეკოსთან შეხვედრის მომენტში ყველა ამ ბიჭის ოჯახი დანგრეული იყო - მამები გაიქცნენ, მათ დედები ზრდიდნენ. ესეც ამძიმებს ეჭვმიტანილის მდგომარეობას: თითქოს იგი ხელებს აფათურებდა დაშლილ ოჯახურ ბუდეებში, სარგებლობდა მათი გაჭირვებული მდგომარეობით. დაბოლოს, ყველა ამ ახალგაზრდამ და მათმა დედიკოებმა ამჯობინეს რა დოლარი სამართლიანობას, პოპის მეფე არ გადასცეს თემიდას. ერთ-ერთმა ჯექსონისგან 1,2 მილიონი დოლარი მიიღო, მეორემ - 2,4 მილიონი, მესამემ კი - 20 მილიონი დოლარი! იცვლებოდა სამართლიანობის ფასი, მაგრამ არა ფორმა. და რომ არა საბედისწერო მუხლი კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, გამდიდრებული მსხვერპლი თევზივით დამუნჯდებოდა.

მაგრამ მოწმეების ამ თავისებურ ერთგვაროვნებას და მათ ჩვენებებს ჯექსონის დაცვაც იყენებს. მისი ადვოკატები ამტკიცებენ, რომ დღევანდელი სიმართლის მაძიებელი ცდილობდა, გამოეწოვა ჯექსონისგან დოლარი, თუმცა, როდესაც დაიტუქსა, თემიდა მამონით შეცვალა.

ჯექსონისგან გამოსასყიდმიღებულთა გალერეა პოპვარსკვლავის ყოფილი მოსამსახურის ვაჟიშვილმა გახსნა. მან სასამართლოს უამბო, რომ ის სამჯერ გახდა ჯექსონის ვნებიანობის მსხვერპლი: 7, 8 და 10 წლის ასაკში (ახლა ის 24 წლისაა). პირველად ეს ჯექსონის ჰოლივუდის კონდომინიუმში მოხდა. ჯექსონმა მუხლებზე დაისვა და ისინი ერთად ათვალიერებდნენ კომიქსებს. ბოლოს მეფემ შარვალში ასდოლარიანი ჩაუდო და დაარიგა, რომ დედისთვის არაფერი მოეყოლა. იგივე მოხდა, როდესაც ბავშვს შეუსრულდა 8 და შემდეგ 10 წელი. მაშინაც ჯექსონმა გასაჩუმებლად 100 დოლარი გადაუხადა. ახალგაზრდა კაცი ჩვენების მიცემისას თვალებს იწმენდდა, სუნთქვა უჭირდა და ტიროდა, ამბობდა, რომ ჯექსონთან შეხვედრების მერე მას თავის სექსუალურ ორიენტაციაში ეჭვი შეეპარა და დიდხანს მოუხდა ექიმ-ფსიქიატრთან მკურნალობა. თუმცა, საქმე სასამართლომდე არ მისულა. ჯექსონმა გადაიხადა.

როდესაც სანტა ბარბარას ოლქის პროკურორის მოადგილემ რონ ზენონმა ახალგაზრდა კაცს ჰკითხა, ცნობს თუ არა თავის შემცდენელს სასამართლო დარბაზში, მან უპასუხა:

- ეს სუსტი კომპლექციის ჯენტლიმენია.

მისი სიტყვებით, ყველაფერი ღიტინით დაიწყო, რაც შემდეგ "ჩქმეტაში" გადაიზარდა. შეკითხვაზე, რამდენ ხანს ჩქმეტდა მას ჯექსონი, მოწმემ უპასუხა:

- იმდენ ხანს, რომ ჩვენ კომიქსების ერთნახევარი წიგნი დავათვალიერეთ.

დარბაზი ახმაურდა. მოსამართლე როდნი მელვილმა დამსწრეთ წესრიგისკენ მოუწოდა.

ბოლოს, როდესაც ბიჭს 10 წელი შეუსრულდა, ისინი უკვე კომიქსებს კი არ ათვალიერებდნენ, ტახტზე წამოწოლილები ვიდეოს უყურებდნენ.

- და რას აკეთებდა ამ დროს თქვენი დედა? - იკითხა პროკურორმა

- ის გვიდა. ის ყოველთვის გვიდა...

ჯექსონის ადვოკატი თომას მესერო ამტკიცებდა, რომ ამ მოწმის ჩვენებები "რეპეტიციაგავლილი და შეთითხნილი" იყო და რომ თავის დროზე მან გამოასყიდი მილიონები მიიღო. მოწმის დედაც გამდიდრდა. მან ეს ისტორია 20 ათას დოლარად ტელევიზიო შოუ "ჰარდ კოპის" მიჰყიდა. მოწმე ამტკიცებდა, რომ არაფერი იცოდა ამის შესახებ. მერე ადვოკატმა მოწმეს შეახსენა, რომ 1993 წელს მან დეტექტივებს უთხრა, თითქოს ჯექსონს ღიტინის გარდა არაფერი გაუკეთებია.

- მე, უბრალოდ, ვცდილობდი, მომხდარი გონებაში დამებლოკა, - უპასუხა მოწმემ.

- ესე იგი, პოლიცია მოატყუეთ?

- დიახ.

ვინც ერთხელ მოიტყუება... საქმე აქეთკენ მიჰყავდა ადვოკატს.

მეორე დღეს ჩვენებებს ნაღიტინევი ბიჭის დედა იძლეოდა. მან თქვა, რომ ჯექსონი არასრულწლოვან ბიჭთან ერთად (არა მის შვილთან) საწოლში ნახა. "იმ ადგილამდე, სადამდეც საბანი ფარავდა, ისინი შიშვლები იყვნენ. რა ხდებოდა საბნის ქვეშ, მე არ მინახავს". ქალი ჯექსონთან 5 წელიწადს მუშაობდა. რეცხავდა მის თეთრეულს, უწმენდდა ფეხსაცმელებს. "მე მისი საწოლი ოთახის გასაღები მქონდა", - ამტკიცებდა იგი. მის მიერ ხსენებული ბიჭი ხშირად ჯექსონთან ერთ საწოლში იძინებდა. მეორე საწოლს მე არ ვშლიდი და საძილე ტომარაც არ გამიშლია იატაკზე. ისინი აბაზანასა და ჯაკუზიში ერთად ჭყუმპალაობდნენ. ჯექსონისა და ბიჭის საცვლები იატაკზე ეყარა. მე ასევე ვხედავდი მათ სილუეტებს სააბაზანოში: ერთი დიდი იყო, მეორე - პატარა.

სენსაციამ მაშინ იფეთქა, როდესაც ჯექსონის დამლაგებელმა პოპ-მეფის ერთ-ერთ კომპანიონად ცნობილი არასრულწლოვანი კინომსახიობი, ფილმების სერიის - Home Alone ("მარტო სახლში") გმირი მაკალეი გალკინი დაასახელა. დამლაგებლის ჩვენებები ჯექსონის სამფლობელო "ნევერლენდში" დასაქმებულმა ცოლ-ქმარმა (ფილიპ და ესტელა) ლამარკებმაც დაადასტურეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დაინახეს, როგორ ჩქმეტდა ჯექსონი გალკინს.

როგორც გალკინმა, ისე მისმა მშობლებმა უარი თქვეს სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე. მათ განაცხადეს, რომ მაკალეისა და ჯექსონს შორის "ურთიერთობა" მხოლოდ და მხოლოდ ჭორია. კინოვარსკვლავის მამის კიმ გალკინის განმარტებით, ბარათში წერია, რომ ის და მისი ოჯახი 90-იანი წლების პირველ ნახევარში რამდენჯერმე ესტუმრნენ ჯექსონს "ნევერლენდში", "მაგრამ ჩემი შვილები არასოდეს წოლილან მაიკლთან, - წერს კიტი (მას შვიდი შვილი ჰყავს) - როდესაც ჩვენ "ნევერლენდში" ჩავდიოდით, მათ ცალკე ოთახებში ათავსებდნენ. მაიკლის საძილე ოთახი კი გამავალ ოთახს ჰგავდა. ჩვენც ვიყავით ხოლმე იქ, ვთამაშობდით კარტს და შაშს, ვუყურებდით ტელევიზორს. ბავშვებს ზოგჯერ ჩამოეძინებოდათ, მაგრამ ასე მოსდით ბავშვებს ყველგან და ყოველთვის..." კიტის ახლანდელი გერლფრენდი ჟანეტ კრილოვსკი კი დასძენს: "მაიკლი თითითაც რომ შეხებოდა მაკალეის, კიტი მას ადგილზევე გააქრობდა..."

დამლაგებელს ჯექსონის ადვოკატისგანაც მოხვდა. ჯერ ერთი, მან აიძულა ეღიარებინა, რომ ის შვილს ასდოლარიანებს ართმევდა და მშვენივრად იცოდა მათი წარმომავლობა; მეორეც, მან თავისი შვილისა და გალკინის ისტორია 20 ათას დოლარად ტელეშოუ "ჰარდ კონის" მიჰყიდა. საბოლოოდ ადვოკატმა ჰკითხა:

- 1994 წლის ჩვენებებში თქვენ ამბობდით, რომ ჯექსონი არასდროს არც ერთ ბავშვთან არ შედიოდა კონტაქტში. ასეა თუ არა?

- დიახ, - წაილუღლუღა დამლაგებელმა...

მეორე დღეს ბრალდების მხარემ მოიწვია თავისი "მძიმე იარაღი" - უშველებელი რალფ ჩაკონი, რომელიც ჯექსონის დაცვაში მუშაობდა. მან სასამართლოს უამბო, რომ ერთხელ ბოსის საცურაო აუზში შეიხედა და დაინახა, რომ მაიკლი "ათი წლის ბიჭუნას ორალურ სექსს უკეთებდა". ჩაკონმა თქვა, რომ ორივე "ვნებიანად აღგზნებული იყო" (ლაპარაკია ბიჭზე, რომელმაც ჯექსონისგან 20 მილიონი დოლარი მიიღო).

პოპ-ვარსკვლავის ადვოკატმა გოლიათი სასწრაფოდ შემოატრიალა. მან თქვა, რომ ჩაკონის ჩვენებები სიცრუე და შურისძიებაა. თავის დროზე მან პატრონი გაქურდა და კომპენსაციის სახით მოუხდა 25 ათასი დოლარის გადახდა (ჩაკონმა თქვა, რომ მან მხოლოდ შოკოლადის ფილა მოიპარა). ქურდობაში ჯექსონის სხვა მსახურებმაც, მათ შორის, ზემოხსენებულმა დამლაგებელმაც, მიიღეს მონაწილეობა (მოგვიანებით მისი სახელის, ადრიან მაკმანუსი, ხსენება ნებადართული იყო). საბოლოოდ სასამართლომ ამ ქურდების ხროვას დაავალა ჯექსონისთვის 1,4 მილიონი დოლარის გადახდა. ჯექსონმა ეს ფული ვერ მიიღო. ქურდებმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს. ჩაკონმა აღიარა, რომ თავიანთი ადვოკატების დარიგებით ქურდბაცაცებმა დაიწყეს ჯექსონის სექსუალური თავგადასავლების ყვითელი პრესისთვის მიყიდვა; ეს იყო მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო. თვითონ ჩაკონმა თავისი ზღაპრები 17 ათას დოლარად გაყიდა, მაგრამ ეს ფული მის ადვოკატს ერგო.

არც ერიკ კარტერი, ჯეკოს დაცვის ყოფილი უფროსი გამოდგა წმინდანი. ჩვენების მიცემამდე იგი ლას ვეგასის პოლიციამ დაიჭირა. კარტერს ბრალი ედება რამდენიმე ქურდობასა და ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმისას ქალების მოტაცებაში. მიუხედავად ამისა, მოსამართლე მელვილმა მოითხოვა, რომ კარტერს მიეცა ჩვენება. სასამართლომდე კარტერმა თქვა, რომ ჯექსონი ალკოჰოლური სასმელებით ათრობდა ბავშვებს. ერთხელ, როდესაც მან ბოსს ამაზე "მიუთითა", მან თითქოს უპასუხა: "მე ვსვამ. მათაც შეუძლიათ დალიონ. ეს დავაჟკაცების შემადგენელია". ამბობენ, რომ როდესაც ჯეკომ შეიტყო კარტერის დაპატიმრების შესახებ, არ გაუხარდა, მას შეეშინდა.

- და ასეთ ადამიანს მივანდე ჩემი და ჩემი ბავშვების სიცოცხლე - წამოიყვირა მან.

თუ ჯექსონს პატარა შანსი მაინც აქვს, თავიდან აიცილოს ციხე, ის მდგომარეობს იმაში, რომ მსაჯულებმა შეიძლება არ დაუჯერონ საეჭვო მოწმეებს: ქურდ მცველებს, შვილებით მოვაჭრე დედებს და საზოგადოების სხვა ნაგავს. მოწმეების დაკითხვა ისეთი დამთრგუნველი სანახაობა იყო, რომ თვით მოსამართლე როდნი მელვილმა მძიმედ ამოიოხრა:

- ეს რა ბინძური კვირა დაგვიდგა!

გოლიათი ჩაკონი კი ჩვენების მიცემის მერე უცებ ატირდა და, როგორც ბავშვი, აწუწუნდა:

- სახლში მინდა!

თვითონ ეჭვმიტანილიც ხშირად ყრის ცრემლებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის დეზორიენტირებულია, არ ესმის, თუ რა ხდება მის თავს. ჯეკოს ადვოკატი ამას იმით ხსნის, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბევრი ავადმყოფობა სჭირს და ექიმები მას უამრავი წამლით ჭყეპენ, რისგანაც იგი ითიშება. საცოდაობაა და გულსატკენია, უყურო ამ დაჩაჩანაკებულ ადამიანს, რომელიც ოდესღაც ბრწყინვალე პოპ-მეფე იყო. ჯადოსნური პიტერ პენიდან, რომელსაც არ უნდოდა გაზრდილიყო, ჩრდილიც კი არ დარჩა.

"მივცეთ საშუალება ახალგაზრდებს, გააოცონ ერთმანეთი"

გუშინ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ოფიციალურად, რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები გაიხსნა. ოფიციალურ გახსნამდე ღონისძიების ქართველმა და რუსმა ორგანიზატორებმა - მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და რუსეთის ფედერაციის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა, რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა მიხეილ შვიდკოიმ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

გიორგი გაბაშვილის თქმით, ამ ღონისძიებით შეივსება ის 10-15 წლიანი პაუზა, რომელიც ქართულ და რუსულ კულტურას აშორებს. "მართალია, ჩვენი კულტურული ურთიერთობები ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა, მაგრამ მსგავსი ღონისძიებები, რაც დღეს იმართება, არ გამართულა. იმედი მაქვს, რუსული კულტურის მუშაკები საქართველოში ჩამოვიდნენ არა მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ გულით", - განაცხადა გაბაშვილმა. მიხეილ შვიდკოის თქმით კი, რუსეთის კულტურის დღეების ფარგლებში, ქართველი მაყურებლის წინაშე წარდგებიან ის მსახიობები, რომლებიც 10-15-წლიანი პაუზის პერიოდში, რუსეთში შექმნეს ახალი, თანამედროვე რუსული კულტურა. "სიყვარული გაოცებიდან მოდის და ჩვენც მივცეთ საშუალება ახალგაზრდებს, გააოცონ ერთმანეთი. საქართველოსა და რუსეთს ძალზედ კარგი კულტურული ურთიერთობები აქვთ, რაც არასოდეს გაწყვეტილა. დღეს წარმოდგენილი მრავალფეროვანი პროგრამა საკმაოდ საინტერესოა ", - დასძინა შვიდკოიმ.

ერთობლივი პრესკონფერენციის შემდეგ, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ღონისძიების ფარგლებში სიმფონიური მუსიკის კონცერტს უმასპინძლა. საღამოში მონაწილეობდნენ მოსკოვის მუსიკალური თეატრისა და სახელმწიფო აკადემიური ფილარმონიის წარმომადგენლები: ვადიმ რუდენკო, ნადეჟდა ტოკარევა, ევგენი პოლიკანინი, მარინა ანდრეევა და ბორის ანდრიანოვი. ღონისძიება დღეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლებს. საღამოს აქ რუსეთის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლების, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატების კონცერტი გაიმართება.

დაიმონდის ბრილიანტი ტურნე



"ამერიკული ტურნეების ინდუსტრია ამ ზაფხულს 24-კარატიან საჩუქარს მიიღებს" - წერს ჟურნალი "ბილბორდი" და ნილ დაიმონდის (diamond - ბრილიანტი) გასტროლს გულისხმობს.

ეს მომღერალი ბოლო 30 წლის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ტურნეებს აწყობს ხოლმე. ამჯერად ის გზას 25 ივლისს გაუდგება. პირველად ომაჰაში, ნებრასკას შტატში გაჩერდება და შემდეგ 34-მდე ამერიკულ ქალაქს მოივლის.

"ცოცხალი მსოფლიო ტურნე-2005" - ასე ჰქვია მოგზაურობას, რომლის ორგანიზატორები ამჯერადაც დიდ შემოსავალს ელიან. 2001-02 წლების მსოფლიო ტურნემ ხომ, 117 კონცერტით, 88.6 მილიონი დოლარის მოგება მოიტანა. ამ კონცერტებს 1.5 მილიონი ადამიანი ესწრებოდა, 98 შოუზე კი სრული ანშლაგი იყო.

ტურნეს თან დაიმონდის ახალი ალბომიც ახლავს, რომლის პრეზენტაციაც ამ ზაფხულს გაიმართება.

წარმატებები გარანტირებულია, რადგან ამერიკულ თარიღებს წინ უკვე უსწრებდა რამდენიმე კონცერტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მათ შორის მარტში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გამართული შოუებიც იყო. წელს სულ, 15 კონცერტის შედეგად, 14.6 მილიონი დოლარი დაგროვდა.

ახლა ვეტერანი დაიმონდის მსოფლიო ტურნე ბრიტანეთსა და ირლანდიაში გრძელდება, ივლისში კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, შტატებში დასრულდება. მომღერალი ამბობს: "ეს მოგზაურობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვხვდები, რომ 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ პუბლიკას სულ უფრო მეტად სჭირდება მსგავსი შოუები. ჩვენ, მომღერლები, მათ რაღაც გაგებით, სიცოცხლის გაგრძელებაში ვეხმარებით. მოკლედ, მოხდა რაღაც ასეთი - ჩავიფიქრეთ ტურნეს გაკეთება და გამოგვივიდა საგანგებო მისია".

სუნამო ვლასტმასის ბოთლებში არჩევნების არომატით

არა რა, რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ საფეხბურთო მოდის კანონმდებელ კუტურიეთა შორის ქართველებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი გვიკავია. სულ ცოტა ხნის წინ არ იყო, ვაკეში ბოთლების წვიმა რომ მოვიყვანეთ? მაგრამ ვინ დაგიფასა, პირიქით, ერთი ამბავი ატყდა, ეს რა ტყიურები ვართო, საცოდავ ბერძნებს, თურქებსა და მიშელს გული გავუხეთქეთო, უეფა გავაბრაზეთო, ახლა რაღა გვეშველებაო და, რა ვიცი, ათასი სისულელე წამოგვცდა.

არ გვეკადრება ასეთი სულსწრაფობა უძველეს ევროპელებს, რადგან ისინი, ვინც მარტის მიწურულს მარჯვედ იქნევდნენ მარჯვენას, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დადგებოდა დღე, როცა ეს მოდა პლანეტის ფეშენ-ცენტრებში გადაინაცვლებდა. ეს იყო კარგად დაგეგმილი აქცია და, როგორც იმ დღეს გავიგე ქუჩაში (მთხრობელს სომხური აქცენტი დაჰკრავდა), მილანურ სან-სიროზე პირველი ტარა სწორედ იბერიელს დაუქანებია დიდას მიმართულებით. ცეცხლმოკიდებული პეტარდები როგორ მოუხდა სიტუაციას?! ეს უკვე ჯორჯიოს იდეა ყოფილა (მაინც მაგარია ეგ ოხერი). სხვათა შორის, არმანის უთქვამს, რომ მალე გამოვა ახალი სუნამო GIORGIO FOR GEORGIA, რომელიც ეგზოტიკის ამბავში პლასტმასის ბოთლებში ჩამოისხმება. ამ ბრენდის პრეზენტაცია მოეწყობა საქართველოს ნაკრების მომავალ მატჩზე (ანუ მარცხზე), ოღონდ ფლაკონები კი არ უნდა ვისროლოთ, არამედ შიგთავსი დავიპკუროთ...

ეს იტალიელები სულ წავიდნენ ხელიდან. "იუვენტუსი" რომ ლივერპულში ჩავიდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შერიგების პლაკატებს უშლიდნენ, დავივიწყოთ რაც მოხდა და ვიმძაკაცოთო. ბილეთებსაც კი წააწერეს "მეგობრობა". მერე "ლივერი" ჩავიდა ტურინში და იქაც ანალოგიური პლაკატები გამოჩნდა, ოღონდ ეს ფარსი ყოფილა - გაჩაღდა ჩხუბები და შეძახილები: "გვეზიზღება ლივერპული!" გეზიზღებათ და იჭიდავეთ სკუდეტოსთვის, მეტის ღირსები თქვენ არ ხართ.

იცით რა ვერ გავიგე? როგორ შეიძლება უქომაგო კლუბს, რომელსაც უეჭველად გასატანი აქვს გოლი და არ უტევს? რომელი კატენაჩოს მიმდევარი "ლივერპული" მყავს, ტურინელები ერთხელ რომ ვერ მიუახლოვდნენ გამოჩერჩეტებული დუდეკის კარს. ეტყობა, უმიზეზოდ მართლა არაფერი ხდება და არც "იუვეს" ეწოდა შემთხვევით "ბებერი ქალბატონი". ვუყურებდი მოხუცი ფაბიოს მოხუც გუნდს და მეგონა, პენსიონერი მეგოლფეების შეჯიბრება თუხთუხებდა სამხრეთ კაროლინაში.

და "ჩელსი"? ხო არის კომაროვის სკოლის წარჩინებულ ჯეელთა კაპელა? ძველბიჭობისთვის სტადიონებიდან მოკვეთილმა მოურინიომ ჭიშკართან დაუხაზა მოწაფეებს მომავალი საათნახევრის პროექტი, ჩახტა ტაქსიში და მშვიდად დაათვალიერა მიუნხენის ღირსშესანიშნაობანი. სანამ ჟოზე ექსკურსიაზე იყო, არისტოკრატმა ბიჭებმა მორიგი ფრიადი მიიღეს კვანტურ ფიზიკაში და კვლავ შესანიშნავად გამოიყენეს მოწინააღმდეგის დაბნეული მოლეკულის (ლუსიოს) ენერგია. პირადად მე არ მახსოვს, რომ ამ დონის შეხვედრებში ერთ გუნდს ორჯერვე რიკოშეტით გაეხსნას ანგარიში, თან ერთი ფეხბურთელისგან ასხლეტილი ბურთით. ბარსელონაშიც ხომ ასე მოხდა? მაშინ ბელეტიმ ივაჟკაცა და ძალაუნებურად იბადება ეჭვი, რომ ბრაზილიას რომან აბრამოვიჩის ვალი აქვს.

ამრიგად, გამოვიდა, რომ წინ ორსერიიანი ინგლისური თრილერი გველის, რაც ძალიან დიდი ხანია ასე შორს ლიგაში არ მომხდარა. არაფერი მინდა იმაზე მეტად, რომ ფინალში "ლივერპული" გავიდეს. ამას სუბიექტური მიზეზები აქვს - 1. "ჩელსიმ" ჩემი ძვირფასი "ბარსელონა" გამოაგდო. 2. "ჩელსი" ზედმეტად გამოთვლით ფეხბურთს მისდევს. 3. (და მთავარი) ჩემი ძმობილი ირაკლი ბერიძე, რომელსაც "ლივერი" საკუთარ თავზე მეტად უყვარს, სტამბულის ბილეთებს ჩალიჩობს.

აი, "მილანს" კი თავისუფლად შეუძლია, თურქეთის მშვენება ქალაქში კარგი სასტუმრო შეარჩიოს. ეს რომ ვთქვი, ბევრმა დამიწყო ჭკუის სწავლება და იმის შეხსენება, რომ გუს ჰიდინკი დიადი ქოუჩია. თანახმა ვარ, მართლა განსწავლული და რევოლუციური გაქანების კაცია, მაგრამ ასი ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ფინალში "ეინდჰოვენი" ვერ გავა. რატომ? იმიტომ, რომ "მილანს" სუსტი წერტილები არა აქვს - მეკარე, დაცვა, ნახევარდაცვა, თავდასხმა, ტაქტიკური პლასტიკურობა, გამარჯვებულის ფსიქოლოგია, მწვრთნელი, ექიმი, პრეზიდენტი, მეპატრონე - ყველა და ყველაფერი უმაღლესი კლასისაა. ჰიდინკი კი ის მწვრთნელია, რომელიც აიკიდოს პრინციპებს ეყრდნობა, იყენებს მეტოქის უაზროდ დახარჯულ ენერგიას და შეცდომებს. სწორედ ამით აჯობა მან (და არა გუნდმა) "ლიონს", ერთ-ერთ ყველაზე კოხტა და აგრესიულ გუნდს ბოლო ათწლეულში.

■ ■ ■

საქართველო კი ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ვინაობაზე მარჩიელობს. არჩევნებამდე დიდი დრო ნამდვილად არ რჩება, ხოლო ჩვენ ჯერ წარმოდგენა არ გვაქვს, ვინ იბრძოლებს და რა იარაღით, ანუ როგორი პროგრამით. ადრე ასე იყო - მთავარია კანდიდატის ვინაობა და არა ის, თუ რა პროექტით აპირებს ამ გაჭირვებული სფეროს მართვას. ახლა პირიქით უნდა მოხდეს: საქმე უნდა გახდეს ადამიანზე მთავარი. ამიტომ კარგი იქნება, თუ კანდიდატების ვინაობისა და რაოდენობის გარკვევის შემდეგ დაიწყება პროგრამათა საჯარო განხილვა, პრესით იქნება ეს თუ ტელევიზიით.

ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ მოდის და რატომ. მართალია, ხალხს არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება (გადასარევი იქნებოდა, რომ ჰქონოდა, თუნდაც გარკვეულ ნაწილს მაინც), მაგრამ შესწევს ძალა, რომ ამ დებატების შედეგად ზეგავლენა მოახდინოს იმ სუბიექტთა სინდისზე, ვინც მანდატს აღმართავს ზაფხულში. ასე ნაკლები იქნება ტყუილების რაოდენობა, ასეთ შემთხვევაში გვეცოდინება, რას გვპირდებოდნენ და რატომ არ სრულდება დანაპირები, არ გაიპარება უნებლიე თუ უცოდინრობის გამო დაშვებული შეცდომები და, საერთოდ, წესია ასეთი - საქმე, რომელიც მთელი ერის ინტერესებშია, მთელი ერისთვის უნდა იყოს გაშიფრული.

მომავალ სამშაბათამდე

ფეხბურთი

სიომინი ნაკრებს გაწვრთნის

სიომინი რუსეთის ნაკრებს წლის ბოლომდე უხელმძღვანელებს.

მალხაზ ასათიანისა და მიხეილ აშვეთიას "ლოკომოტივი" დროებით უმწვრთნელოდ დარჩა. თუმცა, გუნდს დამრგებელი უკვე გამოუწნდა. იური სიომინს, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, 58 წლის სპეციალისტი ვლადიმირ ეშტრეკოვი შეცვლის, რომელიც 14 წლის განმავლობაში სიომინის თანაშემწედ მუშაობდა.

ახლახან ხელი მოეწერა შეთანხმებას რუსეთის საფეხბურთო კავშირსა და იური სიომინს შორის, რომლის თანახმად მოსკოვის "ლოკომოტივის" ან უკვე ყოფილი მწვრთნელი იური სიომინი რუსეთის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. შეთანხმება 2005 წლის 31 დეკემბრამდე დარჩება ძალაში.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, სიომინის კანდიდატურა ჯერ კიდევ საფეხბურთო კავშირის აღმასკომის სხდომაზე 26 აპრილს უნდა დამტკიცდეს. თუმცა, ყველა წინასწარი ვარაუდის მიხედვით დასტურდება, რომ ნაკრების მწვრთნელად სწორედ სიომინს დანიშნავენ. ამას რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიტალი მუტკოს სიტყვებიც ადასტურებს: "ხვალ "ლოკომოტივს" ახალი მწვრთნელი ეყოლება", - ამბობს პრეზიდენტი.

რუსეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა გიორგი იარცევმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ესტონეთში ფრედ (1:1) დამთავრებული შეხვედრის შემდეგ დატოვა თანამდებობა. იარცევის გადადგომა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის შეცვლას დაემთხვა. ახალმა პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ კი დანიშვნისთანავე განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. მწვრთნელად კი იური სიომინი დანიშნეს, რომელმაც უკვე დატოვა მოსკოვის "ლოკომოტივი" და ნაკრებში მუშაობისთვის ემზადება.

სიომინს უკვე აქვს ნაკრებში მუშაობის გამოცდილება, თუმცა, მხოლოდ ასისტენტის დონეზე. 1992-1994 წლებში ის პაველ სადირინს ეხმარებოდა, ხოლო 1996-1998 წლებში ბორის იგნატიევის თანაშემწე იყო. აღსანიშნავია, რომ 1991 წელს სიომინი ახალი ზელანდიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელ-კონსულტანტად მუშაობდა. სხვადასხვა წლებში ის საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებს ამხანაგურ შეხვედრებში ხელმძღვანელობდა. ამასთან, სათავეში ედგა რუსეთის კლუბების ნაკრებს და პირველი ლიგის ფეხბურთელთაგან შემდგარ რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს. ოლეგ რომანცევის შემდეგ იური სიომინი რუსეთის ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია. მისი სამწვრთნელო კარიერა კრასნოდარის "ყუბანში" დაიწყო და დუშანბეს "პამირში" გაგრძელდა. მოსკოვის "ლოკომოტივს" კი სიომინი 1986 წლიდან ჩაუდგა სათავეში და გუნდი მხოლოდ ერთი წლით - 1991 წელს დატოვა, როცა ახალ ზელანდიაში განაგრძო მუშაობა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი რუსული ფეხბურთის ლიდერად გადაიქცა. "ლოკომოტივი" ორჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი, სამჯერ მოიგო ქვეყნის თასი, ორჯერ გავიდა თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში და ერთხელ - ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში.

ფორმულა 1

ჟან ტოდტი "ფერარის" შესახებ

ჟან ტოდტი და მიხაელ შუმახერი "ფერარის" მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდებიან.

გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში "ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი წლევანდელ სეზონში გუნდის კონკურენტუნარიანობაზე საუბრობს.

- მუსია ტოდტ, წელს მიხაელ შუმახერმა რატომ ვერ მოიგო ვერცერთი რბოლა?

- იმიტომ, რომ მის განკარგულებაში დღემდე არ იყო ბოლიდი, რომლითაც ის რბოლას მოიგებდა.

- "ფერარის" კონკურენტების წინსვლა მხედველობიდან გამორჩა?

- მას შემდეგ, რაც 1993 წელს "ფერარიში" გადმოვედი ჩვენ 79 გამარჯვება მოვიპოვეთ. "უილიამსმა" - 48, "მაკლარენმა" - 36, "რენომ" - 26. ახლა კი ყველა ხედავს, რომ ჩვენც ადამიანები ვართ.

- გუნდში, როდის გაიაზრეს, რომ "ფერარი" აღარ არის პირველი ნომერი?

- ალბათ, მალაიზიაში. იქ უაღრესად ინერტულები ვიყავით და ამან ჩვფენ გაგვაოცა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გეგმები შეგვეცვალა და ახალი მანქანა ერთი რბოლით ადრე გამოგვეყვანა.

- "ფერარიზე" უკეთესად მარტო "რენო" არ გამოიყურება.

- ჩვენმა მეტოქეებმა ზამთარში ჩვენზე უკეთ ითამაშეს. მათ ჩვენზე უკეთ მოახერხეს ახალი წესების პირობებში ორიენტირება. მე სხვა გუნდებიც მხედველობაში მყავს.

- თქვენ ახალი წესები გაღიზიანებთ?

- არა. წესი ყველასთვის ერთია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ "ფიას" წესები რომ არ შეეცვალა "ფერარი" უფრო ძლიერი იქნებოდა. თუმცა, ჩვენს ჩამორჩენაში დამნაშავე მხოლოდ ჩვენ ვართ. ჩვენ ვერ შევძელით გაგვეგრძელებინა ბოლო წლების წარმატებული მუშაობა. თიმცა ჩვენ ვიცვლებით და ჩამორჩენის აღმოფხვრას კიდევ შევძლებთ.

- თქვენ "რენოს" უკვე უახლოვდებით?

- "რენოსგან" ჩვენი ჩამორჩენა ბევრად უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე ფიქრობენ. ჩვენ ჩვენი სუსტი მხარეები ვიცით, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, თუ რა შეგვიძლია. ბახრეინში ძალიან კარგად გამოვიყურებოდით. იმოლაში კიდევ უკეთესნი ვიქნებით. იმდენად, რომ გამარჯვებისთვის საკმარისი იქნება.

- შეიძლება "შუმი" წავიდეს, თუ წელს მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდება?

- მიხაელი უაღრესად ცბიერია. ის მდგომარეობას ბოლო რბოლებით არ აფასებს. ის მხედველობაში "ფერარიში" გამოსვლას იღებს, რომელიც ძალიან წარმატებული იყო.

- მოკლედ, ის ნებისმიერ შემთხვევაში თავისი კონტრაქტის ბოლომდე - 2006 წლამდე გუნდში დარჩება?

- თვითონ მიხაელმაც კი არ იცის, როდის წავა. მე რატომ უნდა ვიცოდე? მე მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, რომ როცა წასვლის დრო დადგება, ეს ძალიან სწრაფად მოხდება. ერთხელაც ის იტყვის - "დამთავრდა". ალბათ, ეს მოხდება მაშინ, როცა ის ვეღარ მოიგებს ან მაშინ, როცა ახალი ცხოვრების დაწყებას მოისურვებს.

- მაშინ თქვენ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ მას, რაც შეიძლება დიდხანს მოუნდეს "ფერარიში" დარჩენა.

- ჩვენ მას სავსებით გასაგებად ვუთხარით, რომ იმ დრომდე, სანამ ის რბოლებში მონაწილეობას მიიღებს, მას შეუძლია ეს ჩვენი სახელით გააკეთოს. მას შეუძ ია როცა მოესურვება მაშინ წავიდეს. მიხაელს შეუძლია გადაწყვეტილება თვითონ მიიღოს. ჩვენ მას ყოველთვის მხარში დავუდგებით.

- თუ "ფერარი" გადაწყვეტს ალონზოს მოწვევას, თქვენ ბრიატორესთან საუბარი მოგიწევთ?

- ვინ ამბობს, რომ ეს ასეა? რომ ჩვენ გვსურს ალონსო მოვიწვიოთ? კარგი, ის უაღრესად ნიჭიერია, მაგრამ სხვა მობოლელებიც არსებობენ, თანაც ძალიან ძლიერები. პირდაპირ ვიტყვი: ალონსო ჩვენი პრეტენდენტების სიას სათავეში არ უდგას.

- მართლა? ის ფორმულა 1-ის ახალ მეფედ მიიჩნევა...

- მე სიტუაციას ცოტა სხვაგვარად ვუყურებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამონათქვამი ალონსოს მიმართ არც ისე პატივცემული იქნება, მიმაჩნია, რომ უკეთესი არჩევანი ახალგაზრდა ყმაწვილი იქნება, რომელიც გერმანულ-ბრიტანულ გუნდში გამოდის.

- და ეს კიმი რაიკონენია?

- (იცინის): მომდევნო კითხვა.

- "ფერარი" წავა იმაზე, რომ შუმახერის მემკვიდრე იმ შემთხვევაშიც კი შეიძინოს, თუ მას სხვა გუნდთან მოქმედი კონტრაქტი დაუკავშირებს?

- ეს წინაღობა არ იქნებოდა. ჩვენ ედი ირვინთან დაკავშირებით ეს უკვე გავაკეთეთ. 1995 წელს მას "ჯორდანთან" კონტრაქტი აკავშირებდა.

სპორტსმენები

ვონტიფიკი, შესაძლოა, ყოფილი სპორტსმენი გახდეს

კონკლავის წევრი ვესტმინისტერი. არქიეპისკოპოსი კორმაკ მერფი ო`კონორი ყოფილი მორაგბე იყო.

გიგა გურასაშვილი

"მოგვეცით პაპი, რომელიც თქვენთვისაა მისაღები", - ამ სიტყვებით მიმართა სულიერ მამებს გერმანელმა კარდინალმა იოზეფ რაცინგერმა, რომელიც, თავის მხრივ, რომის პაპობის ყველაზე რეალური კანდიდატია. ...კარდინალთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ყმაწვილკაცობაში პროფესიულ დონეზე სპორტს მისდევდნენ.

მაგალითად, 115 კარდინალს შორის, რომლებიც გუშინდელი დღიდან კონკლავში მონაწილეობენ, არიან: 61 წლის პერუელი ხუან ლუის სიპრიანი ტორნე, ლიმას არქიეპისკოპი, რომელიც სასულიერო პირად გახდომამდე საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში კალათბურთს თამაშობდა, მოგვიანებით კი პერუს ნაკრების მწვრთნელობა ჩაბარეს; 71 წლის ჩილელი ფრანსისკო ხავიერ ერასურის ოსაც თავის დროზე მძლეოსნობას მისდევდა. კერძოდ, სპრინტერულ დისციპლინას - 100 მეტრზე რბენას, ხოლო მათ შორის უხუცესი, 72 წლის ვესტმინისტერის არქიეპისკოპი კორმაკ მერფი ო`კონორი, პროფესიულ რაგბის თამაშობდა!

თავად იოანე პავლე მეორე რომის პაპის ტახტზე აბრძანებამდე ასევე ნამდვილი სპორტსმენი იყო. აწ გარდაცვლილი პონტიფიკი ალპინიზმს მისდევდა, ცურავდა საშუალო მანძილებზე, დადიოდა თხილამურებზე და ნიჩბოსნობითაც იყო გატაცებული. შარშან აგვისტოში კი სულაც საერო საქმეთა პაპის საბჭოსთან დააარსა სპორტის დეპარტამენტი, რომლის კომუნიკე გვამცნობდა, რომ "ეკლესია სხვა მრავალთა შორის მოწოდებულია ხელი მიჰყოს სპორტს, რომელიც უნდა განიხილოს, როგორც თანამედროვე კულტურის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი".

იოანე პავლე მეორის მიერ შექმნილმა დეპარტამენტმა ოფიციალურ წოდებად მიიღო "ეკლესია და სპორტი". ვატიკანის აზრით, დღეს სპორტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ცალკეულ პიროვნებებზე, ისე მსოფლიოს მასშტაბით.

და მაინც, რას ემსახურება "ეკლესია და სპორტი"? სტრუქტურა მოწოდებულია, "იმუშაოს ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან. კათოლიკურ და სპორტულ საზოგადოებებს შორის განავითაროს თანამშრომლობა. მხარში ამოუდგეს სპორტულ ასოციაციებს".

მაგრამ ეს ერთადერთი არაა, რაც იოანე პავლე მეორის სახელს უკავშირდება. პონტიფიკი ახალი ტექნოლოგიების დანერგვაშიც ჩემპიონი იყო.

იოანე პავლე მეორე მსოფლიოს დაამახსოვრდება არა მარტო მისი ლინგვისტური მონაცემებით, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაც, რომლითაც საკუთარ მრევლთან უშუალო კავშირს ამყარებდა.

აწ გარდაცვლილი პონტიფიკის დამსახურებაა ვატიკანის ინფორმაციულ ხანაში გადასვლა.

პირველი სიტყვები, რომლებიც იოანე პავლე მეორის გარდაცვალებას იტყობინებოდა, SMS-ით გავრცელდა. პონტიფიკის სიკვდილი ვატიკანმა პირველად ჟურნალისტებს ამცნო. SMS-ს მოჰყვა ელექტრონული ფოსტაც, რომელიც დამატებით ინფორმაციას ავრცელებდა.

სხვათა შორის, რომის პაპს ჰქონდა საკუთარი ელექტრონული ფოსტის მისამართიც, რომლის მეშვეობით პონტიფიკი საკუთარი მრევლისგან გამამხნევებელ წერილებს იღებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური გარდაცვალების წინა კვირები გამოდგა.

იოანე პავლე მეორის დამსახურებაზე ლაპარაკი ძალზე შორს წაგვიყვანს. ჩვენის მხრივ იმას დავძენთ, რომ გუშინ კონკლავი - კარდინალთა თავყრილობა, დაინყო, რომელმაც ახალი პაპი უნდა დაასახელოს.

პირველი კანდიდატი, რომელიც კარდინალთა ხმების ორ მესამედს დააგროვებს და შემდეგ კონკლავის გადაწყვეტილებას დათანხმდება, რიგით 265-ე რომის პაპი გახდება - მილიარდზე მეტი კათოლიკეს სულიერი მოძღვარი.

TV-სპორტი

სამშაბათი. 19 აპრილი

NTB+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "ჩელსი"
14:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:30 თავისუფალი დარტყმა
15:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:40 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
17:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლიონი" - პსჟ
19:15 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
19:45 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ბოლტონი" - "საუთჰემპტონი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა

NTB+ПЛЮС
10:00, 13:00, 16:00, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "რკინის ფაქტორი". "ოლიმპია 2004". მეორე ნაწილი
11:15 "სარკის წინ"
11:45 ცხენოსნობა. სტიპლჩეზი. "Grand National" ლივერპულში
13:35 "ექსპედიცია-ტროფი 2005"
14:30 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში. გადამწყვეტი მატჩები
16:15 საჭადრაკო მიმოხილვა
16:45 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2001 წელი. ნახევარფინალი. "PITTSBURGH PENGUINS" - "NEW JERSEY DEVILS". მე-4 მატჩი
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში. ფინალი. შესვენებისას (21:30) - პრესცენტრი
23:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 48 კგ. ფინალი
00:15 ახალი ამბები
00:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 53 კგ. ფინალი

EUROSPORT
10:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
12:00 ფეხბურთი - ევროგოლები
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
21:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ავტოსპორტი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:45 რალი რეიდი. მსოფლიო თასი ტუნისში

ინფორმაცია

"ბაიერნი" აღარ აპირებს ჰუტის შეძენას

მიუნხენის "ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი თითსაც აღარ გაანძრევს ლონდონის "ჩელსის" რობერტ ჰუტის შესაძენად.

როგორც ცნობილია, ადრე მიუნხენელები ცდილობდნენ, ეს ფეხბურთელი ან ეყიდათ, ან იჯარით აეყვანათ, თუმცა, მას შემდეგ, რაც ჰუტმა "ჩელსიში" დარჩენის სურვილი გამოთქვა, "ბაიერნმა" განზრახვაზე ხელი აიღო.

ესეც არ იყოს, ჰუტმა ჩემპიონთა ლიგაში გერმანელთა წინააღმდეგ საკმაოდ ცუდად ითამაშა, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა ვერ შეძლო.

"მივხვდით, რომ ჰუტი არ არის ის ფეხბურთელი, რომელიც ჩვენ გვჭირდება", - განაცხადა ბეკენბაუერმა.

სავიოლას "ბარსელონაში" დაბრუნება უნდა

"მონაკოს" თავდამსხმელმა ხავიერ სავიოლამ, რომელიც ამ გუნდში იჯარის წესით თამაშობს, განაცხადა, რომ ძალიან უნდა, თავის გუნდს "ბარსელონას" დაუბრუნდეს.

"ბარსელონა" - ესაა გუნდი, სადაც დაუვიწყარი წუთები მაქვს გატარებული. თუმცა, აღმოვაჩინე, რომ ეს ჩემთვის საკმარისი არ არის. "ბარსას" შემადგენლობაში თამაში მიმდინარე სეზონზეც მინდოდა, მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ ვიქნებოდი. გადავწყვიტე, რომ ჩემთვის უკეთესია, "მონაკოში" გავემგზავრო. სიამოვნებით ვთამაშობ საფრანგეთში, მაგრამ ჩემი გული "ბარსელონაში" დარჩა", - აღნიშნა სავიოლამ.

"ბოლტონის" მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებობს

"ბოლტონის" მთავარ მწვრთნელს სემ ელერდაის იმედი აქვს, რომ მისი გუნდი ამ სეზონზე ინგლისის ჩემპიონატში მეოთხე ადგილის დაკავებას მოახერხებს, რაც მათ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის მიღების უფლებას მისცემს.

"ჩემპიონთა ლიგა კვლავაც ჩვენს მიზნად რჩება," - განაცხადა ელერდაისმა.

გარდა ამისა, მან შემტევი ნახევარმცველი ელ-ხაჯი დიუფზეც ისაუბრა. იგი დარწმუნებული არაა, რომ მისი კლუბი ამ ფეხბურთელისთვის სრულფასოვანი კონტარქტის შეთავაზებას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სეზონზე სენეგალელი წარმატებით თამაშობს "ბოლტონის" შემადგენლობაში (დიუფი "ბოლტონში" იჯარის წესით თამაშობს. მასზე უფლებები "ლივერპულს" ეკუთვნის!).

"ასეთი დონის ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება კლუბის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, მაგრამ, ვფიქრობ, დიუფისთვის სრულფასოვანი კონტარქტის გაფორმება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული მისი გაუწონასწორებელი ხასიათის გამო", - აღიარა ელერდაისმა.

ფერგიუსონი "ჩელსის" წარმატებებს თავისი გუნდის პირველი მარცხით ხსნის

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ წელს "ჩელსი" ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა, მანკუნიანელებს პირველივე ტურში რომ მოეგოთ მათთვის.

"ჩემპიონატის პირველივე ტურში დავმარცხდით. ჩვენი მარცხი "ჩელსისთვის" გადამწყვეტი აღმოჩნდა. თავდაპირველად გამარჯვება რომ მოგვეპოვებინა, მოვლენები სხვაგვარად წარიმართებოდა," - განაცხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა.

ანჩელოტიმ ფეხბურთელები არ გაკიცხა

"სიენასთან" თამაშის შემდეგ "მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავისი ბიჭები არ გაკიცხა (მატჩი მილანელთა მარცხით 1:2 დამთავრდა!).

"ცუდს ვერაფერს ვიტყვი ჩემი ბიჭების თამაშზე. ჩვენ მომენტების შექმნას ვცდილობდით და ანგარიშიც გავხსენით. თუმცა, შემდეგ პრობლემები შეგვექმნა. მოწინააღმდეგე გუნდმაც ამით ისარგებლა და წინ წავიდა. სხვა მატჩებში ყოველთვის ვახერხებდით თამაშის კონტროლს, მაგრამ ამჯერად ეს არ გამოგვივიდა. "სიენა" კარგად თამაშობდა," - განაცხდა ანჩელოტიმ.

ერთადერთი გოლის ავტორმა ერნან კრესპომ დაიჩივლა, რომ შეხვედრის მთავარმა არბიტრმა შევჩენკოს მიერ გატანილი ბურთი არ ჩათვალა.

"ხდება ხოლმე, როცა სახლში ხელცარიელი გიწევს წასვლა. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ "შევას" გოლი არ ჩათვალეს. მან წესების დაცვით აიღო მეტოქის კარი, მაგრამ მსაჯმა სხვანაირად გადაწყვიტა. არადა, შეიძლებოდა საქმე ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალებულიყო და გამარჯვებაც მოგვეპოვებინა," - განაცხადა კრესპომ.

ფეხბურთი

პროფესიონალიზმი და პატიოსნება

გიორგი ნემსაძე საარჩევნო კამპანიას იწყებს

მიხეილ აბაიშვილი

2005 წლის 10 ივნისს ქართულ ფეხბურთს ახალი მესაჭე ეყოლება. ამ დღეს გაიმართება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც ხმის უფლების მქონე 26 დელეგატი ფედერაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევს. იმის გამო, რომ ყრილობა-არჩევნები ფორსმაჟორულ ვითარებაში, აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას დაპატიმრების ფონზე უნდა გაიმართოს, პრეზიდენტობის კანდიდატები ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. მათ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად და ხმების მოსაგროვებლად სულ რაღაც თვენახევარი აქვთ. ეს ვადა კი არათუ ამ კონცეფციების მოსამზადებლად, კანდიდატთა სამოქმედო პროგრამისა და კონცეფციის გასაცნობად და გასაანალიზებლადაც არ არის საკმარისი. ასეთ ვითარებაში საფეხბურთო სამყაროს არჩევანის გაკეთება ერთგვარად ალალბედზე, ინტუიციურად და უფრო პირადი სიმპათია-ანტიპათიის გათვალისწინებით მოუწევს, ვიდრე სხვა, მართლაც მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორების გათვალისწინებით.

"24 საათი" შეეცდება გაგაცნოთ ყველა კანდიდატი და მათი პოზიცია საფეხბურთო საკითხებთან მიმართებაში. პირველად წარმოგიდგენთ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილ კაპიტანს გიორგი ნემსაძეს, რომელმაც ფეხბურთის ბუცები სულ რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ გაიხადა. ნემსაძე ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის დაკავების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ყველაზე მთავარი ალბათ ის გახლავთ, რომ გიორგი მთელ ქართულ საფეხბურთო სამყაროში უმწიკლო რეპუტაციით და პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობს. საფეხბურთო ოჯახი, რომელსაც პირადად მე ძალიან ახლოს ვიცნობ, რაღაც ლათინოამერიკული სერიალივითაა - თავისი ქვედა და ზედა დინებებით, ჩაკეტილი შიდა სამზარეულოთი, სკანდალებით, გმირებით და ანტიგმირებით. ამ სამყაროში ავტორიტეტებს არ ცნობენ - არაერთი ავტორიტეტის კრიტიკა, ხშირად კი ლანძღვაც მომისმენია და წამიკითხავს. ვერ ვიხსენებ ვერც ერთ ისეთ შემთხვევას, რომელშიც "ნემსო" (როგორც მას შინაურ წრეებში ეძახიან) სალანძღავ კონტექსტში იქნებოდა მოხსენიებული. ამას ორი ახსნა აქვს. გიორგი ნემსაძე უაღრესად კეთილშობილი კაცია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას საკუთარ თავსაც არ პატიობს. ნემსაძე სანაკრებო რეკორდსმენია - მას ყველაზე მეტჯერ, 72-ჯერ მოურგია ეროვნული გუნდის მაისურა. იგი იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანია, რომლის მიმართაც ზედმეტად პრეტენზიულ ქართველ ქომაგს სასაყვედურო არასდროს ჰქონია. ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე მთელ ენერგიას ტოვებდა და ბოლომდე იხარჯებოდა - ასეთია გიორგი ნემსაძე.

რუსეთი, თურქეთი, შვეიცარია, შოტლანდია - ის ქვეყნებია, სადაც ნემსაძეს უმაღლეს დონეზე უთამაშია და ამ ქვეყნების საფეხბურთო წყობა-განვითარებაზე ცოდნა აქვს შეძენილი. გიორგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების კურსდამთავრებულია. "ნემსოს" მიმართ საკუთარი მხარდაჭერა უკვე დააფიქსირეს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა. კახა კალაძისა და სხვათა მხარდაჭერა მართლაც სერიოზული ფაქტორი იქნება ყრილობაზე, მაგრამ არა გადამწყვეტი.

რას ფიქრობს თავად გიორგი ნემსაძე, რატომ უნდა აირჩიონ იგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად?

- იმისთვის, რომ რაღაც საქმეს შეეჭიდო და წარმატებას მიაღწიო, უნდა იცოდე, რა პრობლემებია გადასაჭრელი, რა ხარვეზებია აღმოსაფხვრელი, განსაკუთრებით რას უნდა მიექცეს ყურადღება. ყველა ის პრობლემა, რომელიც ქართული ფეხბურთის წინაშე დგას, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ბავშვთა ფეხბურთით დაწყებული და უმაღლესი ლიგის კლუბითა და ეროვნული ნაკრებით დამთავრებული, კარგად ვიცი, ამ გზაზე რა ბუნებრივი თუ ხელოვნური დაბრკოლებების გადალახვა უწევთ ფეხბურთელებს. მოქმედ ფეხბურთელებში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და მათი პრობლემების მოსაგვარებლად ისევე ვიზრუნებ, როგორც ამას საკუთარი თავისთვის გავაკეთებდი. ეს ფეხბურთელებმა კარგად იციან, რისი დადასტურებაცაა ის მხარდაჭერა, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრებმა უკვე გამოხატეს ჩემს მიმართ. სხვა ქართველი ფეხბურთელების დიდი ნაწილიც ჩემს კანდიდატურას ემხრობა. საქმის, პრობლემების ცოდნა, პროფესიონალიზმი და პატიოსნება - ამ არგუმენტებით ვაპირებ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მოსვლას.

- ვინ უნდა წამოგაყენოს ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად?

- ამ საკითხზე პირველ რიგში ჩემს მშობლიურ კლუბს მივმართავ. ამ გუნდში გავატარე ჩემი კარიერის საუკეთესო წლები და მიმაჩნია, რომ მაქვს მორალური უფლება, "დინამოს" წარდგენით კენჭი ვიყარო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში.

- შესაძლოა, არჩევნებში კენჭი იყაროს "დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა. ერთ სუბიექტს კი ორი კანდიდატის წარდგენის უფლება არა აქვს.

- მე ჯერ არაფერი მსმენია იმის თაობაზე, რომ დათო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. თუ ასე მოხდება, მაშინ რომელიმე სხვა საფეხბურთო სუბიექტის წარდგენით ვიყრი კენჭს.

- ჯერ მხოლოდ ორმა კანდიდატმა - შენ და ვლადიმერ გუცაევმა განაცხადეთ, რომ არჩევნებში აპირებთ მონაწილეობას. თუ იცი, კიდევ ვის სურს სფფ-ს პრეზიდენტის პოსტის დაკავება და ვინ მიგაჩნია მთავარ კონკურენტად?

- როგორც ჩემთვის ცნობილია, რეზო არველაძე და ნოდარ ახალკაციც აპირებენ სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. მათგან მთავარ კონკურენტს ვერ გამოვარჩევ. სამივესთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და სამივე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს საფეხბურთო სამყაროში. წინასწარ რომელიმე კანდიდატის შანსებზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია.

- რამდენად რეალურად აფასებ საკუთარ შანსს და შესაძლებლობებს? როგორ ფიქრობ, დაგიჭერს თუ არა არჩევნებში მხარს ქართული საფეხბურთო სამყარო?

- ამის იმედი რომ არ მქონდეს, საკუთარ კანდიდატურას არც წამოვაყენებდი. თუმცა, ჩემს საარჩევნო შტაბს დიდი მოცულობის სამუშაო აქვს ჩასატარებელი, რათა მიზანს მივაღწიოთ.

- ალბათ, დამეთანხმები, ბორის პაიჭაძე რომ გაცოცხლდეს და ფედერაციას ჩაუდგეს სათავეში, ისიც ვერაფერს მიაღწეევს, თუ ფინანსური წრეებიდან და ხელისუფლებისგან სერიოზული მხარდაჭერა არ ექნება. საბერძნეთისა და თურქეთის, თუნდაც რუსეთის საფეხბურთო წარმატებები ამ ქვეყნების ფეხბურთში ჩადებულმა უზარმაზარმა ინვესტიციებმა და ხელისუფლების თანადგომამ განაპირობა. რამდენად შეგიძლია ასეთი მხარდაჭერის უზრუნველყოფა?

- გეთანხმები. იმისთვის, რომ ფეხბურთი განვითარდეს, დიდი ინვესტიციებია საჭირო. ამ ინვესტიციებს კი ვერ მოიზიდავ, თუ შესაფერისი ფონი, საკანონმდებლო გარემო არ შეიქმნება. ახლა სწორედ ამ საკითხებით ვარ დაკავებული - მოლაპარაკებას ვაწარმოებ სხვადასხვა ბიზნესსწრეებთან, რომლებიც გამოთქვამენ ფეხბურთში ინვესტიციების განხორციელების სურვილს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ინვესტიციების დაცვის გარანტიებითაც სამართლიანად ინტერესდებიან. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. შენს მიერ ჩამოთვლილ ქვეყნებში და იმ ქვეყნებშიც, სადაც ფეხბურთი მაღალ დონეზეა, ამ პროცესს სწორედ სახელმწიფომ მისცა მძლავრი ბიძგი. ჩემთვის კარგად არის ცნობილი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის პოზიცია. ბატონი პრეზიდენტის თქმით, ფეხბურთი პრიორიტეტული და სტრატეგიული სახეობაა, რომლის განვითარების საქმეში სახელმწიფომ დიდი როლი უნდა შეასრულოს. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, იმ მინისაფეხბურთო მოედნების მშენებლობითაც აიხსნება, მძთელი ქვეყნის მასშტაბით რომ მიმდინარეობს. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პოზიცია არ შეიცვლება არც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ და კოორდინირებულად, შეთანხმებულად განვახორციელებთ საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამას. თუ ფედერაცია და სახელმწიფო სინქრონულად, შეთანხმებულად იმოქმედებენ, მერწმუნეთ, არა მხოლოდ ქართველი ინვესტორები დაინტერესდებიან, სოლიდური უცხოური კომპანიებიც დიდი სიამოვნებით დააბანდებენ კაპიტალს ქართულ ფეხბურთში.

- რამდენად ოპტიმალურად მიგაჩნია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა?

- რა თქმა უნდა, სპორტული თვალსაზრისით, კარგი იქნება, თუ გუნდების რაოდენობა ათზე მეტი იქნება. მაგრამ, ერთია სურვილი და მეორე - რეალობა. სამწუხაროდ, პირველ ლიგაზე რომ აღარაფერი ვთქვა, თვით უმაღლეს ლიგაშიც კი კლუბების დიდი ნაწილი მყარ ფინანსურ საფუძველზე ვერ დგას. საწვრთნელ პირობებს რომ თავი დავანებოთ, ზოგიერთ გუნდში თვეების განმავლობაში ხელფასი არ დარიგებულა და ფეხბურთელები ენთუზიაზმის ხარჯზე, გაურკვეველი პერსპექტივის იმედით თამაშობენ. ასეთ პირობებში უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობის თუნდაც თორმეტამდე გაზრდა უფრო პოპულისტური ნაბიჯი იქნება, ვიდრე რეალურ საჭიროებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება. უეფამ უკვე შემოიღო ლიცენზირების სისტემა. ვერც ერთი კლუბი ვერ მიიღებს უეფას ლიცენზიას, თუ გარკვეულ სტანდარტებს ვერ დაკმაყოფილებს. ეს სტანდარტები კი მხოლოდ ფინანსურ გარანტიებს არ გულისხმობს. ამ ლიცენზიის გარეშე კლუბს ევროტურნირებში მონაწილეობის უფლება არა აქვს. მეტიც, უეფას მოთხოვნით, ძალიან მალე, კლუბი, რომელიც ლიცენზირებას ვერ გაივლის, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას ვერ მიიღებს. ფედერაციის მუშაობის მთავარი ქვაკუთხედი, რა თქმა უნდა, ისეთი გარემოს შექმნა უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს ფინანსურად მძლავრი, მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფილი კლუბების რაოდენობა. ისევ და ისევ ფეხბურთში ფინანსების დაბანდების თემამდე მივდივართ, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ასე რომ, კლუბების რაოდენობის გაზრდა მართლაც კარგი იქნება, ოღონდ, ჯერ ამისთვის სერიოზული საფუძველი უნდა მომზადდეს.

- თურქეთისა და საბერძნეთის ეროვნულ გუნდებთან განცდილი საშინაო მარცხის შემდეგ საფეხბურთო წრეებში ჟირესის წასვლაზე ალაპარაკდნენ. როგორ ფიქრობ, უნდა გადადგეს თუ არა ჟირესი?

- არავითარ შემთხვევაში. გუნდი ერთ და ორ წელიწადში არ კეთდება. ჟირესმა უკვე დაგვანახა თავისი შესაძლებლობები. იგი კვალიფიციური მწვრთნელია და გეგმაზომიერად, ნაბიჯ-ნაბიჯ აყალიბებს გუნდს. რა თქმა უნდა, ძალიან საწყენია ის ორი მარცხი, მაგრამ ამაში კატასტროფას ვერ ვხედავ. რატომ არ შეიძლებოდა, რომ საბერძნეთის ნაკრებს საქართველოსთვის მოეგო? გამოცდილება აკლია, მაღალი კლასის ფეხბურთელები არ ჰყავს, არ დაუმარცხებია უმაღლესი კლასის გუნდები თუ უსახელო და უტიტულო გუნდია? იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზეც. შეიძლება სხვებზე გაცილებით მეტი პირადი წყენა მქონდეს ჟირესთან - მან ჩემს სამსახურზე უარი თქვა და ნაკრებში არ მიმიწვია, მაგრამ სუბიექტური მოსაზრება და წყენა არაფერ შუაშია. ჟირესს უნდა მიეცეს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება.

ინფორმაცია

"ლივერპული" ჰიიპიას გაყიდვას არ აპირებს

"ლივერპულის" წარმომადგენელმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ უახლოეს ხანებში მცველი სემი ჰიიპია "რომაში" გადადის.

შეგახსენებთ, გამოცემა News of the World" იტყობინებოდა, რომ ინგლისელები პრაქტიკულად უკვე შეუთანხმდნენ იტალიელებს ჰიიპიას გაყიდვასთან დაკავშირებით. თანხად სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი სახელდებოდა.

თუმცა, "ლივერპულის" პრესატაშემ იან კოტონმა გუნდის ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება: "რომასთან" არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. ეს ყველაფერი ტყუილია".

პელე ბეკენბაუერს მხარს დაუჭერს

ფეხბურთის მეფემ ბრაზილიელმა პელემ გერმანულ გამოცემა "Welt am Sonntag"-თან საუბრისას განაცხადა, რომ უეფას პრეზიდენტის არჩევნებზე აპირებს, თავის მეგობარს ბეკენბაუერს დაუჭიროს მხარი.

შეგახსენებთ, რომ ბეკენბაუერის გარდა, ამ პოსტისთვის მიშელ პლატინიც იბრძვის.

"ფრანცი სწორედ რომ შესაფერისია ამ თანამდებობისთვის. ვფიქრობ, ის უფრო ამბიციურია, ვიდრე პლატინი", - აღნიშნა პელემ.

მაიკლ ოუენი: "რონალდო არ ვარ, მაგრამ ბურთის გატანა შემიძლია"

ბოლო დროს მადრიდის "რეალის" ინგლისელი ლეგიონერის მაიკლ ოუენის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ამბობენ, რომ ფეხბურთელს ძველ კლუბში "ლივერპულში" უნდა დაბრუნება. თავად თავდამსხმელი გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. და ასე გრძელდება დღემდე.

ორი დღის წინათ ოუენი ესპანურ გამოცემა Marca-ს ესაუბრა. ფეხბურთელმა აღიარა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა "ბარსელონასთან" თამაშმა. "ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ ჩვენს გამარჯვებაში მივიღე მონაწილეობა. შეიძლება არ მაქვს რონალდოს ტექნიკა, მაგრამ მოწინააღმდეგის კარის აღება მაინც შემიძლია", - განაცხადა ინგლისელმა ფორვარდმა.

მისი აზრით, "სამეფო გუნდს" ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ეროვნული ჩემპიონატის მოგების შანსი. "ამის მიღწევა ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. იმედი მაქვს, "ბარსა" ამას ვერ მოახერხებს", - დასძინა ოუენმა.

"ჩელსის" ფერდინანდის შეძენა არ უნდა

Sky Sports-ის ცნობით, ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ არ აპირებს "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველის რიო ფერდინანდის შეძენას.

"ჩვენ სრულიად გარკვევით გავაგებინეთ ყველას, მათ შორის "მანჩესტერ იუნაიტედს", რომ რიო ფერდინანდის შეძენა ჩვენი ინტერესების სფეროში არ შედის. ადრეც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ გასულ კვირას რესტორანში ფეხბურთელისა და ჩვენი აღმასრულებელი დირექტორის პიტერ კენიონის შეხვედრა შემთხვევითი იყო", - განაცხადა "ჩელსის" წარმომადგენელმა.

კოულმა შეიძლება "არსენალი" დატოვოს

Sky Sports-ის ცნობით, ინგლისის ეროვნული ნაკრების მცველმა ეშლი კოულმა აღიარა, რომ მისი მომავალი "არსენალში" კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამაზე ფიქრი კოულმა მას შემდეგ დაიწყო, რაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ იგი "არსენალის" მთავარი კონკურენტის "ჩელსის" წარმომადგენლებთან საიდუმლო შეხვედრაში დაადანაშაულა.

"მიჭირს იმის თქმა, დავრჩები თუ არა კლუბში", - განაცხადა კოულმა.

"ბარსელონა" მზადაა, ვან ნისტელროი მიიწვიოს

"ბარსელონას" ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს კლუბში "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდის რუდ ვან ნისტელროის გადმოსვლას. ახლახან ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა განაცხადა, დარწმუნებული არაა, რომ ინგლისში დარჩენა უნდა. გარდა ამისა, "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექ ფერგიუსონმა აღიარა, რომ გუნდში საჭიროა ცვლილებები თავდასხმის ხაზით. მიმდინარე სეზონი კი ვან ნისტელროისთვის უამრავი ტრავმის გამო არც მთლად წარმატებული გამოდგა.

აღსანიშნავია, რომ გასულ ზაფხულს თავდამსხმელმა უარი განაცხადა მადრიდის "რეალში" გადასვლაზე, თუმცა, მოგვიანებით აღიარა, რომ ესპანეთი ის ქვეყნაა, სადაც კარიერის გაგრძელებას ისურვებდა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

კიდევ ერთხელ თამბაქოს შესახებ

გიორგი მიქელაძე



ფილტვის კიბოს მარტივი და ბასები

უამრავი წერილია დაწერილი თამბაქოს მავნებლობაზე. უამრავი გამოკვლევაა ჩატარებული და ამ გამოკვლევების შედეგები არავითარ ეჭვს არ იწვევს - თამბაქო მავნებელია, თანაც ძალიან. მავნებელია არა მარტო მწეველისათვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვისაც, ვინც მის გარშემოა და მის ნამწვსა და გამონაბოლქვს ისუნთქავს, ანუ მასთან ერთად "პასიურად" ეწევა. ეს, როგორც წესი, მისი უახლოესი ადამიანები არიან, რომელთა კეთილდღეობისთვისაც ის სიცოცხლეს გასწირავდა, თუმცა თამბაქოს წევას თავს ვერ ანებებს.

მე არ მეგულება მწეველი, რომლისთვისაც ეს ინფორმაცია უცნობი იყოს.

მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ეწევა.

მე არ ველოდები, რომ ისინი ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ერთბაშად იტყვიან უარს თამბაქოს წევაზე, მაგრამ თუ რამდენიმე მწეველი მაინც დაფიქრდება იმაზე, თუ რას აკეთებს, ნაწილობრივ მაინც გაიაზრებს, რა ელის მას თვითონ მომავალში ან რა ვნება მოაქვს თავის გარშემო მყოფი ადამიანებისათვის, მაშინ ჩავთვლი, რომ წერილმა მიზანს მიაღწია.

1492 წელს აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა ახალი კონტინენტი - ამერიკა. ამ ახალი სამყაროდან შემოვიდა და მთელ ძველ მსოფლიოში გავრცელდა დღეს უკვე ჩვენთვის ჩვეული საკვები პროდუქტები, როგორიცაა კარტოფილი, ლობიო, სიმინდი, პომიდორი...

სამწუხაროდ, ასევე ამერიკის კონტინენტიდან შემოვიდა სხვადასხვა დროს კოკაინი, კოკა-კოლა, მაკდონალდი და, აგრეთვე, ჩვენი დღევანდელი წერილის თემად არჩეული პროდუქტი - თამბაქო.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თამბაქო, როგორც მცენარე, დღევანდელი სახით 8 000 წელია, არსებობს. ძველი ნელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მისი მოხმარება უკვე ფართოდ იყო გავრცელებული ამერიკის მთელ კონტინენტზე. თამბაქოს მწეველი ადამიანის ამსახველი პირველი სურათი დადასტურებულია გვატემალაში აღმოჩენილ XI საუკუნის თიხის ჭურჭელზე. საკუთრივ სიტყვა "თამბაქო" მომდინარეობს ესპანური "tabaco"-დან, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ინდიელების მიერ ხმარებულ თამბაქოს შესასუნთქი ხელსაწყოს სახელს - "ტობაგო".

1492 წლის ოქტომბერში ქრისტეფორე კოლუმბმა თავისი დღიურის ჩანაწერში აღწერა ძღვენი, რომელიც მას ინდიელებმა მიართვეს. მირთმეულ საჩუქრებს შორის იყო სპეციფიკური სუნის მქონე გამხმარი ფოთლები. ეს ფოთლები კოლუმბმა სტუმრების წასვლისთანავე გადაყარა.

მაგრამ, როგორც ჩანს, კოლუმბის ექსპედიციაში იყვნენ მასზე უფრო ცნობისმოყვარე ადამიანები, რომელთაც გასინჯეს ეს ფოთლები (მოსწიეს, როგორც ამას ინდიელები აკეთებდნენ) და ამერიკიდან სამშობლოში - ესპანეთში - წამოიღეს.

ერთ-ერთი მათგანი იყო როდრიგო დე ხერესი, რომელიც 1492 წლის ოქტომბერში თამბაქოს მწეველი პირველი ევროპელი ხდება. ეს ჩვევა მას ძალიან ძვირად დაუჯდა. ესპანეთში, მშობლიურ სევილიაში დაბრუნებულ დე ხერესს მეზობლებმა ინკვიზიციაში უჩივლეს, პირიდან და ცხვირიდან ბოლს უშვებსო და ინკვიზიციამ იგი ავსულობისთვის საპყრობილეში ჩასვა.

ასე გახდა ბატონი როდრიგო დე ხერესი თამბაქოს პირველი ევროპელი მსხვერპლი.

XVI საუკუნეში თანდათან იზრდება თამბაქოს გავრცელების არეალი და, შეაბამისად, მისი მოხმარებაც.

1560 წელს გამოდის ნაშრომი, რომლის მიხედვითაც თამბაქოს სამკურნალო თვისებები მიეწერება. მისი ავტორია ჟან ნიკო დე ვილმანი (Jean Nicot de Villeman), საფრანგეთის ელჩი პორტუგალიაში. მოგვიანებით მისი სახელი დაერქვა თამბაქოს შემადგენელ აქტიურ ნივთიერებას (ნიკოტინი).

1602 წელს გამოდის პირველი ნაშრომი თამბაქოს მავნებლობაზე.

XVII საუკუნეში ცხადდება პირველი აკრძალვები საზოგადო ადგილებში თამბაქოს მოწევის შესახებ.

1724 წელს რომის პაპი ბენედიქტე XIII იწყებს თამბაქოს წევას და აუქმებს მისი წინამორბედის აკრძალვას ეკლესიის მსახურთა მიერ თამბაქოს მოხმარებაზე.

1761 წელი - პირველად იწერება თამბაქოს წევასა და ცხვირის სიმსივნეს შორის არსებულ კავშირზე.

1795 წელი - პირველად იწერება თამბაქოს წევასა და ტუჩის სიმსივნეს შორის არსებულ კავშირზე.

1805 წელი - პირველად იქნა თამბაქოდან გამოყოფილი აქტიური ნივთიერება ნიკოტინი.

1832 წელი - თურქეთის არმიაში მომსახურე ეგვიპტელმა არტილერისტებმა თამბაქო ქაღალდში გაახვიეს და ისე მოწიეს (ამის მიზეზი დაზიანებული ჩიბუხები იყო) და ასე შექმნეს პირველი პაპიროსი.

1889 წელს პირველად იქნა დადასტურებული და შესწავლილი ნიკოტინის გავლენა ნერვულ უჯრედებზე.

1889 წელი - მთელ მსოფლიოში მხოლოდ 140 ფილტვის კიბოს შემთხვევაა აღრიცხული.

1912 წელს გამოდის პირველი ნაშრომი, რომელიც ფილტვის კიბოს თამბაქოს წევასთან აკავშირებს.

1914 წელი - ფილტვის კიბოს შემთხვევების სტატისტიკა: 100 000 ადამიანზე 0,6.

1930 წელი - ფილტვის კიბოს შემთხვევების სტატისტიკა: 100 000 ადამიანზე 3,8.

1936 წელს გამოდის პირველი ნაშრომი ნაყოფისათვის თამბაქოს მავნებლობის შესახებ

1940 წელი - ფილტვის კიბოს შემთხვევების სტატისტიკა: 100 000 ადამიანზე 7,1.

1948 წელი - ფილტვის კიბო მეორე ადგილზე გადადის (კუჭის კიბოს შემდეგ) და სხვა სიმსივნეებთან შედარებით მისი სიხშირე 5-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება.

1953 წელი - ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ თამბაქოს წვის შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებები კანის კიბოს იწვევს.

1956 წელი - ფილტვის კიბოს შემთხვევების სტატისტიკა: 100 000 ადამიანზე 31.

1964 წელი - აშშ მთავარი ქირურგი ოფიციალურად აცხადებს, რომ თამბაქოს წევა მავნებელია ჯანმრთელობისათვის.

1966 წელი - აშშ-ში (და შემდეგ უკვე სხვა ქვეყნებშიც) კანონით აუცილებელი ხდება თამბაქოს პროდუქტებს დაეწეროს გაფრთხილება თამბაქოს მავნებლობის შესახებ.

ასე, თანდათან, დადგა დრო, როდესაც თამბაქოს მავნებლობა ყველა ქვეყანაში აღიარებულ იქნა და თამბაქოს წევასთან, როგორც მეტად მავნე ჩვევასთან, ორგანიზებული ბრძოლა დაიწყო. ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება, რადგან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორს ვართ საბოლოო გამარჯვებისაგან (განსაკუთრებით, ჩემს სამშობლოში).

თანდათან მცირდება მწეველთა რაოდენობა განვითარებულ ქვეყნებში და ამ ქვეყნებში ეს ჩვევა გაცილებით უფრო იშვიათია მოსახლეობის განათლებულ და შეძლებულ ფენებში.

აშშ-ში ზრდასრული მოსახლეობის 25 პროცენტი ეწევა. საინტერესოა ისიც, რომ აშშ ექიმთა მხოლოდ 3 პროცენტი ეწევა. მწეველი ექიმი აქ ძალზე იშვიათი, არატიპიური მოვლენაა. რუსეთის მონაცემებით კი მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი ეწევა და ექიმთა შორისაც მწეველთა რაოდენობა პროცენტულად იგივეა. არა მგონია, რომ საქართველოში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყოს.

დღევანდელ დღეს არსებულ სიგარეტში საშუალოდ 10 მგ ნიკოტინია და მწეველი ერთი საგარეტის მოწევით საშუალოდ 1 მგ ნიკოტინს იღებს (ნუ მოიტყუებთ თავს და ნუ გეგონებათ, რომ მსუბუქი სიგარეტი ნაკლებად მავნებელია). შესუნთქული ნიკოტინი სისხლში ძალიან სწრაფად იწოვება და უკვე 10 წამში ტვინს აღწევს. მისი მოქმედება რამდენიმე წუთში მცირდება და ნიკოტინის მოთხოვნილება აიძულებს მწეველს, ისევ და ისევ მოსწიოს.

უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევები ააშკარავებს თავის ტვინზე თამბაქოს მოქმედების მექანიზმს. პირველ რიგში ნიკოტინი მოქმედებს ტვინის იმ ნაწილზე, რომელიც სიამოვნების გრძნობას განაგებს. მთავარი ნივთიერება, რომელიც თავის ტვინში განაგებს თამბაქოს წევის მოთხოვნილებას, არის ეგრეთ წოდებული ნეიროტრანსმიტერი დოფამინი. ამავე დროს კვლევა აჩვენებს, რომ არა მარტო ნიკოტინია ამ ეფექტის მიზეზი. თავის ტვინში ჩვენ ასევე გვაქვს ნითიერება, რომელიც დოფამინის დაშლას უწყობს ხელს და სწორედ ამ ნივთიერების ბლოკირება ხდება თამბაქოს სხვა (არანიკოტინის) პროდუქტით, რითაც დოფამინის კონცენტრაცია ტვინში იზრდება. საინტერესოა, რომ თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული საშუალებისადმი მიჩვევის მექანიზმები არსებითად განსხვავებული არ არის და ამ თვალსაზრისით თამბაქოს მწეველიც ნარკომანია, თუმცა ძირითადი განსხვავება ისაა, რომ თამბაქო კანონიერი პროდუქტია და მისი მოწევისათვის ადამიანს კანონმდებლობა არ სჯის და საზოგადოება არ ებრძვის (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით).

აშშ-ში ყოველწლიურად თამბაქოს წევის მსხვერპლი ხდება 430 000 ადამიანი, ანუ უფრო მეტი, ვიდრე ალკოჰოლის, კოკაინის, ჰეროინის, მკლელობების, თვითმკვლელობების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, ხანძრის და შიდსისა ერთად.

უზარმაზარია, აგრეთვე, თამბაქოთი გამოწვეულ დაავადებათა მკურნალობის ყოველწლიური ხარჯები. მაგალითისათვის, ამგვარი ხარჯები ამერიკის შეერთებულ შტატებში 140 მილიარდ დოლარს აღწევს.

თამბაქო პირველ ადგილზეა დაავადებათა და სიკვდილიანობის იმ მიზეზთა შორის, რომელთა თავიდან აცილება ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული.

თამბაქოს ბოლში 3 000 ქიმიური ნივთიერებაა. აქ მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ რამდენიმე კარცინოგენულ (ანუ კიბოს გამომწვევ) ნივთიერებას ჩამოვთვლი:

4-ამინობიფენილი
ბენზენი
კადმიუმი
ქრომიუმი
2-ნაფტილამინი
ნიკელი
პოლონიუმი-210
რადონი
ფორმალდეჰიდი

ფილტვის კიბოს შემთხვევათა 90 პროცენტი გამოწვეულია თამბაქოს წევით.

თამბაქოს წევასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, ფილტვის არასიმსივნური ქრონიკული დაავადებები, როგორიცაა: ბრონქიტი, ასთმა, ემფიზემა.

თამბაქოს წევასთანაა დაკავშირებული სხვადასხვა ავთვისებიანი სიმსივნეები: პირის ღრუს, საყლაპავის, საშვილოსნოს, ხორხის, კუჭის, თირკმლის, შარდის ბუშტის.

სიმსივნური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა მწეველებში ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე არამწეველებში.

ამასთანავე, თამბაქოს წევა მკეთრად ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ალბათობას, რაც ჩვენი დღევანდელი ყოფისათვის დამახასიათებელი უძრაობისა და ცხიმიანი საკვების გამო ისედაც მაღალია.

ორსულობაში თამბაქოს მოწევა მკვეთრად ამცირებს ნაყოფის სისხლში ჟანგბადის შემცველობას. ამასთანავე, ნიკოტინის შემცველობა ნაყოფის სისხლში უფრო მაღალ კონცენტრაციას აღწევს, ვიდრე თვით მწეველი დედის სისხლში. მწეველ დედებში უფრო ხშირია ნაადრევი მშობიარობა და დაბალი წონის ნაყოფი. აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ მწეველი დედების შვილები ინტელექტუალური შესაძლებლობებითაც ჩამორჩებიან არამწეველი დედების შვილებს.

საყურადღებოა, რომ ქალებში თამბაქოს კარცინოგენული გავლენა უფრო მეტადაა გამოხატული, რაც მათი გენეტიკური თავისებურებებით არის განპირობებული. ფილტვის კიბოთი სიკვდილიანობა ქალებში პირველ ადგილზეა და აღემატება ერთად აღებულ მკერდისა და გინეკოლოგიური სიმსივნეებით გამოწვეულ სიკვდილიანობას.

ყველა ინფორმაცია, რაც ზემოთ მოვიყვანეთ, თვით მწეველებს ეხება. როგორც წესი, მათ ეს ყველაფერი მშვენივრად იციან, მაგრამ ჰგონიათ, რომ ეს დაავადებები სხვებს დაემართება, და არა მათ.

სამწუხაროდ, სტატისტიკამ გამონაკლისი არ იცის და ის, რაც მოსალოდნელია, ის, რაც უნდა მოხდეს, ხდება კიდეც. მწეველი უამრავ გამართლებას მოუნახავს თავის საქციელს (მე ეს კარგად ვიცი, რადგან მე თვითონაც წარსულში მწეველი ვიყავი). მე მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი ბედი ისე წარმართოს, როგორც თვითონ სურს, ეს თამბაქოს წევასაც გულისხმობს. თუ ადამიანს მოწევის შედეგად მიღებული სიამოვნება უღირს იმად, რომ სხვადასხვა დაავადებების რისკი მკვეთრად გაეზარდოს, ეს მისი ნებაა (ბოლოს და ბოლოს, არავინ იცის, რა გველის ხვალ), მაგრამ არც ერთ ადამიანს არა აქვს იმის უფლება, რომ თავისი ქმედებით სხვა ადამიანებს გაუზარდოს ეს რისკი.

ამიტომ ახლა იმაზე მინდა ვილაპარაკო, თუ რა ზიანი მოაქვს მწეველს მის გარშემო მყოფთათვის, ანუ რამდენად საშიშია არამწეველთათვის ე.წ. პასიური თამბაქოს წევა.

აშშ-ში პასიური თამბაქოს წევა ხდება წელიწადში 3 000 ფილტვის კიბოს შემთხვევის მიზეზი, 40 000 ადამიანის გულ-სისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული სიკვდილის მიზეზი, მკვეთრად ზრდის ბავშვებში ასთმის საშიშროებას, ზრდის ფილტვის სხვა ქრონიკულ, არასიმსივნურ დაავადებათა და, აგრეთვე, სხვადასხვა სიმსივნეთა რიცხვს (ეს მონაცემები დადასტურებულია, რადგან საკმაოდ ზუსტად ხდება არამწეველი ავადმყოფების სისხლში ნიკოტინისა და თამბაქოს წვის სხვა პროდუქტების რაოდენობის განსაზღვრა). თუკი პასიური წევით გამოწვეული შედეგები ასე მძიმეა აშშ-ში, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელია თამბაქოს მოწევა საზოგადო თავშეყრის ადგილებში, მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს, რა მდგომარეობას უნდა ველოდეთ "შეუზღუდავი მოწევის წესის" მიმდევარ საზოგადოებაში.

გავიხსენოთ ქართული სუფრა, 15-20 ადამიანი, თითქმის ყველა ეწევა, თუ გარეთ ცივა, ფანჯარასაც ვერ გააღებ, ბინაში ბავშებიც არიან... ქართული სტუმარ-თმოყვარეობა არ გვაძლევს იმის ნებას, რომ სტუმარს თამბაქოს წევა ავუკრძალოთ, მაგრამ იქნებ სტუმარი თვითონ მიხვდეს, რომ მასპინძლის ოჯახში არ უნდა მოსწიოს.

ყველა ჩვენგანს აქვს იმის უფლება, რომ შეძლებისდაგვარად სუფთა გარემოში არსებობდეს, ეს ეხება ჩვენს სახლს, კინოთეატრს, რესტორანს... მოკლედ, ყველა იმ ადგილს, სადაც მისვლა გვიწევს.

ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ირლანდიის მაგალითმა, სადაც რესტორნებში და ბარებში თამბაქოს მოწევა აკრძალეს. ყველას ეგონა, რომ იქ ეს კანონი არ იმუშავებდა და მისი შესრულება ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად საწინააღმდეგო რამ მოხდა - აკრძალვას ერთსულოვნად დაემორჩილნენ ირლანდიაში, სადაც უფრო მეტს სვამენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ნიუ იორკშიც რამდენიმე წლის წინ მოწევა აკრძალეს ყველა ბარში და რესტორანში (ამის მთავარი ინიციატორი იყო ქალაქის მერი ბლუმბერგი, თავად ყოფილი მწეველი). ბევრს ეგონა, რომ ყველა ეს დაწესებულება გაკოტრდებოდა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ასე არ მოხდა. მოხდა მხოლოდ ის, რომ მწეველები გარეთ გადიან მოსაწევად.

თამბაქოს წევისთვის თავის დანებების ბევრი მეთოდი არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ არის გარანტირებული - მათი შედეგიანობა, ჩვეულებრივ, 40 პროცენტს არ აღემატება. თამბაქოსადმი სხვადასხვაგვარი მიჩვევის ხარისხი გენეტიკური აპარატითაც არის განპირობებული და, ამდენად, ზოგიერთი ადამიანისთვის ამ ჩვევის დაძლევა განსაკუთრებით ძნელია. ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი, რომ მოზარდებმა საერთოდ არ დაიწყონ თამბაქოს წევა, რათა მომავალში არ დადგნენ თამბაქოს წევის დანებების მძიმე, ზოგისთვის კი თითქმის დაუძლეველი პრობლემის პირისპირ.

თამბაქოს წევის დანებებისთვის ყველაზე მნიშნელოვანი მაინც ადამიანის ნებაა. საჭიროა გადაწვეტილების მიღება. ამ ნაბიჯის გადადგმა კი, როგორც წესი, მას შემდეგ ხდება, რაც ზემოთ მოყვანილი ფაქტები აბსტრაქტულ კატეგორიას სცილდება და რეალური, გაცნობიერებული ხდება.

ამის საილუსტრაციოდ მინდა ორი მაგალითი მოვიყვანო.

წარმოიდგინეთ, რომ მწეველმა ადამიანმა შემთხვევით შიდსიანი ავადმყოფის ნახმარი ნემსი იჩხვლიტოს. შიშის ზარი დაეცემა, ექიმის ყველა რჩევას შეასრულებს, ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ეტყვიან, ოღონდ შიდსის დაავადება თავიდან აიცდინოს; თუმცა, ნემსის ჩხვლეტის შედეგად შიდსით დაავადების ალბათობა გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე თამბაქოს წევის შედეგად ფილტვის კიბოთი დაავადებისა. ამასთანავე, დღევანდელი მედიკამენტების წყალობით შიდსიანი ავადმყოფის სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მაღალია, ვიდრე ფილტვის კიბოთი დაავადებულისა.

ახლა წარმოიდგინეთ ოჯახი, რომელმაც შეიტყო, რომ მათი სახლის საძირკველში რადიოაქტიური ნივთიერებაა ჩატანებული. ეს ოჯახი უთუოდ სასწრაფოდ დატოვებს სახლს და, ასევე სასწრაფოდ მოსთხოვს სათანადო ორგანოებს ამ რადიოაქტიური ნივთიერების გატანას. ოჯახის უფროსები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ამ სახლს მოშორდნენ და თავისი უახლოესი ადამიანები - შვილები, შვილიშვილები - მოარიდონ საშიშროებას. ის რომ, მწეველი ადამიანის ყოლა სახლში ასევე დიდი საშიშროებაა, ბევრს არა აქვს გაცნობიერებული.

გადაწყვეტილება მიღებულია, თამბაქოსათვის თავის დანებება გსურთ. რა ხერხს ჯობია, მიმართოთ? თამბაქოს თავის დანებებისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული და აპრობირებული გზაა ანტიდეპრესანტისა (ბუპროპიონი) და ნიკოტინის შემცველი პროდუქტების (ნიკოტინიანი საღეჭი რეზინი ან კანზე დასაკრავები) დახმარებით თავის დანებება.

Bupropion (კომერციული დასახელებები: Zyban, Wellbutarin SR) ანტიდეპრესანტია, რომლის მოქმედების მექანიზმიც ბოლომდე არ არის გარკვეული და რომლის გამოცდისასაც შემთხვევით აღმოჩნდა, რომ ადამიანები მისი მიღების შემდეგ თამბაქოს წევას თავს უფრო ადვილად ანებებდნენ. მკურნალობა იწყება 150 მგ დღეში ერთხელ 3 დღის განმავლობაში, შემდეგ იგივე 150 მგ დღეში 2-ჯერ 7-12 კვირის განმავლობაში.

მკურნალობის დაწყებიდან 10-12 დღის შემდეგ (ბუპროპიონის ფონზე) წყვეტთ მოწევას და ნიკოტინის უეცარი შეწყვეტით გამოწვეული დისკომფორტი რომ შეიმსუბუქთ, გადადიხართ ნიკოტინიან საღეჭზე ან კანზე იკრავთ ნიკოტინის შემცველ დასაკრავებს (ნიკოტინის პროდუქტებს თანდათან ამცირებთ და როცა "სამშვიდობოს გასულად" იგრძნობთ თავს, მათაც წყვეტთ).

ბუპროპიონს ძალიან იშვიათად აქვს გვერდითი მოვლენები (უძილობა, პირის სიმშრალე).

მე, როგორც ყოფილმა მწეველმა, ვიცი, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული სიგარეტისთვის თავის დანებება. ორი მარცხიანი ცდის შემდეგ (ორივემ მხოლოდ 3-4 თვეს გასტანა), საბოლოოდ სიგარეტის წევას თავი დავანებე 3 წლის წინ ზემოთ აღწერილი მეთოდით. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენიმე რჩევა მინდა მოგცეთ. დათქვით დღე და არაფრით არ შეცვალოთ იგი (დამიჯერეთ, რომ უამრავ მიზეზს იპოვით, რომ ეს გადაწყვეტილება რამდენიმე დღით გადადოთ). გახსოვდეთ, რომ გარდა ფიზიოლოგიური მიჩვევისა, არსებობს, აგრეთვე, ფსიქოლოგიური მიჩვევაც და ამიტომ შეეცადეთ, ჩასანცვლებლად რამე ახალი საქმიანობა გაიჩინოთ, რადგან უეცრად თითქოს ბევრი თავისუფალი დრო გაგიჩნდებათ. რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, მუდამ გახსოვდეთ, რომ ერთი სიგარეტის მოწევაც კი უეჭველად ისევ დაგაბრუნებთ უკან (ჩემი ორივე მარცხის მიზეზი სწორედ ეს იყო). პირველ ხანებში ალკოჰოლსაც მოერიდეთ, რადგან იგი, როგორც წესი, ბევრი გაუაზრებელი საქციელის მიზეზია (უკანასკნელი გამოკვლევებით ისიც დადგინდა, რომ ალკოჰოლი ნიკოტინის მოქმედებასა და მის შედეგად მიღებულ სიამოვნებას აძლიერებს). პირადად მე რა მოვიგე იმით, რომ სიგარეტს თავი დავანებე? უფრო ჯანმრთელად ვგრძნობ თავს, გაცილებით უფრო ნაკლებად ვიღლები, გამიადვილდა ვარჯიში, დიდი დატვირთვის შემდეგაც კი სრული აღდგენისათვის ნახევარი საათი მყოფნის, მაჯისცემა შემიმცირდა 95-100 დან 68-72-მდე (ე.ი. ჩემს გულს თითქმის 25 პროცენტით შეუმსუბუქდა მუშაობა), სამი წელია არ დამიხველებია. სინდისი აღარ მქენჯნის, რომ ჩემს ახლობლებს ვუწამლავ ჰაერს!

რაც შეეხება წონის მომატებას, ეს თავიდან ნამდვილად შეიძლება მოხდეს (ალბათ უფრო მეტად იმის გამო, რომ სიგარეტის მოკიდებისა და გაბოლების რიტუალს პირველ ხანებში, შესაძლოა, ხშირ-ხშირად ჭამა ჩაენაცვლოს), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დროებითია.

ნუ მოწევთ! გახსოვდეთ, რომ თქვენი თამბაქოს წევით არა მარტო თქვენ ჯანმრთელობას, არამედ თქვენს გარშემო მყოფთა ჯანმრთელობასაც აგდებთ საფრთხეში! ადამიანის უფლებათა ტერმინოლოგიით რომ გამოვხატოთ ჩვენი ძირითადი სათქმელი: ადამიანს უფლება აქვს, თავისი ნებასურვილი აისრულოს (თუკი, რასაკვირველია, ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს არ გულისხმობს) - თუნდაც თავისი ჯანმრთელობისათვის საზიანო სიამოვნების მიღებით (როგორიცაა თამბაქოს წევა), მაგრამ არა აქვს უფლება, საკუთარი სიამოვნების მისაღწევად სხვისი ჯანმრთელობა საფრთხეში ჩააგდოს.



TV პროგრამა

19 აპრილი

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 00.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "შანხაელი მეკავშირე" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთი **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "ჯინევერა" (18) (სარა პოლი) **01.10** პატრული

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** შავი ხალათი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** საოჯახო ფოტოები. **12.15** ერთი სიცოცხლე. მხ.ფილმი. ალექსანდრ ასტრუკი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეტამაში. **17.25** დ.დიზაინი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** პოლ პოტის საიდუმლოება. დოკ. ფილმი. **03.05** სამხრეთის ანარეკლი. კამერუნი. **04.20** გადაცემა: აქტუალური თემა.

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "საჯვარედინო" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ლონდონი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "ბარნუმი" **19.40** სასამართლო დარბაზებში **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ბერმუდის სამკუთხედი" **23.00** პროფესიონალი - ადვოკატი **23.30** მხ. ფილმი "არდადეგებზე" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეიუერნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **14.15** ბალეტი "შეჰერაზადა" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ბოკვერი ბურდუ", "ხევსურები". **23.45** მხ. ფილმი "ვარსკვლავეთში" (12) (მარტინ შინი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "ზუმრობა იქით იყოს" **19.25** დოკ. ფილმი "მუსიკის ქალაქი" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "უაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "ცეცხლთან თამაში" 1-ლი ს.

იმედი

07.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.20, 17.10, 03.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ყოველ საღამოს 11 საათზე" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" 1-ლი ს. **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილმი "არ მეშინია" (გ) (არნტა სანჩეს გიონი) **01.30** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **03.40** ნუცას სკოლა (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი "ალ კაპონე" **11.30** კომედია "აგენტი ჯონი ინგლიში" **13.00** ბოევიკი "კვალისწამშლელი" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** ისტორიული ფილმი "პირველი რაინდი" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "ნკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "კალათბურთების დღიური" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "პირდაპირი და აშკარა მუქარა"

1 ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Владимир Заманский в фильме **"АЛЛЕГРО С ОГНЕМ". 14.00** Док. фильм "Карта победы". **14.30** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. **15.20** Многосерийный фильм **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Его звали Никита". **19.50** Михаил Жигалов в боевике **"ОХОТА НА АСФАЛЬТЕ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ".** Закл. с. **22.40** "Гибель империи". Постскриптум. **23.30** Ночное "Время". **23.50** Лубянка. "Короли диверсий". **00.30** Док. фильм "Башня для "безбашенных". **01.00** Арманд Ассанте в боевике **"ФЕДЕРАЛЬНАЯ ЗАЩИТА".** После предательства лучшего друга, профессиональный гангстер Фрэнк Карбоне порывает с преступным бизнесом и сдает полиции всех своих боссов. Мафия предлагает за его голову два миллиона долларов. Как участник федеральной программы защиты свидетелей, Фрэнк получает новое имя переезжает в уютный коттедж в Арканзасе. Некоторое время спустя у него завязывается роман с молодой и симпатичной соседкой Ли, которая к несчастью узнает в нем преступника и делится этой новостью с родственниками. Те же решают не упустить шанс "заработать"... **02.50** Тимоти Басфилд в триллере **"ЗОНА - 51".** Зона 51 - излюбленное место посещения туристами, мечтающими своими глазами увидеть НЛО. По слухам, подобные явления здесь наблюдаются часто. Однажды, в период приезда очередной группы, в зоне начинают происходить странные и необъяснимые события. В несколько огромных грузовиков вселяется неведомая дьявольская сила, заставляющая этих монстров уничтожать людей... **04.40** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

НТВ

06.00"Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Профессия - репортер. **10.50** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 11.55** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Многосерийный телефильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 7. **"СОЛЕНЫЙ ВЕТЕР". 1**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. ТАЙНЫ ЗАВОДА "АБР АЗИВ". 2**-я с. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 02.25** Бильярд.

სკანვორდი



ქორწილების მომღერალი

90-იანებში შექმნილი 80-იანური კომედია-ჰიტი - "ქორწილების მომღერალი" მალე ბროდვეის მიუზიკლად იქცევა. ფილმს, რომელშიც ადამ სანდლერი და დრიუ ბერიმორი მონაწილეობენ, სპექტაკლად გადააკეთებენ და ნიუ იორკში 2006 წლის აპრილში აჩვენებენ. ჯერჯერობით, უცნობია, ვინ ითამაშებს სცენაზე რობი ჰარტის როლს - ქორწილებში მომღერალი ახალგაზრდა მუსიკოსის როლს, რომელსაც შეყვარებული მიატოვებს, მაგრამ თავისი უცნაური პროფესიის წყალობით ნამდვილ სიყვარულს მაინც იპოვის (დრიუ ბერიმორის გმირის სახით).

მიუზიკლის მსოფლიო პრემიერა სიეტლში 31 იანვარს გაიმართება. შემდეგ უკვე სპექტაკლი ბროდვეიზე დაიდებს ბინას. მაყურებელმა "ქორწილების მომღერალის" ფილმი-ვერსია ძალიან კარგად მიიღო. ვნახოთ, როგორ მოიწონებენ ისინი სცენაზე გათამაშებულ 80-იანურ სიტუაციებს.

ჟერარ დეპარდიეს ახალი როლი

ირმა ქახურაშვილი



ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟერარ დეპარდიემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გამოუსწორებელი ხულიგანია. ერთ-ერთი ბრიტანული გაზეთი ენამოსწრებულად აღნიშნავს, რომ მისი მორიგი გამოსვლა საფრანგეთის ტელევიზიით ბოლო დროს ნათამაშევ როლთა შორის საუკეთესო იყო.

56 წლის მსახიობი ტოქშოუში Ca balance a Paris იმისთვის დაპატიჟეს, რომ ახლახან გამოცემულ და კულინარიისადმი მიძღვნილ საკუთარ წიგნზე ორიოდე სიტყვა ეთქვა. სტუდიაში მყოფმა ჟურნალისტმა მარტენ მონესტიემ დეპარდიეს რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა მისცა. პასუხი არც მსახიობმა დააყოვნა და ჟურნალისტს "კრეტინი" და "იდიოტი" უწოდა.

მონესტიე არც დაბნეულა და არც სწყენია. "მართალი ხართ, შეგიძლიათ განიტვირთოთ და კიდევ რაიმე მითხრათ," - უთხრა ჟურნალისტმა. დეპარდიემ არც ახლა დააყოვნა და ჟურნალისტი კიდევ ერთი უსიამოვნო ეპითეტით შეამკო. დაძაბული სიტუაციის განმუხტვის უშედეგო მცდელობის შემდეგ დეპარდიე კრიტიკოსებს გადასწვდა და განაცხადა: "ისინი მეზიზღებიან. მომწონს, როცა სიმართლეს ამბობენ, როცა პოზიტიურნი არიან... ან ნეგატიურნიც," - დააყოლა უაზროდ.

ყველაფერ ამის შემდეგ მან სტუდიას გადახედა და თითქოს მხოლოდ ახლა შენიშნა იქ მჯდომი მაზარენ პინჟო, ყოფილი პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის ქალიშვილი. "სალამი, ლამაზო! რაღაც ადრე აქ არ მინახიხარ," - შეჰყვირა მსახიობმა და ლოყაზე აკოცა. უხერხულობის ექვსწუთიანი პაუზის შევსება კონდიტერმა პიერ ერმემ გაბედა. მან დეპარდიეს შესთვაზა, ტკბილეული დაეგემოვნებინა, რის შემდეგაც მსახიობმა კრიტიკოსებიც დაივიწყა და ჟურნალისტებიც.

იმის გამო, რომ ფრანგებს ძალიან უყვართ ჟერარ დეპარდიე, ბევრს პატიობენ. ამჟამად ლეგენდარული მსახიობი კომერციულმა პროექტებმა გაიტაცა. თავისივე შეფასებით, უკანასკნელად "ნამდვილ ფილმში" ათი წლის წინ ითამაშა. დღეს კი მხოლოდ "ფულის მომტან" ფილმებში მონაწილეობს. ის ორი პრესტიჟული რესტორნის მფლობელიცაა.

დეპარდიე პირველი როდია, ვინც ფრანგ მაყურებელს შოკში აგდებს. შოკური თერაპიით მომღერალმა სერჟ გინზბურგმაც გაითქვა სახელი. მან ერთ-ერთი შოუს დროს ტელეკამერების წინ 500-ფრანკიანი კუპიურა დაწვა.

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

ენის სასწავლო პროგრამები:
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

წინა საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
E-mail: n_makatsaria@yahoo.com



წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის მომსწავლეთ ჯგუფს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითოიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა ჯგუფებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯacუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24